

ლიტერატურული გაზეთი

№5(189) 10 - 23 მარტი 2017

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

პოეზია

ნუგზარ ზაზანაშვილი
ჯუანშერ ტიკარაძე
ზაალ ებანოიძე
ნანა გასვიანი
თემურ ჩხეტიანი
ალა დათუკიშვილი

ჩანაწერები

დავით წერედინი

პროზა

პაატა ბერიკაშვილი
ლუკა ბაქანიძე

ესე

თემურ გაბუნია

ჩანახატი

მანია ციციშვილი

ინტერვიუ

გიორგი კეკელიძე:

„მოძრაობაა
ჩემი ბედისწერა“





ნუგზარ ზაზანაშვილი

„გაზაფხულის მეშინია, აპრილის და მაისის“.
„უნდა გიყილო მე შენ ია და მოგიტანო მე შინ ია“.

მეც შეიძლება ჩემ აივანზე ახალწლის დამით უმისამართო ტყვიამ მომიღოს ბოლო მეც შეიძლება მინისძვრის ნანგრევებში მოვყვე ან ზვავმა ჩამიტანოს ან ადიდებულმა წყალმა წამიღოს მეც შეიძლება ავიაკატასროფას ვემსხვერპლო მეც შეიძლება დამემართოს კიბო მეც შეიძლება გამიბოს გული ინფარქტმა ჩემ სისხლძარღვებშიც ნებისმიერ წამს შეიძლება დაიძვროს თრომბი...

და უთუოდ: ან — ეს, ან — ის, ანდა — რამდენიმე ერთად და უთუოდ — ბოლო წამი და უთუოდ — ვაი დედა...

დედა, ისევ ისე ყვავის ფანჯარასთან შენი ია, — წყალს ყოველდღე ვუსხამ, მაგრამ... მაგრამ მაინც მეშინია...

შენი ხმა: რად გინდოდა, რად დაიხარჯე ამ ყვავილებზე? კი, კარგებია, ლამაზები, მაგრამ ჯობდა, ეგ ფული შვილებზე დაგეხარჯა, შვილიშვილებზე, აქაც დიდხანს ნუ გაჩერდები, დროს ნუ კარგავ სასაფლაოზე, შენ საქმეს მიხედე, არაფერი გაგიფუჭდეს...

ესეც ხომ ჩემი საქმეა, დედა, თან ისეთი — რომელსაც ვერ ველევი...

ყვავილები კი... როცა ერთად ვიყავით, მაშინ დაგაკელი და ახლა მაცალე ცოტა...

ქმედების დრო

უნდა მოვასწრო, უნდა მოვასწრო, უნდა მოვასწრო...

და მაგიდის კალენდარში ყოველი დღე რალაციისთვისაა მონიშნული და სულ რალაცას ვერ ვასწრებ და სულ სადღაც მაგვიანდება.

ქმედების დროა: ცხოვრება = ქმედებას, თან სწრაფ ქმედებას — ვინიცობაა სხვამ დამასწროს!

და ასე მოკლდება ცხოვრება...

აი, ამაზე ვფიქრობ — ისევ უცხო ქალაქის პარკში, ისევ შეღამებულზე, პატარა ხელოვნურ ტბასთან ცაცხვებქვეშ მჯდომარე.

და, აი, კიდევ რას ვფიქრობ: სიცოცხლე ხანგრძლივად რომ მოგეჩვენოს, არაფერი უნდა აკეთო კაცმა.

მივლინებაში უცხო ქალაქში შეღამებულზე ჩვეულებისმებრ ვზივარ პარკში მარტო

ვზივარ პარკში მარტო და სტრიქონების გამოგონებით საკუთარ თავს ვართობ

მთვარე ვახშობს მუხებში (ეს ჩემი სტრიქონი არ არის)

არა მთვარე არ ვახშობს მუხებში მუხები თავისთვის დგანან და რალაცას ჩურჩულებენ მთვარე კი ვახშობს ღრუბლებში

მთვარე ვახშობს ღრუბლებში (ეს უკვე ნაწილობრივ ჩემი სტრიქონია)

აპირებს წვიმას მაგრამ ჯერ არ წვიმს და ნელ-თბილ ნიავს მოაქვს სურნელი აყვავებული ცაცხვის

და ვარ ასე მშვიდად და ბედნიერად დღეს

ესაა და ეს

საუზმა ბერლინის სასტუმროში

საუზმის დროა: ბერლინის რომელიღაც სასტუმროს კაფეში ვზივარ დილაადრიან და ნელა-ნელა ვსვამ უგემურ ყავას...

გვერდით მაგიდაზე, დიდ ფანჯარასთან ზის შუახნის სიმპათიური ქალბატონი, ეტყობა, უკვე ნასაუზმევი, მისჩერებია მობილურს, მე ვერც კი მამჩნევს...

მეც დიდად არ ვინტერესდები ქალბატონით — ეს ალბათ დროის ერთადერთი პატარა მონაკვეთია, როდესაც ჩვენი ცხოვრებები ვითომდა ეხება ერთმანეთს: მე სრულიად უცხო ვარ მისთვის, ის სრულიად უცხოა ჩემთვის...

და მაინც ერთ ნავში ვსხედვართ: ვმსახურობთ, ვზრუნავთ ოჯახზე, შვილებზე, მომავალზე...

ფარკანა

რა არამქვეყნიურად მშვენიერი ყოფილხარ, ფარვანავ, ფრთებგაშლილი რომ მიწებებიხარ განათებულ ფანჯარას, თითქოსდა უმსუბუქესი თეთრი არშიით მოჩარჩობული, ვერცხლის უწვრილესი ძაფებით ნაქარგი, პანანინა, ოდნავ შესამჩნევი ორნამენტების სამუდამოდ აღსაბეჭდად მინაზე!..

კიდევ აღბეჭდე — მე შენ ყოველთვის მემახსოვრები...

მოულოდნელი ზარი ბევრი მრავალწერტილით

უცნაურია ეს იანვარი — ქუჩა სავსეა ყოჩივარდებით... ზარია!.. — გისმენთ... (...) — საიდან რეკავ?... (...) — მეც ვერ გივინყებ... (...) — მეც მენატრები... (...) — მეც ის აღარ ვარ... (...) — კარგი... (...) — ნახვამდის...

კიდევ შევხვდებით ოდესმე, სადმე... კიდევ შევხვდებით... ან ვერ შევხვდებით... სიჩუმე... ვუმზერ ჩაკეტილ სარკმელს...

სარკმლის იქით კი დგას იანვარი და ქალური მზით ქუჩა სავსეა... ვნატრობთ რალაცას = ვარსებობთ? არ ვიცი... მაგრამ, მგონი, ასეა...

რა საყვარელია წიგნების თაროზე შემოსკუპული ეს მრგვალი მწვანე საათი

პატარა ჩასუქებულ ჩიტს ჰგავს საკენკი რომ არ აკლია და წყნარად წიგნივებს თავისთვის

პატარა ჩასუქებულ მწვანე ჩიტს რომელსაც დროსთან საერთო არაფერი აქვს

სტამბოლი, რესტორანი სასტუმროს პოლო სართულზე

ზის თამაშვებული, ეტყობა, ხმელთაშუაზღვეთის რომელიღაც ქვეყნიდან მოწვეული, მუსიკოსი პატარა პოდიუმზე, უკრავს გიტარაზე და დაბალ ხმაზე ასრულებს ნაცნობ, მელანქოლიურ სიმღერებს...

ფანჯარასთან შუა-ხანს-გადაცილებული, სიმპათიური ცოლ-ქმარი ზის, ფრანგებს გვანან... ცოლ-ქმარს ემჩნევა, რომ ძალიან მოსწონს აქაურობა: გაჩირადნებული ბოსფორის ხედი, თურქული კერძები, ნაცნობი მელიოდიები, სიცოცხლე... ჭაღარაშერეულ, გამხდარ, სათვლიან მამაკაცს სახეზე კეთილი ღიმილი დასთამაშებს და ნამდაუნუმ ფანჯრისაკენ გაურბის თვალი... ასევე გამხდარი, ქერადთამაშელებილი ქალი კი უფრო მუსიკოსისკენ იხედება და ყოველი სიმღერის დამთავრებისას ჩუმად, მაგრამ არტისტულად უკრავს ტაშს... მუსიკოსიც ნელი, არტისტული თავის დაკვრით მაღლობას უხდის ხოლმე...

ისევ გაისმის ნაცნობი, მელანქოლიური მელიოდია... ვუსმენ... ვუყურებ ცოლ-ქმარს... და უცხო რესტორანი თანდათან მყუდრო და ახლობელი ხდება...





დავით წერეთლიანი

პოეზიაზე და პოეტებზე

ეგ იყო და ეგ. მერე ამდგარა და წასუ-

ლა. დეიდა ქეთოს ბევრთან ჰქონდა მონაყ-

ოლი ეს ამბავი. ეჭვი არასოდეს შეჰპარვია,

რომ გალაკტიონმა რალაციტ გამომარჩია.

ჩემს ადგილას ბევრი ვინმე ხშირ-ხშირ-

ად გაიხსენებდა ამ შემთხვევას, ხშირ-ხშირ-

ად გაახსენებდა პრესით თუ ტელევიზი-

ით. და სწორადაც მოიქცეოდა. ასე მაინც

ვერ გაუჭოროვებდნენ. დავით წერეთლიანი ამის მერე მკვდარი-

აო! — მწუხარებს ძველი მეგობარი ყველა

გზაჯვარედინზე. სირცხვილით ვინვოდი, მაგრამ ვე-

რაფერს ვუბედავდი. ერთხელაც ისეთი რამ მოხდა, თავზარი

დამეცა. უკვე სტუდენტი ვარ და უეცრად

„მნათობში“ ქვეყნდება ჩემი მერვე-მეცხრე

კლასში დაწერილი ლექსები, რომელთა

გახსენებაც ალარ მინდა. მეთექვსმეტე

კლასში დაწერილი რომ გამოქვეყნებ-

ულიყო, ასეთი მძიმე დარტყმაც არ იქნე-

ბოდა, ცოტათი უკეთ ვწერდი. რასაკვირველია, დეიდა ქეთოსაგან

მოხვდა „მნათობის“ იმჟამინდელი რედაქ-

ტორის, სიმონ ჩიქოვანის, ხელში, მოკლედ, ცუდი დღეები გადამატა-

ნინეს. დიდი ხნის შემდეგ არჩილ სულაკაურ-

მა, რომელიც იმ დროს „მნათობში“

მუშაობდა, გაიხსენა ეს ამბავი. სიმონ ჩიქო-

ვანს აუხირობია ამ ლექსების დაბეჭდვა.

ზოგიერთი თანამშრომელი, მათ შორის

არჩილ სულაკაური, წინააღმდეგი ყოფი-

ლა. უკითხავთ: — ასე მაინც რა მოგწონთ ამ ლექსებ-

ში? — ის, რომ დავით წერეთლიანის ლექსე-

ბია, — უპასუხნია სიმონ ჩიქოვანს. — ამით რისი თქმა გნებავთ, ბატონო

სიმონ? — იმისა, რომ პირველად ჩვენთან

დაიბეჭდა. ვერ გავიგეთ, რას გულისხმობდაო, ამ-

ბობდა გაკვირებული არჩილ სულაკაური.

ამასწინათ მეც გადავწყვიტე, მეტაპო-

მეგობარი კაცია, ბოლო ხანებში, მარ-

თალია, ძალზე იშვიათად ვხვდები, მაგრამ

ჩემი მხრივ მაინც მეგობრად მიმაჩნია.

არადა, ამ მეგობარ კაცს თავის ერთ-

ერთ გამოსვლაში ამბად მოუყოლია, ისე,

სიტყვის მასალად: ერთხელ თურმე გალაკ-

ტიონმა დამაყენა და ლექსი მათქმევინა.

მერე თურმე შეურაცხყოფა მომაყენა და

წავიდა. მე კიდევ ავმდგარვარ და სამაგიერო,

თუ მიხვდებით, რითი გადამიხდია? მას

მერე გალაკტიონს თურმე გიორგი ლე-

ონიძე მირჩევნია. წლები გადის,

ათწლეულები გადის, მე კი ვდგავარ და

გიორგი ლეონიძე მირჩევნია! სწორედ ის

მბრალდება, რაც ჩემდათავად, რა ვქნა და,

მკრეხელობა მგონია, სხვამ თავისი იცო-

დეს. ჩემო კეთილო და საყვარელო ადამი-

ანო, იქნებ როგორმე გაიხსენო, სად რას

მოჰპარი ყური, საიდან რა გამოაქირ-

ქილე... თორემ ერთი ძველი მეგობარი ნუ-

გეშს არ იკარებს, — დავით წერეთლიანი ამის

მერე მკვდარიანო, — გულამომჯდარი შესტ-

ირის ყველა ამვლელსა და ჩამვლელს.

დაბეჭდვითი ვაცხადებ: ასეთი შემთხ-

ვევა არ ყოფილა. გალაკტიონთან არა-

სოდეს არანაირი საუბარი არ მქონია.

ახლა ბარემ იმასაც მოვყვები, საიდან

წამოვიდა ეს ამბავი, კეთილის მსურ-

ველებმა რა როგორ გადამიკეთეს.

დღეს, ეტყობა, ძნელი დასაჯერებელია,

რომ ოდესღაც ბავშვი მეც ვიყავი.

პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში

დავდიოდით, ლიტერატურის კაბინეტში,

რომელსაც ქეთევან ანანიაშვილი, დაუფი-

ნყარი „დეიდა ქეთო“ ხელმძღვანელობდა.

შემოქმედებითი ჯგუფი გვერქვა, ვწერ-

დით, როგორც შეგვეძლო. დროდადრო

ლიტერატურულ საღამოებს ვმართავდით.

თორმეტ-ცამეტი წლისა ვიქნებოდით,

როდესაც ეს ისტორია მოხდა.

ლიტერატურული საღამოა, უფრო

სწორად, ლიტერატურული დღია. ვსხედ-

ვართ სცენაზე, ზოგმა უკვე მოასწრო გა-

მოსვლა, დანარჩენები ჩვენ-ჩვენს რიგს

ველოდებით. უეცრად დარბაზში გალაკტიონი შე-

მოვიდა, ცოტა ხნით პარტერში დაჯდა,

მერე, არ ვიცი, ამოიწვიეს თუ რა იყო,

სცენაზე ამოვიდა. ფეხზე წამოვუდგე და

ტაშით შევეგებეთ.

ძალიან ავლელდი, ჩემი გამოსვლა ახ-

ლოვდებოდა და გალაკტიონის წინაშე

როგორ გინდა, შენი უმწეო ლექსი წაი-

კითხო! მაგრამ სცენაზე დიდახს არ გაჩ-

ერებულა, კულისებში გავიდა და, მე

როგორც მომეჩვენა, წავიდა. შევბოთ ამო-

ვისუნთქე. მას კი სკამი მოუთხოვია, კუ-

ლისებში, მიფარებულში, დამჯდარა და

გვისმენს. ეტყობა, არ უნდოდა, რომ პა-

ტარები ზედმეტად აველეფებინეთ.

მაღე ჩემმა ჯერმაც მოანია. გავედი,

კათედრაზე შევედექი, საიდანაც ალბათ

ძლივს ვწანდი. წავიკითხე ლექსი და გამო-

ბრუნებას ვაპირებ. კათედრა სცენის მარ-

ჯვენა კუთხეში იდგა, გადაწეულ ფარ-

დასთან. უცებ ფარდის ნაკეცებიდან დეი-

და ქეთომ გამოყო თავი (დარბაზიდან ვერ

ხედავენ) და მკაცრი ჩურჩულით მეუბნე-

ბა: — ერთი ლექსი კიდევ წაიკითხე!

ვკითხულვო. დავამთავრე და ისევ მეს-

მის მისი ხმა: — ერთი ლექსი კიდევ წაიკითხე!

ასე განმეორდა რამდენჯერმე. დარბა-

ზი გაკვირვებულია, ყოველ ჯერზე დაბ-

ნეული უკან-უკან რატომ ვიხედები. შიგა-

დაშიგ, მგონი, სიცილიც გაისმა. მეც

არანაკლებ გაკვირვებული ვარ, ვერ გამი-

გია, რა ხდება. მოვრჩები ლექსის კითხვას,

გამოიხედავს დეიდა ქეთო და მიბრძანებს:

— ერთი ლექსი კიდევ წაიკითხე!

არადა, ჩემთვის საკმაოდ მტკივნეული

პროცესი იყო სცენიდან ლექსების კითხვა.

არ მომწონდა, რასაც ვწერდი, ძალზე იშ-

ვიათად მომწონდა. ბოლოს არ მივხედე

დეიდა ქეთოს ბრძანებას (თუ ლექსები შე-

მომელია) და დავექე. გალაკტიონი აღარ

დამინახავს, ისედაც წასული მეგონა.

იმ დღეს დეიდა ქეთოს ჩემთვის

არაფერი უთქვამს, მხოლოდ შემდეგ

გამიმჟღავნა, რაც მოხდა. თურმე გალაკ-

ტიონი ყურადღებით მისმენდა. მოვრჩებო-

დი თუ არა, დაუწინებო ითხოვდა: „უთხ-

არიო, კიდევ წაიკითხო...“ „ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...

„ერთი კიდევ“...</



ჯუანშერ ტიკარაძე

ჩვენ და ქალები

1. ქალს რომ შევუყვარდებით და ჩვენც ვეტყვი, მიყვარხარო, სწორედ იმ წამიდან იწყებენ ისინი შენს გადაკეთებას — აი, აქ ცოტა კიდევ მოუშვი, საყვარელო, თავისუფლად რომ ვისუნთქო, აქაც ოდნავ დამიმოკლე და ფეხები უკეთ გამომიჩნდება — მერე კი, ტანზე კარგად რომ მოგვირგებენ და დაქალის დაბადების ღამიდან შინ დაბრუნებულები ერთი-ერთი თავმომწონედ დატრიალდებიან ტრილიაჟის სარკის წინ, გარდერობში მიგაკიდებენ და ახლა კიდევ ახალი გრეგორი პეკის გამო მოჰყვებიან ოხვრას და ოცნებას.

2. ქალი რომ შეგვიყვარდება და ისიც გვეტყვის, მიყვარხარო, სწორედ იმ წამიდან იწყებ შენ ღიპის დადებას და მუთაქებზე არხეინად გორაობას — რასაც ზოგჯერ, არცთუ ისე იშვიათად, სხვათა შორის, შუბლის სულ სხვადასხვანაირი განტოტილი ნანაზარდებით დამშვენებაც მოჰყვება ხოლმე — მერე კი, საბოლოოდ ჩვენს საკუთრებად რომ დავიგულებთ (ორი ოფიციალური ბეჭდით — თითზე და ქალაღზე), ცოლქმრული ერთგულებისთვის სისტემატიურად აჯილდოებ მას გრძელ-გრძელი სადღეგრძელოებით და სამ-ოთხ-ხუთ-ექვს-შვიდ-რვა დღეში ერთხელ ორნუთიანი ზანტი ალერსით ტრადიციულ ქართულ პოზაში... აპ-აპ-აპ-აპ-აპ, არანაირი გადახრები საოჯახო სარეცელზე! კარგი სექსისთვის ხომ ცუდი ქალები არსებობენ.

ფელინი. ნისლი

ქალაქი ნისლში — ავადმყოფ მზის ამონახველი. დღე ჩასადენი ცოდვების ობით, ბეტონის ძეთა ბინდში ნაშობი. შემუშებულ შენობები. ზიზღი. ნაღველი. და დრო, დამყოლი, როგორც ტყეში, შუბლში სახლეი! და ღამეებიც, როგორც ჩაფრები. მილიარდობით მოვალთ, ჩავექრებით: ერთი ყალიბი, ერთი ხვედრი, ბევრი სახელი. ჟინი. უფსკრული უხილავი, უფლის მმარხველი, და ზედ კიდევ თუ ვერ შესდევქი... ნაინვეს რიგი. ერთიც. შემდეგი. ქალაქი ნისლში — ავადმყოფ დღის ამონახველი.

*** მე კი არ დავბერდი, უფრო ის ბავშვი დაკაცდა ჩემ შიგნით,

ახალწანიმარ ეზოში თავდავიწყებით მოჭყაპუნე რომ გაშეშდებოდა (თითქოს ჰაერივით უხილავი და შეუმჩნეველი ხდებოდა მაშინ სხვა ყველაფერი — დრო და სივრცე, სუნი და ბგერა, მატერია და ილუზია) და მონუსხული შეატყვერდებოდა მღვრიე გუბეში ალიცლიცებულ ბენზინის ცისარტყელას.

გათელილ გზაზე

ველარ შემალავ მტვერნაყრილი სიზმრების უკან დღეს, ხის კანივით სულზე ანათელეს. ადამის ჟინი ეფერფლება სამყაროს უკუნს: რაც რამ არ იწვის, ის არც ანათებს. ცა, მიწა, მიწა, ცის წყურვილი, სისხლში ნამარხი. აქეთკენ! აქეთ! — ვისი ხმებია? ჩანჩქერზე აღმა შეუპოვრად მისხლტის კალმახი. ცხვრები ცანცარა თხებს მიჰყვებიან. ქალაქის უღრანს ნისლი რბილი სუდარით მიტკლავს, სულ სხვა იხსნება ფიქრში სარკმელი. გეენის ცეცხლში სათითაო ლევიდება სიტყვა, ჯვარცმული ბავშვის მზერით სათქმელი. და დარდიც, დარდი... ალსასრული დროს ეკლად კენჭნის, სცემს შენს საკანში ბოლთას, ცაო, მზე. ღამეს ცვლის ღამე, ეჭვს და ქენჯნას — ქენჯნა და ეჭვი... მშვიდად ძვლებია სასაფლაოზე. ბედის თამაში შეებურა ვნებათა თრიაქს, სარკე კი ახალ ნიღბებს არიგებს. გათელილ გზებზე ყველგან მარტო ნაგავი ყრია, სხვაგან ეძებენ თვალ-მარგალიტებს.

*** თითქოს ძველი ფოტოფირი იყოს, მტკვრისფერი რიბირაბო ამჟღავნებს წლების ჩრდილქვეშ შეყუჟულ ქალაქს: სკვერი, ქუჩები, მახსოვრობიდან მონაბერი ლორთქო სურნელი და თავბრუსხვევა ასახდენი სიზმრების გამო... გაზაფხულია, მენს სხეულზე აყვავდა კაბა.

*** ბოლო იმედიც რომ მოკვდება ახლის ჩასახვამდე და ტალღა აგვლეჯს კანიანად ხავსს ხელჩასაჭიდს და სიზმრებისგან დაცლილ უდროობაში ღვთივგარეთ რომ ჩაგეძინება... როგორც სძინავს ძილს უძილო ღამეს; როგორც სინდისს სძინავს; როგორც გასროლილ ტყვიას სძინავს მოკლულის ტანში.

ქასაოზიცია

ვიდრე ბედის მწერლის სიზმრებში ჩახლართავდეს სიკვდილის დაუდევარი წინათგრძობა პიკანტური სანელებლებით შეზავებულ სიუჟეტს და კვანძის გასახსნელად რაინდებისა და მოროდორების არმიებს დაძრავდეს, ჯერ მშვიდი დილაა (წუხელ უწვიმია), მზეზე შრებიან სენ კლუს ნამთვრალევი ტავერნები და სენაც ტალღებს კურტიზანის გავასავით მიათამაშებს... მე ვარ მისი უდიდებულესობის ფავორიტი მუშკეტერი (როგორც მოქნეული რაპირა: ბასრი და მოქნილი), ქუჩაში უსაგნოდ მოყვალე, და შენ კი — აივანზე გადმომდგარი კეკლუცი ბანოვანი და სწორედ ამ წამს, როცა შენს აივანს გავუსწორდი, ბატისტის ცხვირსახოცი ხელიდან (შემთხვევით?) გაგივარდა...

ოთხმოცდაათიანი წლები. საქართველო. სალაამო. სათელის შუაზე

შეხედეთ ცის ფრინველთ: არც თესავენ, არც მკიან, არც ბელღებს ავსებენ, და მამა თქვენი ზეციერი არჩენს მათ. მათე, 6, 26

თოვლი. თოვლიდან ამოჩრილი შამბი, ჯაგნარი. დრო — მხოლოდ ანწყო — უსაშველოდ გაგრძელებული. აქ აღარც ხნავენ, აღარც თესავენ.

მეც შევეჩვიე ბელურების ხვედრს.

და მიდის ასე და ადგილს ტკეპნის... უბრალოდ, დღის ბინდს შეენაცვლა სალაამოს ბინდი და არ დამთავრდა, რაც უნდა დამთავრებულიყო, აღარც დაიწყო.

მეც შევეგუე ბელურების ხვედრს.

მაგრამ აჩნდება, აი, ზეცას მწუხრის ვარსკვლავი და მის გარშემოც მისი დები იზადებიან და უცხო მადლი უხსოვარი განცდების და მოგონებების მშობლის ლოცვასავით უამებს სულს სასწაულის მომლოდინე ქვეყნიერებას...

არაფერია, არაფერია. უხილავი ხელი არწევს დედამიწას, უხილავი ხელი უსწორებს საბანს მოკუნტულ საქართველოს.

დღემ მოიტანა და ნაილო სიცოცხლისთვის მსხვერპლშესანირად ეფემერული სიხარული და იმედები: დილის სხივები, სახეზე მოლამუნებული; შუადღისთვის გამლხვარი გუბე; დღევანდელი დღის სამყოფი საზრდო, თოვლქვეშ გაქეცილი; უკან თითო-თითოდ მორჩენილი ყველა საზრუნავი დღევანდელი დღის.

მე შევეჩვიე ბელურების ხვედრს.

ბუდეში თბილად სძინავთ ჩემს ბარტყებს. მეც მემთქნარება. მოშვებული ვარ ახლა, დაცლილი, ბედნიერი... ხვალ, დღევანდელი მზის ამოსვლამდე.

ან აქამო, ან იქით

ყოველთვის არსებობს უტყუარი საშუალება ვალის გასასტუმრებლად: რევოლვერი.



აინის სისხლი

სინდისის თვლემა
სარკის მიღმა
ნიღბებს იბრალებს:
სხეულის სიზმრებს ენდე? — მიქარე.
შეეპარება
დილისფერი
ლამის სიბრმავეს,
სად ადგილი აქვს ცას სამზისკარე.
და მზეც ამოვა.
მერეც. მერეც.
ო, ადამიანს
რას მიაძინებს სული უძღვები...
დავიხოცებით?
დავიხოცოთ.
დიდი რამეა.
ჰაერს ამაოდ ვებლაუჭებით.

ჯერაც ადრეა. ჯერ კიდევ ადრე.
ჯერ არწევს აკვანს სიკვდილის ძიძა.
ქალაქს ურწმენო ლოცვებში ღვიძავს
და ცვლიან ბოსხის კადრები კადრებს.
და ხსნა შორია. დახსნა — მეტადრე.
თვლემს ეტნა. თვლემს ცა. ერთურთის გვერდით
ძოვს ოთხი ცხენი ოთხივე მხედრის...
კი, კვლავ ადრეა ჯერ, ისევ ადრე.

ქალაქი ნისლში
უცნობი იმპრესიონისტის ნახატი

გადღაბნილი დღე. დღის ნამწუხრევი
ედება დალლას ეკალგერბიანს.
ქუჩები ნისლში სხვაგან უხვევენ
და მოგონებებს ეკარგებიან.
და ზმანებების ზანტი მუხლუხო
გადავა ხსოვნას, თვლემს ელდა მისი
და მხოლოდ ჩვენსა, თვალეზუხლებს ხო
ღმერთსაც, ეშმაკსაც უმაღავს ნისლი.

ყველა სიმაგრე
უცილობლად
ეცემა ბოლოს —
გამცემის ბოლომით თუ მტრის ხრიკებით.
აი, აქა-იქ
ნახანძრალი
ტკივილი ბოლავს...
ვინც ვართ, ის უკვე ვეღარ ვიქნებით.

თავად ნოზრევეან ჩაილურაღის
გადივივივილის ფიქრები სიბერის თაობაზე

1.
გადღაბნა დღე სხვა დღეების უხსოვრობაში
და კი არ დატოვა,
გასაგრძელებლად გადასცა ტვინს
რალაც ტკივილი უსახელო,



ნასვლისა და დარჩენის სევდა:
გაჰყვა,
გაჰყვა ბედნიერების მოუხელთებელი ანარეკლი
ჩამავალ სიზმარს
და უსაშველოდ დაგრძელდნენ
სისხამამდე მისათრევი ღამეები...
როგორც რადარმოშლილ წყალქვეშა ნავს
ათამაშებს ალაღბებზე
ეკიპაჟის შიშები და იმედები
ოკეანის საფერავისფერ უკუნეთში
და შინისკენ გეზი ვერ აუღია,
ისე უთავბოლოდ დაგვბორიალობ მეც
წარსულის და მომავალის მოგონებებში.

2.
გამივიდა საგარანტიო ვადა...
თვითონ,
მე თვითონ ვცდილობ ხოლმე,
თავი როგორღაც მაინც შევიკეთო:
ქარხნულ დეტალებს კუსტარულით ვცვლი
და ისე ჯახხირით დავატარებ ტანს,
როგორც 1957 წლის „შევროლე“ თავის მძღოლს
დღევანდელი ჰავანის ოდროჩოლო ფოლორცებში...
დაძვრა კბილები სულჩაბერილ თიხად ყოფნის ჟინს —
ირმის გავას დაკიდებულ მგელს —
და წასულების და მოსასვლელების
ბედისწერით ჭიან ჰაერს
ძვლამდე დასული ღრძილებითა ვებლაუჭები
და ინავლებიან ჩემს სისხლში
დეკემბრის მზის ნაკვერჩხლები
და ქალების უშურველად მოშიშვლებული ბარძაყებიც
მარტო თვალებს ახარებს უკვე,
ამ კონნილა ვაჟბატონს — აღარ...

გამივიდა ვარგისიანობის ვადა.
გინახავთ თქვენ ძველებური სეკრეტერი?
ადგილ-ადგილ ლაქგადასული,
ჩატეხილი,
მოუბრუნებელი დღეებითა და ღამეებით გამოტენილი.
მე ვარ ეგ სეკრეტერი.
ვისთვის — რელიქვია.
ვისთვის — ხარახურა.
ახლოვდება,
ახლოვდება სახლის სრული რედიზაინი!
და მეც...
ჰო,
თითქოს საახალწლო სატკაცუნო იყოს სიცოცხლე
(შვილებს რომ ჰგონიათ,
თვითონ მაინც არ დაბერდებიან) —
ერთს გაინმაურებს,
ცეცხლსა და ფერად ქალაღებს გამოყრის
და ბოლო გააგაგაგებას
გასაფანტ კვამლს ამოაყოლებს...
ჩვენი ამონაძეგლებიც ასე იფანტება?
ასე იფშვნება სიკვდისციცხლე
ჩვენი ტკივილებით განოყიერებულ ჰაერში?
და მიიზღაზნება ცას შეკვამლული ირმის ნახტომი
პირველქმნილ არარსში გასაფანტავად
და დედამინაც —
ჩვენი ნეშტთ და ფიქრთშესალაგი...
თუ მხოლოდ კატაფალკა, კატაფალკა?
გამივიდა ექსპლოატაციის ვადა.



ნუგზარ ზაზანაშვილი

სადღაც, რომელიღაც ეკლესიაში

ისინი ბედნიერები არიან,
გვირგვინდადგმულები,
ისინი
ახლა
ძალიან
ბედნიერები
არიან —
დეკანოზის მიერ საიდუმლოს სერიოზული,
მეტისმეტად სერიოზული აღსრულებისასაც კი
ლიმილი უნათებთ სახეებს.

და მერე რა რომ — ერთ წელიწადში შეიძლება
გაცილდნენ ერთმანეთს, ან ათ წელიწადში —
მტრებად გადაეკიდონ...
ისინი ახლა ბედნიერები არიან,
აი, ამ წუთს,
აი, ამ წამს
ძალიან
ბედნიერები
არიან...

სისადავე

თუმცა მეც ვიყენებ კომპიუტერს,
მიკროტალღოვან ღუმელს,
ელექტროჩაიდანს
(აღარაფერს ვამბობ ტელევიზორზე,
გაზქურასა და მაცივარზე)
მაინც ძველმოდური კაცი ვარ —
მიყვარს სიმეტრია და სისადავე...

გავიფიქრე ეს და წარმოსახვამ შემომიტია:
კაცო, დაბრმავდი თუ როგორაა შენი
საქმეო? — ვერ ხედავო, რომ კომპიუტერიც,
მიკროტალღოვანი ღუმელიც, ელექტროჩაიდანიც
(აღარაფერს ვამბობ ტელევიზორზე, გაზქურასა
და მაცივარზე) მაქსიმალურად სიმეტრიული
და სადააო!..
ჰოდა, რაა აქ სადავოო,
რას მიედ-მოედებოო?..

ჰმ!

როცა ამინდი ცაში
სულაც არ არის ცუდი
მაინც გაკრთება თვალწინ
პატარა
შავი
ყუთი

მომელანდება ხოლმე
აგრეთვე
შავი
ხერელი

დრო = ლოდინს
ჰოდა...
დამხვედურთა
ლიმილს
ველი

წითელ-ყვითელ ხეივანში
მე და ჩემი დობილი
ვმოდრაობთ უმოდრაოდ,
ანუ ავტომობილით.

შემოდგომის ხეივანი
უკვე უნდა დამთავრდეს:
ყველაფერს აქვს დასასრული,
ბოლო არ აქვს არაფერს...

რა აზრი აქვს? — აღარ ვმფოთავ,
აღარ ვლელავ სრულებით...
ვიცი, მალე გამოჩნდება
პუნქტიც დანიშნულების...



საქცი ერთ დროს ცნობილი მსახიობი იყო. მოვლილი ჰქონდა დედაქალაქის თეატრები. ფათერაკების და არყის სიყვარულის გამო ვერსად ჩერდებოდა დიდხანს. ქალები უარს არაფერზე ეუბნებოდნენ. ქმრები იგინებოდნენ, ცოლებს სცემდნენ და ინტრიგებს უწყობდნენ. მკვლელიც მიუგზავნენ. ვერაფერი დააკლო მკვლელმა — პირველად ააცივინა, მეორე გასროლით მხარში დაჭრა. მესამე კი ვეღარ მოასწრო, თეატრის სხვენიდან რკინის დაკიდულ კიბეზე დაგორდა, თვითონვე მოიტეხა კისერი.

თავში აუვარდა. ბოლოს ძალიან ბანალურად და კლასიკურად მონამლა რეჟისორმა — ასეთი ეჭვი ჰქონდა ყველას. „ტრივიალურია!“ — ჩურჩულდნენ მსახიობები. „სხვა რამის მოფიქრებაც შეიძლება, — ნუხდნენ უფრო ბებერი აქტიორები, — უნიჭობა დაღუპავს დღევანდელ თეატრს!“ ულამაზესი ცოლი ჰყავდა იმ რეჟისორს, სხვა ქალებისგან ისე გამოირჩეოდა, როგორც გვიმრებში ამოსული გლადიოლუსი. ძალიან ჰგავდა ერთმანეთზე ნაირფერი გვირგვინებით აწყობილ ყვავილს. მისი ჭრელი ფერები და ესადაგებოდნენ კოხტა თავში ჰაიპარად განკრიალებულ ხმებს. ორი მთავარი სიცარიელით ხელმძღვანელობდა ქალი: სიცარიელით, რომელსაც თვალები უვსებდნენ ფერადი და ძვირფასი ნივთებით, და სიცარიელით, რომელიც ფეხებშია ჰქონდა ამოსავსები. და მორჩა, ტორიჩელის შესახებ არც არაფერი სმენოდა და არც აინტერესებდა. აი, ქმარი კი ვერასოდეს იცლიდა ამ სიცარიელების ხეირიანად ამოსავსებად. ყველაფერში ძუნწი იყო. რეჟისორს ვებერთელა თერმოსით დაჰქონდა რეპეტიციებზე ყავა. ხანდახან თუ უნილადებდა ვინმეს. როდის-როდის გაიხსენეს — მთელი თვე არავისთვის შეუთავაზებია ყავა, არც თვითონ მიჰპარებია თავის თერმოსს, მხოლოდ ტიბალტს დაუძახებდა — კაცი მაშინ ავ და უხიაგ ტიბალტს თამაშობდა — რალაცას მიუთითებდა ვითომ, მერე დაუხსნდა და აძალეებდა ყავას. გვატემალიდან მიგზავნიანო, არწმუნებდა, არაჩველებრივიაო. ერთხელ კონიაკიც შესთავაზა. არ მოეწონა კონიაკის გემო. ცუდად გახდა. საერთოდ, გრძნობდა — ბოლო დროს ვერ იყო კარგად, ერთთავად გალიზიანებული დადიოდა, აზრი გაუბრუნდა, იბოლმებოდა, ისეთი აგრესიული გახდა, ტიბალტი მონაგონი იყო. არადა სულ უარყოფითი გვირგვინის თამაში უწევდა ამ რეჟისორის ხელში — მოლაღატების, მკვლევების, თაღლითების... უჭირდა როლიდან გამოსვლა. ორჯერ გადაუტყდა საფაროკო დაშნა. სანამ ახლებს შეუკვებავდნენ, რეჟისორმა შინიდან კავალერისტის ორი ძველი, ეკატერინესდროინდელი მოოქროვილი ხმალი მოიტანა. „ბუტაფორიული იარაღი ისე არ განაწილებს მსახიობს, როგორც ნამდვილი!“ — ამბობდა, — ამას სიმძიმეც მეტი აქვს, აგრესიას უფრო რეალურს ხდის.“

ემძიმა ხმალი, თითქოს მიეზარდა ხელზე. პრემიერისთვის ახალი ხმლების მოტანა ვერ მოასწრეს. გაბრაზებული სცემდა ბოლთას რეჟისორი, კაკვირვებული გამოხედვავდა ხოლმე. ის კი იჯდა, ყავას მიირთმევდა. იმ ავბედით ღამესაც თვალეგახელილს ეძინა — შავ ტრიკოში გამოწყობილი ბნედიანი ტიბალტი დაძრწოდა ოთახში, კავალერისტის ხმალი ეჭირა, აწყდებოდა კედლებს. დილით თავი გახეთქვაზე ჰქონდა, ერთი ჭიქა კონიაკი გადაჭრა და თეატრში წავიდა. კავალერისტის ხმლით გავიდა სცენაზე. იმ სცენაში ველარაფერს ხედავდა. არცერთ თეატრში არავის ენახა ასეთი ტიბალტი. მოკრუნჩხულ ხელებს ითვალერებდა გაგიჟებული თვალებით, აღარ ესმოდა, რას ღრიალებდა და მოკლა გაოცებული მერკუციო, ლავინიდან ტრაქემდე ჩაჩხა. ერთი კვირის შემდეგ მოვიდა გონზე — საავადმყოფოს ლოგინზე ინვა, ხელები საწოლის რიკულზე ჰქონდა მიბმული. სასამართლომდე სამი თვე გავიდა. ხუთი წელი მოუსაჯეს, ისიც „ექვსიანობის ნიადაგი“ გააჩალიჩა ადვოკატმა — ადრე რომელიღაც ოფელიას დაატარებდა აღმა-დაღმა — პატარა, ჭყეტელა და მეტიარა გოგოს. მალე მობეზრდათ ერთმანეთი. ეს ოფელია კი მოკლულ მერკუციოს ყვარებია თურმე. არა, კარგი ადვოკატი იყო. მეტიარა და უნიჭო ოფელიასაც აწყობდა

ეს ამბავი — გამოჩნდებოდა, თუმცა გათხრება მოესწრო ამასობაში. ინტერვიუებად იღვრებოდა, ხანდახან შესძახებდა ხოლმე: „ღმერთო, რა ვიცოდი, ასე თუ ვუყვარდი!“ „ნამდვილად არ ვიცოდი!“ — უდასტურებდა ქმარიც.

ეს მერე, ციხეში ჯდომისას ჩაასმინა ოფელიამ, რეჟისორთან გაბმული ყავის სმის ამბავი გაახსენა. მთელი კოლექტივი ამაზე ლაპარაკობსო, უმტკიცებდა. ჯერ ყურადღება არ მიაქცია, მერე ყველაფერი ამოუტივტივდა თავში, დარწმუნდა და... გაბოროტდა. ნორმალური აღარ ეთქმოდა, თავზეხელაღებული „ზეკვიცი“ კი ერიდებოდა. სამი წელი გავიდა და გამოუშვეს — იძულებითი მკურნალობა დაუნიშნეს. სამი წელი ადგენდა შურისძიების გეგმას. რომ გამოდიოდა, არავისთვის უთქვამს. რეჟისორი ღამით დაბრუნდა სახლში. ბნელოდა და გაუკვირდა. სანამ შუქს აანთებდა, რალაც ზმუილის ხმა ჩაესმა. შუქი აანთო. წვერმოშვებულ და შარვალჩახდილ კაცს მისი შიშველ-ტიტველი ცოლი პირდაღმა გადაეწვინა ლომისთაუბიან მაგიდაზე. ქალს მკერდი უშ-

გამოიღო, ჯიბეში ჩაუღო. არ დაუთვლია. კართან მისულმა ერთი კიდევ გამოხედა, თვალი ლამაზად ჩაუკრა, გატრიალდა და წავიდა.

„შურისძიება ღმერთების საჩუქარია! — ხმამაღლა თქვა სადარბაზოში, — კაცმა არ იცის, ვის როლს ვთამაშობ ახლა, დიდი ცირკიდან გამოვდებული დამპალი კომედიანტი!“ — დასცინა თავს. სიბნელები მიაბიჯებდა, თენდებოდა, მზე მხრებსუკან ამოდიოდა. ის კი ჩქარობდა, თითქოს მიმავალ ღამის ჩრდილებში სურდა დარჩენა. მაშინ გაახსენდა ეს ზღვისპირა ქალაქი. მანანალა, მასავით მოხეტიალე მეზღვურებთან მეგობრობდა ერთ დროს. მთავარი იყო, ჩაეღწია იქამდე. ააპარებდნენ გემზე — ოდესაში უნდოდა მოხვედრა. იქ უფრო ბევრი მეგობარი ჰყავდა, მსახიობებით დაწყებული, ქუჩის არამზადებით დამთავრებული. გვარს და სახელს გამოიცვლიდა. ყველაფრის დაწყება შეიძლება თავიდან. მაგრამ მატარებელშივე დაიჭირეს. ვილაც ხეპრე მგზავრებთან ერთად დათვრა, დაუბნელდა თვალეში. რალაც სახეები მოდიოდნენ, ირეოდნენ

პაატა ბერიკაშვილი



ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

ნოდ გასდებოდა შავი ლაქით გაპრილებულ მაგიდის ზედაპირზე, პირი აკრული ჰქონდა, იმზირებოდა დაბინდული, დაბნეული მხერით. შარვალჩახდილი კი თავისსავე „პარაბელუმს“ შუბლში უმიზნებდა რეჟისორს. „უცებ ვერც იცნო.“

„ყავა არ დავლიოთ, ძველო, გვატემალიდან?“ — თვალი ჩაუკრა კაცმა და ესროლა. გაოცებულ და ელდანაკრავ რეჟისორს სახის ნაკვეთებიც არ შეცვლია, ისე გაშეშდა. სხეულმა ბრაგვანი გაიღო იატაკზე და ასეთივე გაოცებული სახით დამარხეს. კაცმა „პარაბელუმს“ დადო, მაგიდაზე გადათხლაშულ ქალს აწრიალებული თავი დაუჭირა და დინჯად განაგრძო თავისი საქმე. მერე წამოაყენა, პირი გაუთავისუფლა, ტუჩებში აკოცა და ხალათი მოახურა.

ერთმანეთში. მერე შეკამათდნენ — „ვარდი უფრო ლამაზია თუ გლადიოლუსი?“ „ორქიდეა!“ „ვარდი თუ გლადიოლუსი?“ „პარაბელუმს“ ამოიღო, ერთს თავი გაუტყდა, მეორეს ფეხებში ესროლა — დაჭრილი კვილით გორავდა კუპის იატაკზე. თხუთმეტი წელი მიუსაჯეს. ამით დამთავრდა ოდესისკენ მოგზაურობა. როდის-როდის დაბრუნდა ზღვისპირა ქალაქში — უფულოდ, უყველაფროდ. ქალაქი ვეღარ იცნო — ქვეყანაში სამი რეგულაცია მომხდარიყო ამასობაში.

„ახლა რა უნდა ვქნა?“ — იკითხა ქალმა, ქმრის გაშეშებულ სახეს დასცქეროდა.

„ახლა თავისუფალი ხარ! — უთხრა კაცმა, — დამშვიდდები, ამოისუნთქავ და ფრთები გამოგვსხმება... დიდი, კრემისფერი ფრთები.“

„ფრთები...“ — გაიმეორა ქალმა, — თეატრში ვეღარასოდეს დავბრუნდები...“

„ნამოხვალ ჩემთან?“

ამ ყველაფერმა ახლა, უცებ გაურბინა თვალნი. სავარძლიდან კიდევამომწვარი პლედი აიღო, მხრებზე მოიხურა, ისევ სავარძელში ჩაჯდა. „წელან ის რა იყო?“ — თავზე დაადგა ქალი, მკერდზე ცხვირის და ხელების ფათურს გულისხმობდა.

ქალი გრძნობდა — კაცი გადაკარგვას აპირებდა. საჩქაროდ მიუგო: „არა, ვერ წამოვალ!“

„არაფერი. სიზმარში გნახე. დამესიზმრა, რომ მკერდზე უამრავი ნაოჭი გქონდა. მატლებივით დაძვრებოდნენ ის ნაოჭები, ძუძუსთავებზე გახობდებოდნენ... შემეშინდა. დავრწმუნდი, რომ ასეთი არაფერი გქონდა. კონიაკი დაგრჩა?“

„მამონ მე რომ წავალ, თხუთმეტი წუთში პოლიციაში დარეკე! — თან შარვალს იკრავდა, — ოღონდ არ დაიბანო, სანამ ანალიზს არ აგიღებენ. შეიძლება არ დაგიჯერონ და ქმრის მკვლელობა დაგაბრალონ.“

ქალი წავიდა, ჭრიალით გამოაღო კარადის კარი, გაუხსნელი კონიაკის ბოთლი მოიტანა, ტკაცანით გახსნა, მერე გაბრუნდა, ჭიქები და დამქვანარი ფორთოხალი მოაყოლა. ზედიზედ დალიეს სამ-სამი ჭიქა. კაცმა თვალეები დახურა. თვალდახუჭულმავე თქვა:

„არასოდეს? — დააკვირდა კაცი, — ყვავილებს წვიმა უხდებოდა, გლადის... უნდა დაიბანო ხოლმე... — მიეფერა და ძუძუს აკოცა, — ასეთი მსხვერპლი არავის მოუთხოვია შენთვის.“ „პარაბელუმს“ ქამარში ჩაიტეხა. ქალმა კარადიდან ფული

„მთელი ღამე კარის ჭრიალი მესმოდა...“

„სევერიანს ბუფეტში ჰქონდა დამალული რალაც, არ ისვენებდა — გამოიღებდა, მონრუპავდა... ბოლოს წავართვი და დაემალე. რალაც საზიზღრობა იყო, კინალამ გული ამერია.“

„კარგია კიდევ რამეზე თუ გერევა გული...“ ქალი გაიბუტა. გატრიალდა, კოჭლობით წავიდა, აკოკოლავებულ ლიბებზე დაჯდა გულხელდაკრეფილი. „ლამაზი სახე და მკერდი, არყისგან ცოტა აჭრილი სხვადასხვა ფერის თვალეები და...“

უცებ ეს კუზი, გვერდზე გადახრილი წელით. მაგრამ ჩვენ გვიყვარს კონტრასტები“, — თავის თავს მოეთათბირა კაცი. არ გამოუვიდა — უცებ ისეთი ზიზღი მოეძალა, კინალამ წამოაზიდა. მოიყუდა ბოთლი, ბოლომდე გამოსცალა დარჩენილი კონიაკი.

„მარჯვენა, რას წრუპავდა ბებერი ნაბიჭვარი!“ — ქალი ადგა, ლიბებიდან შამპანურის მუქი, ნახევრად სავსე ბოთლი გამოაძრო, წამოიღო და რომ მოიტანა, დიდხანს ვერ უშვებდა ხელს.

„სიცოცხლისგან ხელები მეკრუნჩხება!“ — გაიმეორა. „სიცოცხლისგან არა, ოფელია, — დაუდევრად უთხრა კაცმა თან საცობს აძრობდა, — მარილებისგან. მარილები ბოთლების რეცხვამ იცის, თანაც ორმოცდარი წლის ასაკში. ხელთათმანებს რატომ არ ხმარობ?“ „ოფელია არა ვარ... შარშან შემისრულდა ორმოცი წელი. ხელთათმანებით კი ვერ ვმუშაობ.“ „ნუ მატყუებ, ესმერალდა! ცოლად კი არ მიწადიხარ!“ ქალმა შუბლიდან თმები გადაიყარა, ზემო ტუჩი გაოფლიანებოდა. ცისფერ თვალში აუკიაფდა რალაც. ყელი მოიღვლა, თავის შალეების გახალვათებას შეუდგა.

„ვერ მოვასწრებთ, — კაცი ქალის თვალეებში შეაშინა, — საცა მოვლენ... რას მიყურებ? შავი თვალი... ცისფერი თვალი... მგონია, ორი სხვადასხვა ქალი მაზის ზემოდან...“

„ზემოთ აძრომას შენ მაძალე ხოლმე!“

„ტრაკის განძრევა გეზარება და იმიტომ.“

„ეგ საქმე არასოდეს დამზარებია... — გაბრაზდა ქალი და გაახსენდა, — აბანოს ფული მომეცი!“ — შარზე იყო. „ყველა რომ წავა, შენც მაშინ წავი...“ — კაცმა ისევ თვალეებში ჩახედა, ზემო სართულისკენ იშვირა თითი, — მალლა რატომ არ ადიხარ საბანაოდ?“

„იმის აბანაში არ დავიბან! — თავი გააქნია ქალმა და შესთავაზა, — ერთად წავიდეთ აბანოში!“ „არა, — კაცი ჩაფიქრდა — იყვენ ერთად იმ აბანოში უკვე. არ იყო სასიამოვნო სველ და შიშველ ტანზე კუზის ყურება, ამას ძუძუსთავებზე გაჩენილი ნაოჭებიც ემატებოდა, მერე ეს თვალეებიც... ამ დროს სიბნელე ყველაფერს ერჩივნა, და გაიმეორა, — არა!“

„იმ ბოზს ხომ კარგად დაათრევ?“ — განინმატდა ქალი.

„ვინ არის ბოზი? აქ ყველა სამოთხის ქალწულია დედაბრებით დაწყებული, პატარა, გალოთებული გოგოებით დამთავრებული!“

„ლარა სამოთხის ქალწული?! — ქალს კონიაკი ძალიან მოჰკიდებოდა, — აბანოში რა ესაქმებათ სამოთხის ქალწულებს?“

„რა ქნას? ზოგი ანგელოზი აბანოში მუშაობს... ბოთლების საქმე ვერ მიდის კარგად. ვნახოთ დღეს რა კანონს მიიღებენ ბუტლეგერებზე. თუ გაუგრძელეს ლიცენზია, მეარყეები დიდ ფულს იშოვნიან. ჩვენ ცოტას, მაგრამ მაინც კარგად ვიქნებით.“

„თუ არ გაუგრძელებენ?“ „მაშინ ყველაფერი დამთავრდება. ამალამ წავალთ და რატუმას გადავწვავთ.“ „აქამდეც უნდა გადავწვენა! სახლებიდან გამოგყვარეს... ყველაფერი წამართვეს... ციხეებში ჩაგვყარეს...“ „ჰერიონი არ უნდა გავყიდა, ესმერალდა!“ „არ ვყიდი!“ — ბუტბუტებდა ქალი, თვალეები უბრწყინავდნენ უკვე, ოფლით დაცვაროდა მთელი სახე. ლაბადა გაიხსნა, ცალი ფეხი ასწია, გაფარჩხა, კაცს სავარძელზე გადააღაჯა და წვალეებით დააჯდა მუხლებზე, პალეების თვალეების გახსნა დაუწყო. „გეყვარა!“ მაგრამ ქალს აღარაფერი ესმოდა, საზურგეს ჩაებლაუჭა, გადმოიხარა, სახეზე დაადო გაღვლილი მასურიდან გადმოკიდებული ძუძუები. „Собаچه носики мой... голубьи блохенные...“ — თვალეები მილულა, ისევ ცხვირი გაუხახუნა კაცმა: „გეყვარა-მეთქი!“ — მაგრამ ამ დროს მოითენთა და გაიტრუნა. თვალეები აღარც გაუხეულია, არ მოძრაობდა, თავის ჭკუაზე ირჯებოდა ქალი. ბოთლი გაუვარდა ხელიდან. მარმარილოს ფილებზე დედიღვარა რალაც მრუფე, აჭრილი სითხე. სხვადასხვა ფერის პნკალები აიხლართნენ მელნისფერ გუბეში, გავარვარებულ სპირალებს გავდნენ. ნესტოები აენვა, ცალი თვალით დახედა გუბეს — „რას სვამს, ეს უბედური?“ ბოთლის ყელიდან ინელებოდა სქელი, მკვეთრი და ჭრელი სურნელი... სურნელს ფერიც კი ჰქონდა — ჭაობის

გამხმარი ბალახების და დამპალი ხილის.
ჭალაში, ხის ძირებში სველ, ყვითელ ფოთ-
ლებზე განოლილი ხალიანი ვასაკები გაახ-
სენდა. ინელეობდა ის სურნელი, მერე სხ-
ვადასხვა გულისამრევ არომატებად გამ-
ლილი ილექებოდა ყველაფერზე...

არაფერს არა აქვს ისეთი საძაგელი,
ბოროტი სუნი, როგორც შამპანურის
ბოთლში ჩარჩენილ ნალექს, რომელშიც
რაღაც ამოუცნობ კონიაკთან ერთად შავი
ღვინის ნარჩენი და არაყი იყო ჩარეული.
ყოფილი ეკონომისტი, ამჟამად ბოთლებ-
ის ქუჩა-ქუჩა შემგროვებელი „ბომბი“
სევერიანი ყველაფერს სვამდა. ახლა ეს
სურნელი დაფარვატებად დარბაზში,
თვალვებდათხრილი ღამურასავით ეხლე-
ბოდა კედლებს და ყველაფერზე თავის
ლორწოვან კვალს ტოვებდა. ქალი,
როგორც იქნა, მორჩა და დაოკდა, ბევრი
არაფერი გამოსდიოდა მანძი. ნავიდა და
მადლობის ნიშნად კარადიდან ახლა არყის
ბოთლი გამოაძვინა. კარგი არაყი იყო.
გაუკვირდა — ყველამ იცოდა, რომ მის-
თვის მეტის დაღვევა აღარ შეიძლებოდა,
აუცილებლად გააფრენდა, შეიძლება ისე,
რომ ვინმე შემოკვდომოდა კიდეც. და მა-
შინვე მიხვდა ყველაფერს: ქალს უნდოდა,
ისე გათიმულყოფოდა, რომ სხვის ვედარავის
მიკარებოდა იმ დღეს, ოცდაერთი წლის
ლოთ გოგოზე — ლარაზე — ეჭვიანობდა.

„რას ერჩი იმ გოგოს? — ამოიხსრა
კაცმა, — თან მაგას ფრთები აქვს, ხომ
იცი?“ „ყველა ქათამს ამოსდის ბურტყლი!“
„ფრთები ბურტყლი არ არის! ანგელოზის
ფრთებისგან ბალიშებს ვერ დაამზადებ!“
ლარა სამი წლის იყო, დედამისი რომ გად-
მოაგდეს რომელიღაც რუსული გემიდან.
მთელი დღე ბორიალობდა არყით მთვრა-
ლი ქალი სანაპიროზე, სანამ მასავით
მთვრალმა ბულვარის დარაჯებმა არ შე-
ათრიეს ბუდრუგანაში. მეორე დღეს ვაგზ-
ლის დაცვას გადააბარეს, შემდეგ „ბორც-
კომბინატის“ ეზოს ვაგონების ავარებს შეა-
ფარა თავი. ასე იზრდებოდა ლარა — ნაირ-
ნაირი რკინის „კრაოტების“ კუთხეებში
დედის გაფარჩხულ ფეხებს შორის მიკუნ-
ჭული. იმ „კრაოტებში“ მისი ადგილი თუ
გამოჩნდებოდა, ხომ კარგი, თუ არადა,
იატაკზე უნევდა დაგლეჯილ საბანზე ან
სათბურაზე ძილი. თვალს გაახელდა, ჭუ-
ჭყიანი, პატარა ფანჯრიდან შემოსულ
პროექტორების შუქზე შესცქეროდა
დედამისზე გადაფარებულ სხვადასხვა
ბანჯგვლიან, სლიკინა და ოფლიან სხ-
ეულს. დაუსრულებელი ტორტმანი, ხვნი-
შა და გინება ახსოვს და ცემა, ცემა... როცა
მთვრალი დარაჯი ან დარაჯის ძმაკაცი
ქალთან ველარაფერს ახერხებდა, მასზე
იყრიდა ჯავრს, მერე ლოთი დედის ჯერი
დგებოდა — ფულს თუ არ გადაუხდიდნენ,
ისიც გოგოს მისდგებოდა. დედის ხელი
უფრო მწარე იყო, თან უყვიროდა — „რას
მიყურებ?! რას მომტყარებხარ?!“ გამუდ-
მებით ასმევდა არაყს, სათა ჩასძინებოდა
და დაძინებულსაც სცემდა. გალოთდა
ლარა. თვითონ ჩაღიზობდა არაყს, ნებოს
ვერ შეენყო. პლანს ანევიანებდნენ შინიდან
ვაგზალზე „პაბეგში“ გაქცეული, ქუჩის ბი-
ჭებს მიკედლებული „დედას ბიჭები“, მერე
რას აღარ უშვებოდნენ ხოლმე. ამ უკა-
ნასკენელებს ცოტ-ცოტა ფულები უჭყაო-
დათ ჯიბეში, ქუჩის ბიჭებს კი ანაშა ჰქონ-
დათ და ლარასნაირი გოგოები ჰყავდათ.
იმათ მოცემულ კაპიკებსაც ართმევდა
დედამისი. არყის ფულს ძლივს გადაარჩე-
ნდა ხოლმე, დათვრებოდა მაშინვე და მშვი-
დდებოდა. ერთ დღესაც სადგურის ბუფ-
ეტში არყის საყიდლად შესულმა ძველი,
ღანთი დაჩხანნილი ტრიუმიუს ვებერთელა
სარკეში დაინახა საკუთარი თავი — დიდი,
ლამაზი და უძირო თვალები ჰქონდა...

აფრთხობდა ხოლმე ბიჭებს ეს თვალე-
ბი. როცა სანახევროდ შარვალჩახდილი
ბიჭები უგერგილოდ გადააფოფხდებოდ-
ნენ ხოლმე, თვალს ხუჭავდა. დედამისის
ბანჯგვლიანი, ლიპიანი და აბორგებული
დარაჯების სხეულები ახსენდებოდა, მათი
ოფლის სუნი და ფეხები მოელანდებოდა
მაშინვე... თავში ჩარჩენოდა სუნიც, სხ-
ეულებიც... თუ შეეშინებოდა და თვალს
გააჭყეტდა, ბიჭს მაშინვე ელეთმელეთი
მოსდიოდა მისი მზერის შემხედვარეს,
აღარ ვარგოდა კაცად, ფართხაფურთხით
შეიკრავდა შარვალს, გაიძურნებოდა.

მაგრამ იმ სარკეში ცისფერი თვალებ-
ის ანარეკლს არ გაუოცებია გოგო —
ფრთები ჰქონდა! მხრებზე გარღვეოდა
გაცრეცილი კაბა, იმ ნარღვევებიდან გად-

მოჰკიდებოდა კრემისფერი, დიდი და ია-
ტაკამდე დაშვებული ფრთები. შეეშინდა,
მაშინვე შესცივდა შიშისაგან. უცებ ფრთე-
ბი თავისით შემოეხვივნენ ტანზე, გათბა.
მოათვალიერა დარბაზი — მაგიდებთან
კანტი-კუნტად იჯდა ხალხი. ზოგი რაღა-
ცას მიირთმევდა, ზოგი ჩაის სვამდა ან
კროსკორდს ავსებდა მატარებლის მოლო-
დინში.

„ფრთები მაქვს!“ — ჩურჩულით შესძა-
ხა გოგომ.

არავის არაფერი გაუგია. მერე ნაცნობ
ბებერ, უზარმაზარულვაშებიან მე-
ბუფეტეს მიუახლოვდა.

„ფრთები მაქვს!“ — უთხრა, — კრემის-
ფერი ფრთები!“

მებუფეტემ გრძელ უღვაშებზე გადა-
ისვა ხელი, თვალები მოჭუტა. ასე იცოდა,
როცა რაიმე საინტერესოს აკვირდებოდა.

„ესე იგი ფრთები გაქვს!“ — უთხრა, მა-
ღალ, თლილ ჭიქაში არაყი დაისხა, მარ-
ჯვენა ხელით დაიჭირა, მარცხენა ხელით
უღვაშები აინია, ჰაერი შეისუნთქა და
გადაკრა. მერე ცარიელი გრაფინი აიღო,
ზედ კოვზი შემოჰკრა. უზარმაზარი დარ-
ბაზი წკრიალით და უცხო ჩიტების სტვენ-
ით გაივსო, — ყურადღება! — ყვიროდა



მებუფეტე, — გოგოს ფრთები აქვს! კრემ-
ისფერი ფრთები! მაგრამ კაპიკიც არ უჭ-
ყავის ჯიბეში!“

მაგიდასთან მსხდომებმა გაიცინეს და
ტაში დაუკრეს. შემინულ კართან ფეხ-
მორთხმულმა ცალფეხა, მელოტმა მათხ-
ოვარმა ყვირილი მორთო: „მეც მქონდა
კრემისფერი ფრთები... მაგრამ დედაკაც-
მა ბუმბულ-ბუმბულ გამძარცვა... ჩემი
ფრთებისგან მარაოები გააკეთა... ახლა
ჩემს სახლში ცხოვრობს, ჩემს ლოგინზე
სძინავს, ჩემს ხაშსა ხეთქავს და ჩემი ფრთე-
ბის მარაოებით ინიავებს აყროლებულ სი-
ფათს! ვაიქეცი, შვილო, გაიქეცი და ვერ-
ავინ ვეღაფერს ნაგართმევს!“

გოგო ვერ გაიქცა. მაგიდის ბინადრები
შემოხვეოდნენ, უწვდიდნენ ღვინის, არყის
ბოთლებს, ნახევრადგაფცქვნილ ფორ-
თხალს, მოკბეჩილ ძეხვებს და
შოკოლადებს, კროსკორდებს, ვიღაც ქალ-
მა გაბერილი ნითელი ბუმბიცს კი ანუქა —
„ესეც დაფრინავს!“ — უთხრა. ბოლოს მე-
ბუფეტემაც დაუსხა ასი გრამი. დალია.
შეეშინდა — „ამხელა ტვირთს როგორ მოვ-
ერევი?“ მაგრამ ფრთები, ფრთები ჰქონ-
და! სულ ადვილად მიათრია ვაგონამდე.
იქ კი ბებერი, მთვრალი ალქაჯი დახვდა
თავის ძმაკაცებთან ერთად. ყველაფერი
დაითვალა და ბედნიერი დღე გამოითენდაო,
გამოაცხადა.

„ფრთები მაქვს!“ — უთხრა დედას!

„დიდი ამბავი... მეც მქონდა ფრთები!
— მხრები აჩჩინა ალქაჯმა და მხრებზე
დააკვირდა, — ისე, მშვენიერი ფრთები!
კარგადაც გაიყიდება. აჰა, შენ ბუმბი!! და
გარეთ გამოაგდეს. მეორე ღამეს არაყი
თვითონ უშოვა დედას, დაათრო, მერე ნაყ-
ინს გიყიდო, დაახარბა და სანაპიროზე
გაასეირნა. ალქაჯს ჩინური კედები მოს-
ცევოდა, დალილავებული თითები გას-
ჩანდა, ფეხები მტკიცეაო, იგინებოდა. ნაყი-
ნი და არყის პატარა ბოთლი უყიდა. მოთ-
მინებით დაელოდა, როდის დაცლიდა
არაყს, ნაყინს დააყოლებდა. ამასობაში
ძველ ზვირთსამსხვრევებთან მივიდნენ.
ბეტონის უზარმაზარ კუბებთან მიიჭყუა,
ნაქცია და წყალში ჩააყოფინა თავი. ეშ-

ინოდა — „ვერ მოვერევი! ვერ მოვერევი!“
მაგრამ ფრთები შევლოდნენ, ქარში გამ-
ლილიყვნენ, მძლავრად ეკიდებოდნენ ჰა-
ერის ჭავლებს, წონასწორობას უნარ-
ჩუნებდნენ. ყველაფერი დამთავრდა, ალქა-
ჯი აღარ იმძრეოდა. ბულვარზე გახარე-
ული დარბოდა გოგო და მოსეირნე შეყ-
ვარებულს ენას უყოფდა: „ფრთები
მაქვს, ფრთები!“ დაიჭირეს და გამოსაფხ-
იზლებელში წაიყვანეს. გაამიშველეს,
ყვითელი, ჭუჭყიანი კაფელებით ჩაჟამე-
ბულ ოთახში შეაგდეს, შავი რეზინის
მილებით მიუშვეს ცივი წყლის ჭავლი. მა-
გრამ ნითელი ბუმბიც არ ნაურთმევიათ.
სველდებოდნენ, ინავლებოდნენ ფრთები,
ბუმბიდან ნითელი საღებავი წვეთავდა.
გული ნაუვიდა ბოლოს.

გათენდა. დილით კიდეც რაღაც ანკე-
ტა შეავსეს, ნამალი დააღვეინეს, შუადღე
დგებოდა, რომ გაუშვეს. კარგად გამოეძ-
ინა, გამშრალიყვნენ ფრთები, ნიავის
ოდნავ შემობერვავეც კი წკრიალებდნენ,
ბუმბიც იცხებოდა ფერებით, დიდი ნითე-
ლი ვაშლი რომ მნიფდებდა, ისე. დედა მორ-
გიდან გამოასვენეს, წაიღეს და სადღაც
დამარხეს. იმ ღამესვე დაესიზმრა, ფერ-
მკრთალი, კეთილი სახე ჰქონდა დედას,

არაფერი უთქვამს, მაგრამ იმდენი ცრემ-
ლი სდიოდა, დილით მთლიანად დასველე-
ბულ ლოგინში გაეღვიძა. ხომ არ ჩავიფ-
სიო, შეეშინდა — ძალიან მთვრალს
ემართებოდა ხოლმე. მუცლის ქვემოთ
მოიფათურა ხელები — არა, საცვალის
მშრალი ჰქონდა და რამდენი უტირიაო,
გაუკვირდა. დედის მერე არავინ დაუჯერა,
ფრთები რომ ჰქონდა, იმ კაცის გარდა, ვის
სარდაფშიც ცხოვრობდა ახლა, ვის ბოთ-
ლებსაც რეცხავდა და... სადღაც პირველად
მოენონა ადამიანი. იგრძნო — კაცთან
წოლა მარტო ტანჯვის მომტანი არ იყო.
ასაკი არც არასოდეს უკითხავს კაცის-
თვის, ეფერებოდა მკერდზე გაჭაღარა-
ვებულ თმებზე, სიხარულისგან ტიროდა
და თუ ციოდა, თავის ფრთებს გადაა-
ფარებდა ხოლმე.

გარედან ხმაური მოისმა. მეოთხე ჭიქა
არაყს სვამდა უკვე. ქალი არაფერს უშლი-
და. ჩამსხვრეოდა არყისგან თვალები უკვე.
ხმაური გაბმულ გნისაში გადაიზარდა და
კართან დაკიდებულმა ზარმა მორთო რე-
კვა. ერთიმეორის მიყოლებით შემოდიოდ-
ნენ ბომბები — გათომილები მოაბოტებდ-
ნენ, ნითელი და ლურჯი ცხვირები დაძენ-
ძილ კაშნეებში ჩაყვით. პირველი ლარა
შემოვარდა, სიცივისგან თეთრად შეჭირხ-
ვლოდა ფრთები. მერე მელქისედეკი
მოდიოდა, ყოფილი პოლოკოვნიკი, ზორბა,
ერთიანად თეთრი, ლომის ფაფარივით
გაბურძენული თმებითა და წვერით.
ძალიან მთვრალი იყო. უბეში თავის
განუყრელი ტურტლიანი ფინია ეჯდა.
მელქისედეკს შავი, ჩაფართხუნებული,
მტვრით და აბლაბუდებით სავსე ფრთები
მოუჩანდა ზურგსუკან. ველარასოდეს
გაფრინდებოდა მელქისედეკი. სევერიან-
მა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ
მუცელზე იტაცა ხელი, მაშინვე გავარდა
გარეთ. „ფაღარათი აქვს — აკისკისდა
გოგო, — იმიტომ, რომ ყველაფერს პირში
იტენის!“

მაშინვე კისერზე ჩამოეკიდა: „დალიე?
რატო დალიე? — მერე ქალებთან მოფუს-
ფუსე ლაბადიან ქალს გახვდა, მასაც ცალი
ყური აქეთ ეჭირა, — „НУ и сука ты гор-
батая!“

გოგო მივარდა და თმებში წაწვდა. კი-
ვილით გაგორდნენ ცემენტის ჩაჭრუხე-
ფრთები ძალიან ადგებოდა ლარას, სხვე-
ბი ვერ ამჩნევდნენ. ზემოდან დააჯდა, რამ-
დენჯერმე დაარტყმევინა თავი ფილაზე.
ცალთვალა სოსომ დოღს შემოსცხო, საჭ-
იდაო დაუკრა. „გეყოფათ!“ — დაიღრია-
ლა პატრონმა, მაგიდას ისეთი მუშტი დას-
ცხო, ლაოკონის ბროლის ბურთულებმა
წკრიალი მორთეს. კანისტრებით ნავთი
მოეტანათ. გაუკვირდა — ამდენი სად
ანაპნეს? — არადა, ზამთარი მოდიოდა
უკვე. დარბაზში ველარ ეტეოდა ხალხი.
ქალებმა ნაალაფარი მაგიდაზე გად-
მოალაგეს, ლეიბებზე მიყრილიყვნენ და
ხვნიშოდნენ. დანარჩენები გაავარვარებულ
ქურას შემოეხვივნენ, მიაფიცხეს ხელის-
გულები, ნაღვლიანად დასცქეროდნენ
ჩანჩნიკებულ ბოთლებს. სულ ბოლოს კნა-
ჭა გიორგა მოვიდა, გამხდარი და აწონ-
ილი ძლივს მოათრევდა ვერცხლისფერ
კანისტრას. „გეცე ნავთია?“ „ეს სპირტია,
— უთხრა სახეგაბადრულმა გიორგამ, —
ბატონმა სერგიმ გამოგიგზავნათ, ბიჭებ-
მა არ მოინწინოთო!“ „მაგ სერგის ფული
აქვს მოსაცემი!“ „ფული ჯერ ვერაო, —
მხრები აჩჩინა გიორგამ, — მუშაობა არ
არისო!“ „რა ხდება? — მელქისედეკს მიუ-
ბრუნდა კაცი, — რა კანონები მიიღეს მე-
რიაში?“ „მუშაობა აღარ იქნება, დი-
ასპოტე! — როხროხა ხმით დაიგუგუნა
მელქისედეკმა, — ბუტლეგერებს აღარ
დასჭირდებთ ჩვენი ბოთლები... იმიტომ,
რომ აღარც ბუტლეგერები დასჭირდე-
ბათ... დღეს სამნი დაიჭირეს უკვე, „მორ-
ვაგზელ“ ედიკაზე კი ამბობენ —
ძალღებმა მოკლესო!“ „ესე იგი დამთავრ-
და ყველაფერი?“ „დამთავრდა. მთავრობა
თვითონ ჩამოასხამს არაყსაც და ბოთლებ-
საც, — მელქისედეკმა უბიდან სპირტიანი
ბოთლი ამოიღო, მოიყვდა და რომ დაცა-
ლა, თქვა, — სხვა გზა არ არის, დიასპოტე,
ამ ზამთარს თუ გაუძელით, გაზაფხულზე
რომელიმე სწრაფმავალი კატარა უნდა
გავიტაცოთ და ჩვენს გზას ვწვით!“

შემლილი მელქისედეკი ათი წელია,
ბოდავდა გატაცებულ, ორქვემეხიან კა-
ტარლაზე. ამბობდა — სანაპირო დაცვა
მოშლილია, მესაზღვრებთან „ბარდაკია“,
კატარლას თავისუფლად გავიტაცებთ,
ზღვის სივრცეებს ვეზიარებთო. „დამშ-
ვიდდი, ალბატროსო! — ხელი გაუქნია
კაცმა, — საზიარო არაფერი გიწვდა“. —
ნამოდგა. „ბატონმა სერგიმ ძროხის ჯი-
გარი მოგართვათ კიდეც და ლორისაც...“
„ხედავ, მელქო? ზღვაზე ვინ მოგართმევს
ჯიგარს?“ „ზღვაზე ზვიგენის მწვადები არ
მოგვაკლდება, — ჩაიბუზღუნა მელ-
ქისედეკმა, — მერე კიდე უთიხები და თი-
ნუსები... რვაფეხები და მოლუსკები...
თითებს ჩაიკვნეტს კაცი!“ „დღეს ვქეი-
ფობთ! — ხმამალა გამოაცხადა კაცმა,
— სუფრა გაშალეთ! სამი ქალი გამომე-
ვეით და ჯიგარი ნამოიღეთ. შენ ნამოდი!
— უთხრა კუზინას, — მორჩი ტირილი და
ნამოდი!“ ქალმა ცრემლები მოინმინდა.
თეთრი გველები ჩასახლებოდნენ ორივე
თვალში. ქალებს უხაროდათ ზევით, სამზა-
რეულოში ასვლა, ტკბილი მოგონებები
აეშლებოდათ ხოლმე. ნიოკი ატყდა. „ის
ნამოვიდეს, ვინც კერძის კეთება იცის!“ „მე
ნამოვალ, დიასპოტე — ფინია იატაკზე
დასვა მელქომ, — თითებს ჩაატან, ისეთ
ყაურმას გავაკეთებ!“ „შენ არ მჭირდები,
მელქისედეკ, და ეგ დიასპოტე კიდეც და-
გიძახია, ოთხში ამოვიღებ!“ „კარგი, ბა-
ტონო!“

კაცმა მალალი, ორასზგრამიანი ჭიქა
გაავსო სპირტით, ლარამ ფორთოხალი
გაუფცქვნა, შუაზე გაჭრა — „არ დალიო“.
„სხვანაირად შენს ფრთებს ვერ ვხედავ,
ლარა!“

წელი ადიოდა თეთრი მარმარილოთი
მოგებულ, მორკალულ კიბეზე. უკან ბაჯბა-
ჯით მიყვებოდნენ ჭყეტელა შალებში გახ-
ვეული ქალები. შესასვლელში არავინ იყო.
აქ დამიცადეთო, ქალებს დაუბარა, მიაშუ-
რა მეორე სართულს. ყველა ოთახში სინა-
თლე ენთო, საძინებელში შედარებით
ბნელოდა, მხოლოდ ტორშერი ენთო ფან-
ჯარასთან. სანოლის კიდეზე წელით გამა-
რთული ქალი იჯდა. ჭაღარა თმები უკან
ჰქონდა გადავარცხნილი, შავი თასმით
შეეკრა. მუხლებზე გადაშლილი წიგნი ედო,
თითები დაელაგებინა ზედ. დაძაბული
თითქოს ელოდა რაღაცას.



ფიქრების იალაღი

სიბნელიდან ამომზირალ ლანდებს როცა მართლა აიმგზავრებს შიშები, კლდიდან კლდეზე სხივს ხიდივით გავდებ, ვდგები სხივზე და თავს ვევეარჯიშები. ხიფათები. ხიფათების რიგი. ძაღლის თავი. დამარხული არაკი. ეჭვი — გარეთ. ეჭვი — გულის შიგნით. სხვა ეჭვებზე აღარ მაქვს ლაპარაკი. „ნეტა“ „თუმცა“ „ვაიმე“ და „იქნებ“ (როცა შორისდებულებში ხელს ვურევ), სარქლის გულით მოვიმწყემსავ ფიქრებს, იალაღზე საბალახოდ შესულებს. მხარზე ვიდებ ცისარტყელას — კომბალს და გაუთლელ ლერწამს ხელით დავიჭერ. საჭიროა ხრამთან ერთი — „ჰოპლა“ — დაიძახო ვიდრე გადააბიჯებ. გული ამბობს — არ ჩავიცდეს ფეხი — კოკას წყალი როდი მოაქვს ყოველთვის. გაფრთხილებას — ყურად იღებს გლეხი. გაფრთხილებას — ნაუყრუებს პოეტი. გაჩენიდან ვარ ორთავეს მონა, ქედნახრილი ნუთისოფლის ტვირთით, აგერ ახლაც უფსკრულს თვალით ვზომავ და შემკრთალი მაჯისცემას ვითვლი. უფსკრულიდან ამომზირალ ლანდებს როცა მართლა აიმგზავრებს შიშები, კლდიდან კლდეზე სხივს ხიდივით გავდებ, ვდგები სხივზე და თავს ვევეარჯიშები.

გამოქანისილების კედელი

განცდა ამოუხსნელი — ოცნებების ზღვარი. შენს წინ თეთრი ფურცელი. დაკეტილი კარი. სიყვარულის ცდუნება — ხელოვნება ჭარბი. არც რომ მშვიდი ბუნება... მოთამაშე წარბი... ბედისწერა ხილული — პოეტების ხვედრი. სიზმარში ჩაძირული წარბეჭეტილი მდებრი. გასწრებული ფეხების მადეგარი ლანდი, ერთ დროს ბედნიერების მაძიებელს ჰგავდი. ესეც, ოქრო-ლოტოსი — ღვთაებრივი ქოლგა — ფუნჯის მოსმა ჯოტოსი — ფერში თვალი მოლბა. მომხიბვლელად მორეულს, თანაც ნაზურმუხტევს, თავისთავზე მორეულს, განცდას სანთელს უნთებ. თვლემს ფერდობზე ტაძარი, თუ ფრინველი რამე — შვენივს გულის ხანძარი განათებულ ღამეს. მალლა მოჩანს ღილები — ვარსკვლავების თქორი, დაბლა — ვარდ-ყვავილებით მოქსოვილი მოლი. სმენას კანრავს ქუხილი, ასხლეტილი ჩქამით და შორიდან უღიმი მობოძებულ ამინდს. სივრცეს დაინადავლებს მოდარავე მზერა, ჟივჯივები — ნადავლი, სხვა რა უნდა ძერას. გაღმა რუა ანკარა, თუ ნიშნების ბინა, სიზმარ-ცხადი არ კმარა — მაინც მოგეწყინა. და ცას შეეკიდება დანისლული თვალი, იქაც — ქალის დიდება! იქაც — ქალი!.. ქალი!.. მისტიკოსი გონებით — აზროვნების მწყემსი, გულით მისტიკოსების საკვილოა ლექსი. სხვების წარმოდგენები თარგმანებას ითხოვს, სხვა ჯადოა მშვენივით სიღარიბის სითბო. სილამაზით მახინჯის უხილავი ხიბლი — გაჩენილი კარს შიგნით ჩაკეტილი იღბლით. ეძებ ჭმუნვის მიზეზებს, რახანია ეძებ, გესმის ამ დროს — „ვინც ეძებს, პოვნას მართლა შეძლებს“. დალაგებულს შორი-შორს ნოტებს — გედის თავებს, გული, გული მოითხოვს — ყური ემკითხაოს. სმენამ მოინადირა ხევ-ხევ ქარის კვნესა, ნისლი — თეთრი მანდილი, თვალში გიდგას დღესაც. ჩრდილი, ჩრდილი მზიანი, ავდრიანი დარი, გრიგალის წინ — ნიავი, ცა — გაჭრილი დანით. ელვა. ელვის ენები. წვიმის სველი ფარდა. ალვას შეეშველები — ნაქცევზე დამდგარს. ვის, ვის ეგულუხვები, ვისთან განყოფს ზავი, დაგვიძიმა მუხლები — ტბორი ჩადგეს ღამის. დროა დავაკებული — დაცურებას ელი, აღარავინ გეგულვის შეაშველოს ხელი. ფართოვდება სამყარო, ვიკარგებით თითქოს და... ფარხმალი დავყაროთ თუ ღმერთს რჩევა ვკითხოთ. დაფარულის დანახვა არის ბრძენების ტვირთი — შიში, შიში თან ახლდა, როცა ამას მიხვდი. ვარდის რბილი ფურცელი თუ პირ-სახის ასლი, რა ახლოდან უცქერი — ხელის გულზე დასვი. შენი სახე სხვის თვალში, რა სხვაობას გეტყვის, შეფაკული რიჟრაჟით — დილის გრილი სვედით. გშენის, შენ რა გგონია, მომხიბლავად გშენის — მჩატე მელანქოლია — ბედისწერის ძღვენი. ხილულ წარმავლობას აიოლებს ზოგჯერ ხიდან ჩიტის გალობა — უღრანების მორზე. მონაზონის ფერი აქვს ამ დროს შემკრთალ მთვარეს, ბალახები მღერია და ღამის ნამს სვამენ. ისადაგებ იარაღს, გაიხსნება რა რო, ჩათვლემილი იარა — შთაგონების წყარო. წნორი. ჭალა. ფურცელი. მოლი. ყანა. ქოხი. რჩება დღესაც უცვლელი — თოხი!.. თოხი!.. თოხი!.. მოლზე მჩატე ვარაყი — ათინათის კვალი,



ზაალ ებანოიძე

შეფარულად ამაყი — თვალი!.. თვალი!.. თვალი!.. ავალობით ევნები, სიყვარულს რო ახლავს, სიზმრებს აედევნები — ნახვალ!.. ნახვალ!.. ნახვალ!.. ესეც — ეპითალამა, იდუმალის სახელს, მზერა ცრემლმა დანამა — სახეც!.. სახეც!.. სახეც!.. იგვიანებს არილი და ფოთლების მარში, მოდულარი წყალივით — ჩაშრი!.. ჩაშრი!.. ჩაშრი!.. თავში, თავშესაქცევად, სძინავს უკვე დრო-ჟამს, აღარ გაძლევს არჩევანს — მორჩა!.. მორჩა!.. მორჩა!.. როცა აზრის ბუნება სხეულს აიჭრელებს, ბნელში რა ეგულებათ მოცახცახე ხელებს. ხმა — ექოსკენ ნასული, შეიფერებს მღვიმეს და სიზმრიდან ასული მორცხვად გაგიღიმებს.

მთვარის ნასუფრალი

მეტაფორაში ჩარჩა, როგორც ჩამქრალი ჩქამი, ისე მფეთქავი მაჯა და უსხეულო წამი. მსურდა გეცვალა სახე და გაქცეოდი ქაოსს: მახე!.. მახე და მახე... ძმაო!.. ძმაო და ძმაო!.. სათნოყოფილი ჰქვია და სუნთქვა ჰქვია შენი, ვისაც გული აქვს ღია, ვისაც ღიმილი შვენი. გულმა მოიღო ხავსი, ღანჯზე დაცურდა ღელე; ხელზე რა მჩატედ დავსვი, რა მძიმე იყო მერე. ვარდის ტევრიდან მოდის, ჟინი მოდის და ვნება; როდის, როდის და როდის, მოვა თვალთან და ქრება. ძილში ფარულად იშვა, მონესეობა მისი, — თაყვანისცემის ნიშნად, თავის დაწვევის ღირსი. არ გაგაჩნია? — გასცემ! — რას და როგორ და რაფერ?! ყიჟინა უნდა დასცემ; კაფე!.. კაფე და კაფე!..“ კამათელივით ბრუნავს ირგვლივ ცხოვრება მთელი და უკაცრავად ნურას — ხავსს რო ვერ წვდება ხელი. რატო?!.. რატო და რატო?! — ფიქრში ამოხსნა — ცდილობ: რასაც რო ცხადში ვნატრობთ, იგი სიზმარშიც ძვირობს. ყური ათხოვ ნიავს, როცა სიჩუმით შეკრთი, და ამბობ ცოტა გვიან — ცოტა ადრე რო ვერ თქვი: „ეჭვი — ქალური სენი — ფრთა უსხეულო ქარის, არის ციური ძღვენი, თუ ნასუფრალი მთვარის“.

მიასლოვება

ფოთოლ-ფოთოლ იგრძნობა ჩამოღვრილი სინათლე, სადღაც ღელე ღარღილობს და ჩიტის ხმა მოისმის; თავის სანუგეშებლად ისევ ტყეებს მივმართე და მოძრავი ჩრდილები ნაბიჯ-ნაბიჯ მოვისხი. დამაქვს გულუბრველობა — ზეზეული ხალისი, თუ მუდმივი სასჯელი — მეოცნებედ დარჩენა; ჭრელი ჭიამარია ხელზე ხათრად დავისვი და ცის შესახარებლად განვდილი მაქვს მარჯვენა. ბუნდოვანი ბნედა და ნეტარება ერთია — მარტოობის აჩრდილი შეიფარებს ორთავეს; იტყვი — „მამაზეციერს კალთა დაუბერტყია“ — სერებს თეთრი თხებივით ტყემლები რო მორთავენ. მზერამ სიცარიელეს მოუქსოვა სამოსი, სამოსს გარეთ — კლდეები აშვერილი ეშვებად; როცა ცხენის კუდივით ქარი ღრუბელს გამოსკვნის — ციდან ელვის მათრახიც ამ დროს ჩამოეშვება. გაულანდავ მღვიმეთა მიღმა ფიქრის ჭერია, ბუდეებიც შენდება — ფანტაზიას ვენდობი... თითქმის არ გამოიგია, ისე ჩავცდი ლელიანს, ესეც — სვენებ-სვენებით ავლილია ფერდობი.

მინდორი და წყალია მოლივლივე ყოველთვის, შუბლზე — ცივი ხვითქია, მოთესილი მარცვლებად; გული უკან იბრუნებს, რო მინდა და რო ვერ ვთქვი ამ ამიტომ საცაა ყელში ამომანვება. ამო-ამოვილოცე, ამჩატება ვიგრძენი თუ ფეხდაფეხ ავყევი აჩემებულ ვედრებას; და ნიავი — დამფრთხალი, უსხეულო ფრინველი, ამ დროს გაიშრიალებს და ცას შეეკედლება. მისხალ-მისხალ ვამონმებ ყოველ გადაბიჯებას და ხელდახელ ჯამდება დაცემა და ადგომა; მაგრამ მაინც არ ვიცი, რა სიცოცხლედ მიჯდება, რა სიკვდილად მიჯდება ყოველი დღის დადგომა. თრთოლვამ გადაიარა გაფითრებულ სახეზე და ტყეების დუმილი აიტკიცეს ყურებმა: ამ დროს უფრო მაშინებს, ამ დროს უფრო მაქეზებს, ამ დროს უფრო მამძიმებს კენჭის გახმაურებაც. შეთავსება ვისურვე უსხეულო ლანდებთან, თუ დამსხვრევა ვისურვე უხილავი ხუნდების; მინიერი ყაყანი — ფეხდაფეხ რომ დავგვედა — მორცხვად გადმოთარგმნილი ზუზუნია ფუტკრების. როცა დაღლილ თვალეზე ქარი ჩამოეკიდა და ჩანჩქერის ფეთება თავის საქმეს აკეთებს, მაგონდება, ასეთ დროს — ქალი შექმნეს ნეკნიდან და სამოთხის კარები სამუდამოდ ჩაკეტეს. რაა, რო ვემალები, ვითომ მართლა არ ვიცი, რასაც ორმაგ სოფელში მხოლოდ ერთი როლი აქვს; ფიჩხის ყოველ გატეხვას მაჯისცემად განვიციდი და ხეების შრიალი მთების სუნთქვა მგონია. შიში მაინც შიშია, აშკარაც და ფარულიც, ხელი ვერ შევიშლია — როცა უნდა, გვეწვევა; ერთადერთი შეწევნა არის ბრმა სიყვარული — ღმერთის ბრმა სიყვარული — ერთადერთი შეწევნა. ჰა, ყომრალი ბინდები. ბოლო სხივიც ჩავიდა, ფუყე-ფუყე სხეულში ჩამყუდროვდნენ ბორცვები; გადავჯდები ქარონის ნავში ნოეს ნავიდან და მობოლიურ სანახებს ხელს დავუქნევ მოწყენით.

დაუშთავრებალი ღამისი

მიდხარ! — იქნება სჯობდა არ გამეშვი (ფიქრებით მოგყვები — გიხსნი და გარიგებ), ვიდრე არ ჩახედავთ სამოყვროდ თვალეში ერთმანეთს — მე ამ ლექსს ვერ დავათარილებ. დრო — ამონარიდი ციტატი ჟამიდან, როდესაც სინანულს მოიტანს გულამდე, კანკალი, თქვენს გამო კანკალი ამიტანს და გაბოროტებულ ქარს დავაყურადებ. ზართქმაში გადააქვს გზადაგზა ხრამების ყრუ ამოძახილი და ამოკენესება; ცრემლებით მევესება ასეთ დროს თვალეში, ასეთ დროს თვალეში ცრემლებით მევესება. შუქი გამოჟონავს ღამეში შორიდან და რიბირაბოთი ცა შეიფაკლება. ასეთ დროს ჟრუანტელს, ჟრუანტელს მოიტანს, სიცხის მოჭარბებაც და სიცხის დაკლებაც. ღიმილი აპურებს ორჭოფულ იმედებს და მიმტევებლობა ამშვიდებს მოდავეს; ეს დღე და ეს წამი რას გამოიმეტებს, რომელიც ზიარად გჭირდებათ ორთავეს. დაბინდულ ქლიავის ლივლივა სარკეში, მოძრაობს მიდამო და ლანდებს არიგებს, ვიდრე არ ჩახედავთ სამოყვროდ თვალეში ერთმანეთს — მე ამ ლექსს ვერ დავათარილებ.

ჩემგან, ჩემით

ერთხელაც ჩემგან, ერთხელაც ჩემით
შეთლი ლაჟვარდს ბინდის რეკვიემს,
ეს რა მიყავი, ფესვში გარჩენილს
რა უნებლიეთ გადამერქმე.
ნუ შეუზარი გულისთქმის ბუხარს,
მუგუზლებს ველარ მოაქუბობებ,
რა უგუნებოდ სიცოცხლეს წუხხარ,
წუხხარ რა, თმენის რანდავ კუბობებს.
შემოიქნია ფრთა მაფშალიამ,
ეზოს მიეზნა ციცარ-ხოხიანს;
კამეჩბივით ჰყრიან ლაფში და
უთენიამდე მთვარეს ცოხნიან
დღეთადღეები. დილის უსტარო,
მო, გამოუგდე კარი საგდულით,
იმ ფარლალა ქობის ჭუტარო
ჩემი ნერწყვით მაქვს გამოსარქული.
ამ მზერის იქით ჩემი სახლია,
ამ მინის იქით ჩემი ედემი
და სინამდვილე ისე მძაღვა,
შროშანებს მტვერი ისე ედება,
გეტყობი: ბედი მაქვს ნამზეური
(მზეზე ვაფენდი დრაფის პალტოებს),
თუ გავიხადე ერთხელ სხეული,
თუ ეგ სხეული სადმე დავტოვე.

ურგული

პლანეტებჩაღმა მოჭრიალეს ჩაჰყვები ურმებს,
ნიავერებს ჩასდევ, მხრებში ელვები ჩაგბნინია,
თივა ნედლია, ღამე არის ნედლი და მრუმე,
მეხრევე, ამ ღამეს — უბირს და ნატიფლავინიანს
კოფოზე გაკოჭავ ელვის დაჭმული ნოხებით,
იმ ქვეყნის კიდეს ჩემი მსხმოიარე სახლია,
მზეები უსიკვდილოდ მომინახულებენ,
მთვარეები ბასრ დისკოებს ერთმანეთს ახლიან.
დრო ქარვის კრიალოსანია და სათვალავს
აუ, რას აურევე, რას დაბორკავ, რას გახედნი,
მეხრევე, ეტყობა ალაზნის დუდღუნმა გაგთვალა,
მაცა, ბრონეულივით გაპობილს და გახეთქილს
ცას გამოსალოცად უბეში ხელს ჩაუყოფ და
ციცინათელებს ციმციმ და ციმციმ ამოუყურე,
გალაქტიკების შემეხვიე მწიფე ნაყოფი —
ნინ წლისოდენა ღამეა, მეხრევე, უმზერი, უყი.
პლანეტებჩაღმა თივებიანს მოუძღვი ურმებს,
ელვას თითებით დაუბნინა შენი ვუალი,
ზოდიაქოში შეხსნი ხარებს, იხდი სამუმებს,
დულს შენს ურმულში ნათელი და გარდაუვალი.

ნათლისჰამიარი

ნამოგვიფრინდა ენკენისთვე ბებრის ყორიდან.
ეგ წეროები იმერეთის ზეცას ლამბავენ.
გრძელი კისრებით წეროები სევდას ყივიან
და სადღაც მიაქვთ ჩვენი ამბავი.
მწიფე ყანებში ახლა უფლის თვალი ტრიალებს,
ოქრო ეღვრება თივას გულში. გაღმით ცირცელი
ტანზე იმშრალეს ამ დღეების მშვიდ მათიანეს,
ორლობეს ცხენით ამოივლის უფლისციხელი.
რა გადაწერა ენკენისთვე ამ კვირაძალზე
მზიურ დავთარში, რა შეაბა ჩალის გიტარას,
ან თვალბეშა რა გაცრა და გაფინა ნარზე,
ან ეგ ნალამი ზვრებიდან ვინ გამოიტანა.
დანდება ხსენი. ქარი ქერის თავთავებს ვარცხნის,
თვალს არ ამორებს ქორი ბებრის ყორიდან ციცარს,
ვინ გაურია უფლის ყანებს ამდენი ღვარძლი,
ან ენკენისთვე მხრებზე როდის შემომეცრიცა.
დაყიალებენ ლაჟვარდები ჩვენი ზმანებებში,
სად მიდგა ჟამი, ეფემერებს რომ მიერიდა,
მწუხრის ლანდებით შესუდრული, უნდო, ურვილი
ვბრუნდები ნათლის გატოტვილი ჟამიერიდან.

სუსტი თოკი

მთვარის იოდისფერი ვარცლი რომ აპირქვავდება
და ფშანს სიჩუმე რეფრენივით გადაუვლის,
ფეხქვეშ რომ ნემოს საფანელი ასისინდება
და ხელმწიფეც წუთით სალოსია —
აირბინე მაშინ,
ჭილის სანდლებით აირბინე ნეილონის კიბე,
აბა, მხრებში გაიშალე და თქვი:
— სისხლის სუნი დის, ჯენტლმენებო,
ყურის დაბზარული ნიჟარები ამოიგმანეთ,
ქარაშოტებით მოფშვნიტილ ველზე
ბოროლა დაკლეს უდმრთობმა!..
ეს შენი როლის პირველი ფრაზებია პიესაში,
იანვარმა რომ წაანერა ფიჭვების უბინო კენწეროებს.
ამ ფრაზებს ხავერდოვანი ბარიტონი უხდება,
ხავერდი,
ხავერდი გაისწორე ხმაში.
გზადაგზა გაიხადე შენი ლანდი
ფუტურო,
აჩეჩილი
და ჭილის სანდლებით აირბინე ნეილონის კიბე,



რომლის განყვეტილ საფეხურზეც ჩემს ლანდს შეხვდები,
მინანქრის ტიხრებიანი დარბაზისაკენ რომ გაუხვევს,
სადაც ჩუმად და მოწყენით სკდება ბათქაში და
მკვდრულ სიჩუმეში ტრომბონების შემზარავი გუგუნის
ისმის.
მხრებში ვერ გავიმღები...
ჩემი მხრები სევდამ გაკონა,
მინანქრის ტიხრებიანი დარბაზის ფანჯრიდან
ფაიფურის ძნების დანახვაზე
ჩურჩულით ვიტყვი:
— ნეტა განახა მთვარის უბეებში მზინავი ამეთვისტო,
ნეტა განახა! —
ეს ჩემი ერთადერთი ფრაზა იანვრის მდარე პიესაში...
მაინც რას იტყვის მავანი,
როცა ავანსცენაზე შემოდგება,
როგორი იქნება მისი უკანასკნელი ფრაზა?
ეგ ხომ არა:
— ჩქარა საღბუნე და მუგუზალი,
ნითურმა ნაგაზმა
გამთენიისას ლეკვები დაყარა.

მღვარი

დაფიონებს მოსხმული ხავერდები ზვარეთა,
მუხლისთავზე მზე მოძოვს, კვირისთავზე ციაგებს,
თუთუნისფერ ურნებით ვაცილებდით კარეტებს,
და ვხვდებოდით ღამეებს, ჯიქურებს, უხიაგებს.
დღენიადავ მთხოვარი წრიალის და წრიულის,
ბნელში, სახელდახელოდ, თითებს კეთრით მორთავენ,
სადმე უზენაესში, სადმე მარადიულში,
თითქმის უკვდავებაში, გადავეშვათ ერთადვე.
ნამი რა ბედენაა, წელიწდეულს მილიარდს
დაიმსხვრევენ მაჯებზე შენი ბლაგვი ტორები,
წრის გარეთ ვარ, შენამდე დაუთვლელი მილია,
ამიხირდნენ ტოლები!
უპირობოდ სპეტაკი, ანდა სულაც, პირიქით,
მოგრწყავ შუა ზამთარში აყვავებულ აბზინდას,
მეტაფორით დანაღმულ ჰორიზონტებს ირიბი
სად შაირი მოუსხამს, სხივებშუა აბზინდა.
გამორეკავ უღლიან ზმნათა შიგან ნადირებს,
მიდებ ნაცვალსახელზე თავს, რომ თვალი მოხუჭო,
ზმნისზედების წინწიში წერ ნაღვლიან ნადიმებს,
არსებითად, ოხუნჯობ.
ქმენენ სავალდებულო სანაპირო ქარები,
მოაქვთ ძველი ჭიშკრების ჭრიალი ანჯამისა,
თუ მე დროში აცვდები, თეთრი გვრჩება ხარება
შეხვედრების ჟამისად.

წერილი მამოპარს

ვარსკვლავთმერიცხველობ,
ჩვილ განთიადებს ვითვლი,
სისხლის აკვნებში თვალგახელილებს, ჩემო,
და ხეჭჭურზე აყვავებული ფითრის
მახურავს ბრიყვი და მოზუზუნე ჩერო
და გუგუბიდან გადმოცურებულს ხატად,
პირქუმ მთოვარეს, ცის გრდემლზე გადაწელილს,
უბის ჯიბეში ვუდებ და შენთან ვატან
ჭადრის ფოთოლზე ჩაგვირისტებულ წერილს.
მოთანდათანებს სინანულები მწუხრის,
ქარიშხალები და ნეტარება მალვის,
რა სისადავით ჩახოცილ ორბებს ვწუხდით,
ვიშით, ვაებით გავაკვირვებდით ან ვის.
უუთვალავი წელიწადების ქრიალს
ვაკრიალოსნებ, ელვის პანტერებს ველი,
ბალდახინების რად შემატოვე ბრჭყვიალს,
პილატესავით რად დაიბანე ხელი!
ნოემბერდება, ფოთლოცვენების თქეშში
მეხრჩობა მთვარე, პელაზგის ცხენის ნალი.
გახსოვს? ფარმუბის იმ გადარეულ თვეში
ჭმუნვის კუბობებს ვეზიდებოდით მალვით.
დასალიერზე მუხლად ჩამომწყდარ ფიჭვებს
ვითვლი და ვიცი, ვერ გადაგიხდი ამავს,
ყოფიერების სევდა ყულფივით მიჭერს
და გული თეთრი ბაიროლივით დამაქვს.
იქნებ მოადგეს ისევ ნაპირებს არგო,
სანმისიც გვექნდეს იქნებ იმ გრძელ დროში,
შაგრენისხელა დღეს ჩვენს მამულში, კარგო,
დიდ პატივშია ფარისევლთა როში.
ვარსკვლავთმერიცხველობ,
ჩვილ განთიადებს ვითვლი,

სისხლის აკვნებში თვალგახელილებს, ჩემო,
და ხეჭჭურზე აყვავებული ფითრის
ისევ დამბზუნის თავს ის ჩურჩული ჩერო.

ჯანყი

ივანობისთვემ მოგვინყო ჯანყი,
შეეკრა დემონს, ქაჯს და მაცილებს,
ნაღველის ლორწო, ეჭვების ჯანლი
წარსულს ლიბრით რომ გავაცილებთ.
გადაიხარა სიზმრების დისკო,
კამარებს ქარი არწვეს ბორიო,
დილაა, როგორც მაღალი რისკი,
როგორც ლალატის შავი სქოლიო.
ხომლი გაკენკავს ფიქრების წენგოს,
ქიმერებიდან ნესტი გაჟონავს,
ჩვენ ამ უნიჭო დრამაში გვერგო
უარყოფითი პერსონაჟობა.
თითქოს ზეფირი ჭინჭრით დასუსხეს,
ან ცა ამ ჯმუხ მთებს გადაანელეს,
ჩვენი ცხოვრება იყო ლაფსუსი
და ფრაზა, კედელს რომ წავანერეთ.

გააკეთე

გაკეთე თიხის ლაბირინთი
მარადისობაში მბჟუტავი სარკმელი
მაგ პირველყოფილი
ძარღვიანი ხელებით მოზილე თიხა
თიხა მოზილე ევასათვის
ნუ ჩქარობ
შენივე სისხლის ზედაშე შესვა
ჯერ ფეხისგულებიდან ეკლები ამოიძრე
და აყალოს სუნი შეახოცე საკუთარ ბარძაყებს
ჯერ თიხის ევამ უნდა თვალები აახამხამოს და
კეკლუცად გაგიოცოს
ჯერ ღიმილის მორცხვი ნარშავები
უნდა გაუცვალოთ ერთმანეთს
ჯერ ერთად უნდა გაგიხარდეთ
როგორ მწკრივად მიარწვევენ ცას წეროები
მწივანა ბალერინები!..
გაკეთე თიხის ლაბირინთი

სონეტი ზარნას

განა წარუვალს, განა სრულქმნილს არ მავალბდა
უქმარი მინა — მოსისხარი და შენივთული?
ჰა, მოვიტყევი, ალვივსები და ნამალავი
გამიცხადდება ბედისწერის ბოლო ნიშნულიც.

რომ შემძლებოდა გამეფლანგა ჩემში უთქმელი
თანამგრძობელი, პირველქმნილი და ნებიერი,
მირიადები ჩაუვლიდნენ მრუმე იერით
წლები შენს კოშკებს შატლიონს და ის ურთმელი

შეტოვებული ეჭვიან ცის ბრალეულობას,
მარადიულის უსიერში ვარჯჯატოტვილი,
შემიდგებოდა სახენაცვალს და ჩვეულება

ვერ დამძრახავდა ქმნადობისთვის მსახვრალ-ცოდვილი.
ვდგები პირისპირ, დაყოვნების ხიბლით ვნებული,
სამყაროსეულ სისავსეში განზავებული.

სონეტი პაპრატის ტაძარს

გადმოედვრები სინანულის უწყვეტ გალობად
ქალაქს, რომელიც ნაგალობებს ფერხითთ გიკონის
და ეზმანება ჩამარცვლული ქორიკონი,
კოლხური ოქრო და შედეას გრძნეულქალობა.

შენი კედლები არის ვაზი. შორიშორდები...
ხავსი და სურო დიდებულთა უწინ პალატთა
ხსოვნაა, ხსოვნა გადავლილი ქარაშოტების,
დუმმანთ ყიჟინის, ხმალთა კვეთის, კურაპალატთა.

ო, მორღვეული ტანი შენი სულს აუჩვილებს
მეისტორიეს და ათასი ნელიც ღამდება.
ელაციცები შუალამით ძვირფას აჩრდილებს,

მაგრამ ის ერთი, დღენიადავ რომ გელანდება,
სულ სხვაა მაინც — ანგელოზთა ესმის ოსანა,
უფალს გავედრებს თექვსმეტი წლის გვირგვინოსანი.

ტრიოლეთი პაპრატის ტაძარს

მზის ორგიაა დალენილი შენი სხეული,
შეყუდებული იმერეთის ცარგვალს აქატის.
მომეთილისმე, მომეტატე ეულს ეული,
მზის ორგიაა დალენილი შენი სხეული.
საით წასულა დიდებულთა აქ სახლეული? —
თავს ნამომდგარი კვირობს ლანდი მეფის, ბაგრატის.
მზის ორგიაა დალენილი შენი სხეული,
შეყუდებული იმერეთის ცარგვალს აქატის.



პაატა ბერიკაშვილი ფრთები

დასასრული

„შენი ფეხის ხმას ყოველთვის ვცნობ!“
 „ვიცი.“ „ის თუ იცი, გლადიოლუსი საიდან ჩნდება?“ „ეთერიდან.“ „ამ ნიგნში წერია, რომ ის მოკლული გლადიატორების სისხლიანი ხმლებიდან ამოდის! ჩაიღვენთება სისხლი მინაში, გაიკვირება და გაზაფხულზე გლადიოლუსები ამოდიან. მათში დაღუპული მებრძოლების სულები ცხოვრობენ.“ „შენ დიდი ხანია, აღარ ხარ გლადიოლუსი, — წყნარად უთხრა კაცმა, — სიცარიელე შეივსო, წადილები დაცხრნენ... მოსაბუხრებელიც კი გახდა შენი სიმშვიდე.“ „მაინც არ ამცდა გლადიოლუსის ბედი... შენ მეორე ქმარიც მომიკალი!“ „რა სასიცოცხლო ის იყო? — გაბრაზდა კაცი, — სხვისი სისხლით და ტკივილით ცხოვრობდა. ამიტომ ცივა ამ სახლში.“ „დავბრუნდი. სამინელებაა, მაგრამ მსიამოვნება აქ რომ ცხოვრობდი. ავეჯიც კი აგარჩევინე.“ „იმ ავეჯზე ყველაფერია, რაც მელანდებოდა ხოლმე, საშურების გარდა. ახლა ისინიც მესიზმრებიან.“ „ჩემი შვილი უცხოეთშია და მენატრება.“ „წადი მასთან. მე მივდივარ. აქ აღარაფერი მრჩება. ეს ქალაქი მკვდარია უკვე.“ „სამზარეულო გვჭირდება.“ მივხვდი, ანიშნა ქალმა. „მიემგზავრები?“ — ნაოჭები გასჩენოდა სახეზე. „კი, ამაღამვე.“ „ლარა?“ „ლარაც. მისი ადგილი ამ ქალაქში არ არის.“ „ცოდაო.“ „ფრთები კიდევ აქვს?“ — ქალმა გაღიმება სცადა. „უღამაზესი ფრთები აქვს.“ „ფრთები კარგია.“ ქალი წამოდგა, წიგნი დადო, მიუახლოვდა, წყნარად მიადო თავი მხარზე. „მეგონა, სიძულვილი ვერასოდეს შობდა სიყვარულს.“ „ეგ შექსპირის სონეტივით გამოვიდა... — დასცინა კაცმა, — სიძულვილი არ შეიძლება, სიყვარული შობს, უმწიერო სიძულვილი მიტევების შეგრძნებას ბადებს. აი, მიტევებიდან კი შეიძლება რამე მაგდაგვარი გამოიჩეკოს.“ „შენ ყველაფერი გძულს.“ „ახლათ იმიტომ, რომ ყველაფერი ძალიან მიყვარდა, მერე კი თქვენ შეგვადით — მსახიობებს, რეჟისორებს, გალსტუკიან დევენერატებს, მინისტრ დედაკაცებს, კიდეც იზაბელებს, ოფელიებს, აფრიკიანებს, გლადიოლუსებს და ორქიდეებს... ყველამ რაღაცა წაიღეთ ჩემგან. აღარაფერი დამრჩა! ამიტომაც მივდივარ!“ ამ ყველაფერს ჩურჩულით ლაპარაკობდა. ქალს იმდენ ხანს ედო თავი მის მხარზე, საჭიროდ ჩათვალა, ცოტათი მოფერებოდა. არა, ამას არ ჰქონდა ფრთები. ქალი შეცბა და უკან გახტა: „კუზიანი გვიყურებდა კარის ღრეჭოდან!“ „სხვადასხვა ფერის თვალები რომ აქვს?“ ქალმა თავი დაუქნია: „სამინელი თვალები აქვს! მომენტს არ უშვებს ხელიდან — შემხვდეს, მათვალელოს. ზიზლით მიყურებს და სისინით მელაპარაკება.“ „ვუყვარვარ.“ „მაგას როგორ შეიძლება, უყვარდეს ვინმე?“ კაცმა მხრები აიჩეჩა. „მაინც არ მჯერა, რომ როდესმე ნახვალ!“ სამზარეულოს კენ მიდოდნენ. ქალმა თავი დახარეს დიასახლისის დანახვაზე. კუზიანს არც თავი დაუხრია, არც მხერა, თვალებდაჭყეტილი შემოსცქეროდა. არცის სუნი დატრიალდა სამზარეულოში. ყველანი მთვრალეები იყვნენ. კაცი კიბის თავზე დაემშვიდობა ქალს, ბოლო საფეხური რომ ჩამოათავა, მიტრიალდა, ზემოთ აიხედა, აივნის სვეტს მიყრდნობოდა ქალი, ხელეები მუცელზე გადაეჭდო ერთმანეთისთვის, სიბნელებში მკაფიოდ უჩანდა უკან გადაწეული ჭალარა თმები. მაშინდელივით ჩაუკრა თვალი, გატრიალდა და სარდაფის ჩასასვლელისკენ გაემართა. სარდაფში სუფრა გაეშალა და აერიათ კიდეც უკვე. ამ დროს პატარა სოლომონი მოვიდა, თორმეტი წლის იყო, უკვე ჩამავებოდა თვალები. საზრიანი, ჭკვიანი ბავშვი იყო, ამიტომაც ეძახდა „სოლომონს.“ ერთადერთი ეს ბიჭი ეცოდებოდა. „ლარამ თქვა, რომ მიემგზავრებით, — ჩურჩულით უთხრა ბიჭმა, — მეც ხომ წამიყვანა?“ კაცს კინაღამ ცრემლი მოადგა თვალებზე. „ხო გითხარი, ქალებს არაფერი დაუჯეროთ მეთქი?! — თმები აუჩეჩა, — ფრთები რომ ამოგივა, მაშინ ნაიყვან!“ „ფრთები? — ჩაილაპარაკა ბიჭმა, — რა ფრთები...“ „თავის დროზე გაიგებ!“

მაშინ მენავე ვიყავი თბილისის ზღვაზე და მებარა თეთრი ნავი, რომელსაც ოკროპოკრო ასოებით ეწერა „მარი“, და, რომელსაც ყველაზე ხშირად ქირობდნენ დასვენებლები. საღამოს, პლაჟი რომ ხალხისგან დაცარიელდებოდა, ნავები გაღმა ნაპირზე გაგვყავდა და ფარდულში ვკეტავდით. ხანდახან, როცა თბილი და მთვარიანი ღამე იყო, ჩემი თეთრი ნავით შუა წყალში გასვლა მიყვარდა; იქ, მთვარის ბილიკზე, ამოვკრფდი ნიჩბებს, გავეხვეოდი პლედში, ნავში მივწვებოდი და ვირნოდი ასე, კარგა ხანს... თან, ცოტ-ცოტას არაყსაც ვწრუპავდი. ასეთ ღამეებში, მენავეები და მამულები — ჩემი მეგობრები — კოცონს ვანთებდით ნავების ფარდულთან, ცეცხლზე ბადიდან ახალჩამოსხნილ შამაიას ან კობრს ვწვადით და ვსვამდით გათენებამდე, თან, ვუსმენდით ისტორიებს ნახევარტონიან ლოქოზე, თბილისის ზღვის ფსკერზე რომ იწვა თავისთვის, და მხოლოდ უამინდობის ჟამს — როდესაც პაერში წნევა იმატებს, ზედ ტალღების ქვეშ დაქროდა, პირდაღრენილი... ამ ძლიერამოსილი თევზის მსხვერპლთა შესახებ ერთი მოხუცი, ყოფილი მამუელი გვიყვებოდა სხვადასხვა ისტორიას, დინჯად, თავდაჯერებულად, და არ არსებობდა ამ ზღვის, ამ წყლის გარშემო შემოკრეფილ ადამიანთაგან არც ერთი, რომელსაც გულში არ წნამდა, არ ემინოდა და არ უყვარდა ეს ბავშვური ლეგენდა დიდ თევზზე... თუ ძალიან გამიგრძელდებოდა ჩემს თეთრ ნავში, შუაწყალში ყოფნა, ნაპირიდან, ცეცხლიდან, რუპორით გამოძახებდა ჩემი ძმაკაცი გიგილო — მწვანე ნავი რომ ჰყავდა; ჰოდა, ასე, ძლივს მაფხიზლებდნენ.

სექტემბერი იყო უკვე. დასვენებლები ისედაც აღარ იყვნენ და იმ დღეს, იმ ქარიშხალში ვინ იქნებოდა. ღამის კაცის სიმაღლის ტალღები პირდაპირ პლაჟზე მოგორავდნენ. ნაპირთან ჩამოვედით მენავეები, რომ ნავები იქვე, კენჭებზე ამოგვეთრია და ჯაჭვებით დაგვება; ასეთ ქარში ნავების ფარდულში გადაყვანა, გაღმა ნაპირზე, უაზრობა იყო. ჩამოვედით ფიჭვნარიდან, სადაც თავს ვაფარებდით ქარს, და მაშინ დავეინახეთ: ზის კენჭებზე, მუხლებზე ხელებშემოხვეული, და უფრიალებს ყველაფერი — თმა, კაბა... ფრიალებდა სულ, მთლიანად — გოგო არა, ჩემზე კარგა უფროსი ქალი: მე ვიქნებოდი მაშინ ოცი წლის. ზის ასე და ტალღებს ან ცას, ან საერთოდ, ჰორიზონტს კი არ გაყურებს, როგორც წყლისპირას მარტო მჯდომებმა იციან, არა — ძალიან დაკვირვებით და თან ღიმილით, რაღაცნაირად, ბავშვურად, მხიარულად ათვალეობს ჩვენს ნავებს და შემდეგ ჩვენც — მენავეებს, თან ფრიალებს მთლიანად. ჩვენც ვგრძნობთ, რომ გვათვალეობს, და არაბუნებრივად საქმიანად ვირჯებით, ჯაჭვებს ვაჩხრიალებთ. ესაა სულ? ახლა ნავებს დავაბამთ და სახლებში წავალთ, რომელიმე ბითურულ ფილმს ჩაუჯდებით ტელევიზორში... და სულ ესაა? ამ დროს მწვანე ნავის პატრონმა, ჩემმა ძმაკაცმა, ჯაჭვს ხელი უშვა და ხმამაღლა ამბობს: „ჰა, აღარ შეეცუროთ, ხალხნო? ნავები ფარდულში ხომ გვყავს გადასაყვანი...“ ყველა მენავე, ახალგაზრდებიც და მოხუცებიც, ცოტა ხნით გავეშდით (სულ ოთხნი ვიყავით). ხან მწვანე ნავის პატრონს შევეყურებთ, ხან მოფრიალე ქალს და ხანაც — ზღვას. და უცებ ყველა, როგორც ერთი, ერთი დამონიოთ თუ ერთი დმეტითი შეპყრობილები, ვეძგერეთ ტალღებს ჩვენ-ჩვენი ნავებით...

გამშავებულები ვიქნეთ ნიჩბებს, ტალღებს მივარღვევით. ყოველი დიდი ტალღის შემდეგ წამით ფსკერქვეშ ვეღარ ვგრძნობ წყალს. წამის მერე, ყრუ დგაფუნით, ისევ წყალში ჩავენარცხები. ჯერ კარგად ვხედავ, ისევ იქ ზის. მერე წამოდგა. მეჩვენება, თუ მე მიყურებს... და იღიმება. იქნებ, დამცინის? და თან ფრიალებს, ფრიალებს უსამულოდ. ჩემს გვერდით მომქროლავ მწვანე ნავს გახვდები, წყალზე გასხვებილი ბრტყელი ქვასავით რომ მოხტის ტალღებზე, და უცებ სამინელი ეჭვი მიპყრობს: ხომ თეთრია ჩემი ნავი; იქნებ ის, ნაპირიდან უკვე ვეღარც კი მამჩნევს, და უფრო მუქ ნავებს — რომლებიც წყალზე უკეთე-

სად გამოჩნდებიან — მიაცილებს მხერით? თუმცა, ამ დროს, შებინდებისას, ალბათ მაინც ერთნაირ, შავ ნერტილებად მოვჩანვართ. ან, საერთოდ, სულაც შეცივდა და სახლში წავიდა. ტირილი მინდება. ამ დროს მწვანე ნავის ცალი ნიჩაბი დატრიალდა პაერში: ეტყობა ნიჩბის ღერძი ამოვარდა ბუდიდან. მყისვე, ნავი დიდ ტალღას შეეხალა ფერდით და ამოყირავდა... და გეფიცები, გამიხარდა! ჩამოვიცილე მთავარი მეტოქე. გადაბრუნებულ მწვანე ნავთან ყველაზე ფრთხილად და ყველაზე ბოლოს მოჩანჩალე ხნიერი ნავიც რომ არ მისულიყო საშველად, არ ვიცი, მივბრუნდებოდი თუ არა.

დამინახა კი იმან, ნაპირზე მოფრიალემ — მე, ჩვენს ქარიშხალში, ჩვენს გიჟურ შეჯიბრში გამარჯვებული? თუ მხედავდა გამომმა ნაპირზე, კოცონამდე ძლივ-ძლივობით მიფორთხებულს, მოხუცმა მამუელმა სანიშნად და გასათობად რომ დაგვინთო მყუდრო მორჩარდახულში. შეიძლება, არსად არ წასულა — მხედავდა, და ახლაც მიყურებს, როგორც მე არ წავსულვარ არსად, და ყოველი ჩემი კოცონიდან გავეყურებ გაღმა ნაპირზე მოფრიალეს... არასოდეს, არცერთ ქალს არ ავეუფსივარ ასე — ბოლომდე.

ლუკა ბაქანიძე



„მარი“

იმ ზაფხულიდან, ჩვენი მენავეობიდან კარგა ხნის შემდეგ, ვისხედით თბილისის ზღვაზე, სანახევროდ წყალში, ხიმინჯებზე გამომდგარ, ახლადგახსნილ პატარა კაფეში — დიდი ზღვის პირას კი არა, რომელიც ერთ დროს ჩვენი სამეფო იყო, და სადაც ღამ-ღამობით მთვარის ბლიკებზე რეგატებს ვაწყობდით, არა — სულ აქეთ, პატარა ზღვაზე, სრუტის გამოღმა. აქეთ არც ვიყავი ნამყოფი აქამდე. მხოლოდ ის ვიცოდი, რომ სადაც, სრუტის იქით იახტკლუბი იყო, და ჩვენთვის, მენავეებისთვის ელიტური საზოგადოება — იახტსმენები ანთებდნენ თავიანთ კოცონს. ვისხედით ხიმინჯებზე შეყენებულ ვერანდაზე და ლუდს ვსვამდით, მე, გიგა — ხომ გახსოვს გიგილო, მწვანე ნავის პატრონი და ჩემი ძმაკაცი, ნაპირიდან იავნანას რომ მიმღეროდა რუპორით, შუალამისას, ჩემს თეთრ ნავში წამოწოლილს. მაგრამ, ჩვენი მენავეობიდან წლები იყო უკვე გასული და ახლა ისე ვისხედით, ლუდს ვწრუპავდით. ამ კაფეს პატრონიც, გიგილოს მეგობარი, ჩვენთან ერთად იჯდა. ვისხედით ასე და უცებ გიგილო მეუბნება: „აბა, ერთი, ქვემოთ ჩაიხედე!“ ჩავიხედე და... ეგ იყო ისევ.

ხიმინჯთან ვილაც პაპა თევზაობს, და ისიც იქვე მიჯდომია, მაშინდელივით მუხლებზე ხელებშემოხვეული. ოღონდ, აქ კენჭები კი არა, ბალახია, და აქედანაც, ჩვენი ვერანდადან, სხვანაირია სულ, მაგრამ ისაა — ჩემი ნაპირზე მოფრიალე ქალი. მეთევზეს უყურებს და თმა აქვს ჩამოშლილი. ვერ ვხედავ, მაშინდელივით იღიმება თუ არა. ამ დროს ათიოდე წლის ბიჭი მიადგა, დაიხარა და რაღაცა უთხრა. ის კი ისევ გაუნძრევლად ზის, ბიჭისთვის საერთოდ არც შეუხედავს. მაშინ ბიჭიც გვერდით მიუჯდა და ისევ რაღაცას ელაპარაკება. მინდა კაფეს პატრონს ვუთხრა, რომ მუსიკას ჩაუწიოს, იქნებ რაიმე გავიგო... მაგრამ მრცხვენია. ამასობაში მეთევზეც მოუბრუნდა ქალს, და მხოლოდ მერე წამოდგა. ბიჭმა ხელი ჩასჭიდა და ისიც, დამჯერე ბავშვივით, მორჩილად მიჰყვა. კაფეს პატრონი ხედავს, რომ მე და გიგილო გამტრებულები ვიყურებით ქვემოთ, და ამბობს: „ეგ მეთევზე აქვე ცხოვრობს. შებოლილ თევზს მაგისგან ვიბარებ ხოლმე. მაგით არჩენს ქალსაც და ბიჭსაც... კარგი კაცია.“ გიგილო ეკითხება: „ეგ ქალი ვინაა?“ თან თვალს არ აცილებს ქალს და ბიჭს. მე ჩუმად ვზივარ. კაფეს პატრონმა გაიცინა და საფუთქელთან თითი დაიტრიალა. და მერე ჩუმად ვსხედვართ ყველა-ნი... ბოლოს ხმა ამოიღო გიგილომ: „მაგ-

ისთვის ვიკლავდით, ბიჭო, თავს?“ თან თვალს მარიდებს. მე ისევ ჩუმად ვარ. „რა ქვია?“ — ვეკითხები კაფეს პატრონს უაზროდ. გაკვირვებული მიყურებს კაფეს პატრონი. „კოლია ქვია, თუ გინდა, დაუძახებ და გაგაცნობ.“ ნაძალადეგად ვიღიმე: „მეთევზეს არა. ქალს რა ქვია.“ „ქალს? მარი ჰქვია მგონი, მარიამი.“ და მერე, ძალიან დიდხანს ჩუმად ვზივართ მე და გიგილო, შებინდებამდე. მზის ჩასვლას ვუყურებთ — აქედან, პატარა ზღვიდან, უფრო კარგად ჩანს. და უცებ გიგილომ წაიღიღინა: „თბილისის ზღვაზე ცხოვრობდნენ ორნი — ქალი და ნავი, და ორივეს ერთი სახელი ერქვა — ორივეს მარი... გითხრა სიმართლე? იქ, მაშინ რომ გამისწარი, ვინატრე: ნეტავ ნავი ამოუბრუნდეს-მეთქი. ვინატრე და ხომ გახსოვს, მე თვითონ ამოვტრიალდი. ახლა მივხვდი, ის ნიჩაბი არაფერ შუაში იყო...“

და ასე ჩუმად ვისხედით, მე და გიგილო, ჩემი ძმაკაცი, ძველი მწვანე ნავი რომ ჰყავდა, და შუალამისას, ნაპირიდან, რუპორით იავნანას რომ გვიმღეროდა მე და ჩემს თეთრ ნავს, სახელად — მარის...



თემურ ჩხეტიანი

პოეზია

ტარიელ ქანტურიას

თოვლი: ფანტელ-ფანტელ.
მაგიდაზე „ანტი“ —
რაც მოვიგე ძნელად,
სულ ადვილად ვფანტე.

ცვლილებები

ისეთი ცივი და უჟმური იყო შემოდგომა და დეკემბერი,
რომ იანვარმა ინამუსა,
დაგვინდო და ძალიან არ გაუჟყინივართ.
ის კი არა,
ამ დღეებში გაზაფხულიც მოგვაჩვენა.

ისე მსუბუქად ჩავატარეთ არჩევნები,
რომ ფასები მეტისმეტად დაებლაუჭა მწვეველთა ჯიბეს;

ისე უნიათონი აღმოჩნდნენ ჩვენი სპორტსმენები,
რომ ჩვენ
ერთმანეთში ქიშპი და ლანძღვა-გინება
ვაქციეთ სპორტად;

ასტროლოგებმა გადააფასეს რალაც-რალაცები,
მუსიკისმცოდნენი კი მორალისტებად იქცნენ;

თელავში ისევ მზიანი ამინდია,
საპარაში კი თოვს...

1 თეთრიანი მონაქა

ნინო სადღობელაშვილს

ლიმილით გიბრუნებს ხურდას
თავაზიანი გამყიდველი.
ლიმილით ართმევ
და ჯიბეში იდებ პანია 1 თეთრიანს,
რადგან ფასი ამ შემთხვევაშიც იყო ლარი
და 99 თეთრი.
თუ რატომაა ასე, ეს ყველამ ვიცით
და ამაზე ალბათ
საფინანსო სამსახურის წარმომადგენლებსაც ელიმებათ
გეგმიური თუ სპონტანური შემოწმებისას.

ლიმილითვე ემშვიდობები გამყიდველ გოგონას
და გადიხარ ქუჩაში — მიდიხარ...

1 თეთრიანი მიყუჟულა ჯიბის კუთხეში
და ალბათ დიდხანს დარჩება იქ.
იმდენ ხანს მაინც, ვიდრე სულ არ მიგავინწყდება.
მისნაირები, ვინ იცის, სად იკრიბებიან
და რითი ერთობიან,
ის კი დარჩება იქ,
დარჩება ჩუმ მარტოობაში,
დარჩება სიმბოლურად
და არაფრის მაქნისად —
პანანინა, გულუბრყვილო, ღიმილის მომგვრელი.



და ალბათ ვერასოდეს მიხვდება,
რომ ისიც ვინმეა,
რომ ისიც რალაცას წარმოადგენს.

არადა, საქმე იქნებ ცოტა სხვაგვარადაა?
იქნებ რალაც მაინც გვრჩება
შეუმჩნეველი?
რომ არა ეს,
ეს პანია 1 თეთრიანი,
რომ არა მისი ცალკე ყოფნა და მარტოობა,
ორი 9-იანი ხომ ორ 0-ად გადაიქცეოდა?
ფასში ეს ნაწილი გაარაფრდებოდა,
შეიცვლებოდა ფასიცა და გადასახადიც;
შეიცვლებოდა ბიუჯეტიც,
გოგონას ღიმილიც
და, ვინ იცის, რა მოხდებოდა...

ახლა კი, რადგან ის არსებობს —
უჩინარი და უმაქნისი 1 თეთრიანი, —
სადღაც, პიჯაკის ჯიბის ფსკერზე
და არის თითქოს დასავინწყებლად,
არც რამე ხდება
და ცხოვრება ჩვეულებრივ მიედინება.

და, თუ როდისმე,
თუ მოხდა და, ის შემთხვევით ვინმეს ხელს ამოჰყვა —
1 თეთრიანი,
დღის შუქზე თუ ნათურის შუქზე,
ალბათ თვითონაც მორცხვად გაილიმებს
მისი მპოვენელის ღიმილის პასუხად.

ღვინა

რითმას გამოვეკიდე,
მაგრამ მხოლოდ ის შევძელი,
რომ კუდზე ვტაცე ხელი.
იძალა, დამისხლტა და მოკურცხლა.
მე კი ბალახში გავგორდი...

წამოვჯექი და მიმოვიხედე:
სულ ახლოს ასკილის ბუჩქი იცინოდა;
საიდანლაც ისმოდა ნაკადულის ხითხითი;
უფრო მოშორებით შაშვი აჭახჭახდა...
მე დამცინოდნენ.

ჩემო თავო,
ვის მისდევ? სად მისდევ?...
გაგხედე:
რითმა მოშორებით იდგა,
ძოვდა,
ტუას ტანზე იტყლაშუნებდა
და სულაც ფეხებზე ეკიდა
პოეზია.
ზამთრის მიუხედავად


ჩვენ ისე კარგად ვგრძნობდით თავს მაშინ,
რომ თითქოს გვეუხერხებოდა კიდეც
ის სითბო,
და ისე კარგად ყოფნა.

კოვზებსაც კი
სინქრონულად ვურევდით ფინჯნებში:
შენ — ჩაის,
მე — ყავას...
გარეთ თებერვალი ითრევდა ფეხს
და ჯერ არ ვიცოდით,
თუ როგორ დადარდვევდა
ჩვენს შორის არსებულ ჰარმონიას
კარსმომდგარი გაზაფხული.

ჰაიკუს მცდელობა

ზამთარი

- 1. შაშვის ნაკვალევი
თოვლიან სახურავზე
იანვრის ბოლოს.
2. ერთადერთი ხმა
მთვარიან შარაზე —
თოვლის ჭრაჭუნი.
3. არ გავუჩრდი,
ხელი გამოვტაცე ყინვას,
მარტისკენ ვჩქარობ.
4. რამდენად მეტია
პანია ბელურა
ხანგრძლივ ზამთარზე!..



ალა დათუკიშვილი

ზოგი რა თამამად გიყენებს,
მახრჩობს უტიფრობის აზოტი,
ვზივარ და ვიგონებ იმ დღეებს,
როდესაც არავის ვახსოვდი.

დღეს, როგორც პირქუშმა ამინდმა,
ღვარცოფში ქარ-ცეცხლი შევანთე,
ვინც მგუობს, უთუოდ გაგიჟდა,
გიჟი თუ-ლა მოვა ჩემამდე.

რამდენიც არ უნდა ანონო,
არ გცდება განკითხვა ტიალი,
პოეტი, გიჟია ბატონო,
არ იპოვებდა ჭკვიანი.

ვიცი, რომ სიტყვა ვერ მოვზომე,
მგუდავს პირფრობის აზოტი,
ღმერთო, დამავინწყე როგორმე,
რა ცოტა მეგობარს ვახსოვდი.

თოვს ალბათ ახლა, ან სულაც არ თოვს,
შეჩვეული ვარ უთოვლო ზამთარს,
შორსა ვარ შენგან, სხვა მინის ახლოს
და ჩემი მინის სურნელი დამაქვს.

არეულია აქაც ამინდი,
ნისლიანია უდაბნოს ველი,
დავეძებ საშველს, როგორც დაგპირდი,
ხან ისეც ხდება, აქეთაც ვშველი.

რა გითხრა სხვა, დღეს ჩათავდა წელი,
არც გრძელ დღეებს და იღბალს არ ვჩივი,
რა იღბალია იყო დღე-გრძელი,
მინა წართმეულ სამშობლოს შვილი.

ისევ ისა ვარ, ჰო, არ მოგესმა,
ვნანობ და უფრო ვინანებ ხშირად,
რომ ლექსებს ვწერდი მაშინ, როდესაც
შემეძლო ვილაც გადამერჩინა.

თოვს ალბათ ახლა, ან სულაც არ თოვს,
შეჩვეული ვარ უთოვლო ზამთარს,
ვიფარებ მხრებზე შენეულ მანტოს
და ომის სუნი ძვლებამდე ატანს.

შენი თვალების ფერი გახდა ღამის უკუნი,
როგორ წაგიღო არსაითში ათასმა გესლმა,
ეს საუკუნეც სხვა ვერაფერს სვამდა უთუოდ
და სისხლი შესვა.
გადასარჩენად.
უსახელოდ შემორჩა თუმცა,
ფურცლებს, რომლებსაც გადაშლიან სხვათა თითები,
დგას ცოცხალ-მკვდართა,
ვერ-შემდგართა სირცხვილის ნუსხა,
ბედნიერი ხარ, ამ სიაში შენ არ იქნები.
ქარი წაიღებს და გაფლეთავს ღრუბლებს ზეცაზე,
როგორც ბატკანი აბრაამის, უნდა გადარჩე,
მაგრამ სიკვდილი გირჩენია, ვიცი მეტადრე,
რომ არ გეთქმოდეს — გამწირო, შენსავე მამაზე.
ღვთისმგმობელიო, გიხსენებენ უმადურები,
მეც შემოგფიცე და არავის ვეტყვი სამღურავს,
შენ სატრფოსავით ჩაიხუტე გულში ჭურვები
და ახდელ თავზე კვლავ ნამუსის ქუდი გახურავს.
დღეს გვიკვდებიან გმირები და კვდება ლეგენდა,
ვერ ვაპატიეთ, რომ რიგითი გენერალს გავდა,
ეს საუკუნე სხვა ვერაფერს მოინელებდა,
ტროტილის გარდა.



**I
ტაბა**

ოდითგანვე არსებობდა ტაბუდადებული თემები, რომლებიც ძირითადად წარლენას, მეორედ მოსვლასა და საიდუმლო მსხვერპლშენიერვას ეხებოდა. აპოლონიოს როდოსელი პოემაში „არგონავტიკა“ საუბრობს განწმენდის უცნაურ წარმართულ რიტუალზე, ლემნოსიდან გასულმა არგონავტებმა ელექტრას კუნძულს სამოთრაკეზე რომ შეასრულეს. ბერძენი პოეტის თხზულებაში ვკითხულობთ:

„არგონავტის რჩევით მიადგა გემი ატლანტის ასულ ელექტრას კუნძულს, რომ საიდუმლო განწმენდის შემდეგ უფრო თამამად განეგრძო ცურვა“.

არგონავტები ხან ზევსს ევედრებიან შემწეობას, ხანაც აპოლონსა და ათინას, მაგრამ ჩვენ არაფერი ვიცით, თუ რომელ ღვთაებას შესწირეს მსხვერპლი კუნძულსამოთრაკეზე.

„ემარა, მეტის თქმა აღარ ეგების, კურთხეულ იყოს კუნძული იგი, მოცული წმინდა იდუმალებით! დაე, სიამე სუფევდეს სრული ნეტარ კუნძულზე იმ ღმერთებისთვის, რომლებიც იქა ცხოვრობენ მარად, ვისთვისაც ხდება განწმენდა იგი, — შესხმის ნება კი არა გვაქვს მათი!“

ჰეროდოტეს ცნობით კუნძული სამოთრაკეს მოსახლეობა ბერძენების გამოჩენამდე პელაზგური იყო, სტრაბონი კი აღნიშნავს, რომ კაბირები, ადგილობრივთა ღვთაებები, კოლხური წარმოშობის იყვნენ. ამრიგად, ჩვენს ნელთადრიცხვამდე XIII საუკუნეში მომხდარი მოვლენის, კერძოდ — არგონავტების ძველ კოლხეთში (აიაში) ლაშქრობის, აღწერისას აპოლონიოს როდოსელი საუბრობს ერთ-ერთ უძველეს ტაბუზე, რომელიც წარლენის ეპოქაში მცხოვრებ ატლანტიდ ელექტრასა და კოლხურ ღვთაებებს, კაბირებს, უკავშირდება.

გასაიდუმლოებული თემები არსებობს სხვა რელიგიებშიც. მაგალითად, ინდუიზმში ქურუმთა წყევლას იმსახურებდა ის, ვინც შივას მიერ ცეცხლის ამოფრქვევის ამბების მოყოლასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს დაარღვევდა; იუდეველებს ოცდაათ წლამდე ეკრძალებოდათ ნაეკითხათ ეზეკიელის წინასწარმეტყველების პირველი და 40-48 თავები, რომლებშიც საუბარია კოდირებული სახელით „გენ ჰამმალით“ მოხსენიებულ ღვთაებრივ ცეცხლსა (ებრაულ ტექსტში) და უკანასკნელ ჟამს გამოჩენილ ტაძარზე; ხოლო „იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში“ ტაბუ ადევს შვიდი ანგელოზის მიერ ქუხილის ხმის გამოცემის ეპიზოდს. იოანე აპირებს დანეროს ის, რაც შეიძლება ანგელოზმა ბრძანა, მაგრამ ჩაესმის ზეციური ხმა, რომელიც აფრთხილებს: „დაპბეჭდე, რაც თქვა შეიძლება ქუხილმა, და ნუ დასწერ“ სიტყვა „დაპბეჭდე“ ამ შემთხვევაში ნიშნავს რალაციის ართქმას, დაფარულად შენახვას.

ტაბუდადებული თემები მსოფლიოში არსებულ ყველა რელიგიაში იყო, მეტიც, ზოგიერთ სახელმწიფოში მმართველ ელიტას ისეთი მკაცრი ცენზურა დაენესებინა გარკვეული საკითხების კვლევაზე, რომ ძნელი გასარჩევი იყო, უბრალო აკრძალვასთან გვექონდა საქმე, თუ რომელიმე წარმართული სექტის ტაბუსთან. ავიღოთ თუნდაც საბჭოთა კავშირი, კომუნისტები მხოლოდ ქრისტიანობას კი არ ებრძოდნენ, ზღუდადებენ ყველაფერს, რაც მისტიკასთან იყო დაკავშირებული. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ბელადის საიდუმლო ბრძანებით წარმართული მითებიდან ამოვლით ყველაფერი, რაც წარლენას უკავშირდებოდა. საბჭოეთში გამოცემულ წიგნებში არაფერი იყო ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორ იხობებოდნენ წყლის მოვარდნისას მთის მწვერვალებზე გახიზნული ადამიანები პრომეთეს ვაჟის დეკალიონის ეპოქაში. ვერსად ამოიკითხავდით რაიმეს ატლასის, ელექტრას, დეკალიონისა და პირას კავშირზე წარლენასთან. უცნაურია ისიც, რომ „ღვთაებრივი კომედიის“ ქართულ თარგმანსა და დართულ კომენტარებში ატლანტიდი ელექტრა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აგამემნონის ასულადაა წარმოჩენილი. ნუთუ ეს უნებლიე შეცდომაა? ან ასე რად ჩავკირკიტებთ ამ საკითხს?

დანტე ალიგიერი „ჯოჯოხეთის“ მეოთხე ქებაში საუბრობს წარმართული ეპოქის ყველაზე სახელოვან ადამიანებზე: ჰომეროსზე, პლატონზე, არისტოტელეზე, ვერგილიუსსა და სხვებზე. ეს დიადი სულელები ჯოჯოხეთის პირველ გარსში არიან იმათთან ერთად, ვისი ბედიც ჯერ არ გადაწყვეტილა და რომელთა უმთავრესი ცოდვაც ისაა, რომ წარმართულ ეპოქაში დაიბადნენ, რის გამოც, ბუნებრივია, ნათლობის გარეშე დარჩნენ.

ამ დიდი ადამიანების გვერდით „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი მოიხსენიებს ელექტრას, მითიური ატლასის ქალიშვილს, გარშემორტყმულს საკუთარი შთამომავლებით. სამწუხაროდ, ქართველ მწერლებსა და ლიტერატორებს სტალინის ეპოქაში არ ჰქონდათ საშუალება, ჩაღრმავებოდნენ ქართველთა წარმომავლობის თემას, ასე რომ პელაზგურ-კოლხური მოდგმის დედამთავარი ელექტრა ჩრდილში მოექცა. მეტიც, ის ბელადის თანამედროვე მწერლებსა და ლიტერატორებს ხშირად აგამემნონის ქალიშვილ ელექტრაშიც კი ერეოდათ, რაც არასწორია, რადგან ატლასის ასული სულ ცოტა ჩვიდმეტი საუკუნით ადრე მინც ცხოვრობდა აგამემნონისაზე, თანაც, როგორც უკვე აღვნიშნე, ის პელაზგური მოდგმის დედამთავარი იყო და არა ტროას დამაქცევერი ბერძენი მეფის ქალიშვილი.

მინც რით შეიძლება აიხსნას ეს შეცდომა? ნითელი დიქტატორის მიერ დანესებული მკაცრი ცენზურით? ან იქნებ ტაბუთი და ამწეზიით?

კითხვები საკმაოდ რთულია, ამიტომ უმჯობესი იქნება, მათ თანამედვერობით ვუპასუხოთ.

თემურ გაბუნია

ყველაზე ცნობილი და უჩვეულოდ მივიწყებული



ხანდახან ხომ დიდ ჰომეროსსაც ეშლებოდა, მაგალითად, თავის უკვდავ პოემაში „ილიადა“ ორჯერ ისტუმრებს ჰადესში ერთიდაიმავე პერსონაჟს (ბრძოლაში კლავს, აცოცხლებს და ისევ კლავს). მართლაც და რა? არც არაფერი, ატლანტის ასული ელექტრა პელაზგური მოდგმის დედამთავრად რომ არ წარმოეჩინათ აპოლონიოს როდოსელს, ვერგილიუსსა და დანტეს, პელაზგური მოდგმა კი — კოლხების მონათესავედ (მეცნიერთა ნაწილს).

ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ, რა მკაცრად ებრძოდა ცარიზმი და საბჭოთა იმპერია საქართველოს ისტორიის ობიექტურ კვლევას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ ცენზურის ხელიც ერია. წარსულში ჩაღრმავებას ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთება რომ გაღვივებინა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობაც მოგვებოდა?! სჯობდა ჩვენი ისტორია XIX საუკუნეში დაწყებულიყო (როგორც ეს სტალინს მიაჩნდა), მაშინ ჩამოვყალიბებულიყავით ერად და არა უხსოვარ დროს, როცა პელაზგურ-ეტრუსკულ-კოლხური ბერძნული ტომები ევროპაში უძველესი ცივილიზაციას ქმნიდნენ... არავითარი მისტიკა, არანაირი კვლევები პროტოქართულ ტომებზე...

ნითელი დიქტატორები რალაციით ერთმანეთსაც კი ჰგავდნენ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მათ ძე დუნი კრძალავდა ევროპულ ცეკვებს, მათ „ბურჟუაზიულს“ უწოდებდა — ადამიანის გამრყენელს. მაშინ როდესაც, როგორც მისი გარდაცვალების შემდეგ გაირკვა, თურმე ამ ცეკვების დიდი მოყვარულიც იყო და მასთან საიდუმლოდ მიყვანილ ჩინელ გოგონებთან სიამოვნებით ერთობოდა კიდევ „ბურჟუაზიული ცეკვებით“. სტალინი მისტიკაში ჩაღრმავებას კრძა-

ლავდა, არადა ყველაფერი მეტყველებდა იმაზე, რომ თავად უნდა ყოფილიყო მისტიკოსი და არა — ათეისტი, როგორადაც თავს წარმოვიდგენდა. სტალინისა და კომუნისტების შესახებ საინტერესო საუბრები ჰქონდა 90-იან წლებში თავის საჯარო ლექციებზე ბატონ აკაკი ბაქრაძეს. მას მიაჩნდა, რომ სსრკ-ს ელიტა რომელიმე წარმართული კულტის ფარული მსახური იყო, მიგვანიშნებდა კიდევ რომლისაც... ის საუბრობდა ქურუმულ სოციალიზმზე, უძველეს ეგვიპტეზე და მართლაც, საკითხს თუ ჩავუღრმავებთ, მრავალ ნიშნსა და გარემოებას აღმოვაჩინთ აღნიშნული თვალსაზრისის განსამტკიცებლად.

1) ბოლშევიკებმა შექმნეს ახალი ფარაონის, ლენინის, მუშია შუაგულ რუსეთში, ქვეყანაში, სადაც მუმიფიკაციის ტრადიცია არასოდეს არსებულა.

2) მათ აიტაცეს უკლასო საზოგადოების შექმნის იდეა, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავდაპირველად სწორედ ეგვიპტელ ქურუმთა შორის წარმოიშვა.

3) ლენინს (მაგზოლუემში დასვენებულ ახალ ფარაონს) ხელოვნურად მიანიჭეს ღვთაების ნიშნები, რაზეც ნათლად მეტყველებს ლოზუნგი: „ლენინი ცოცხლობდა, ლენინი ცოცხლობს, ლენინი მუდამ ცოცხლებს!“

4) სსრკ-ს ჰქონდა ჰომინი, რომელიც ასე იწყებოდა: „აღსდექე კრულვითა დაღდასმულ...“ კრულვით დაღდასმული ლუციფერია (რაფანის* ვარსკვლავი), რომელსაც კომუნისტები მთელი სამოცდაათი წლის მანძილზე ცხვირწინ უფრიალებდნენ საბჭოეთის ბინადრებს დროშაზე გამოსახულ ნამგალსა და უროსთან ერთად (საგულისხმოა, რომ აღნიშ-

ნული ჰომინი ახლით 1944 წელს შეიქცა, როცა სტალინი ქრისტიანობის კენჭს შემობრუნდა, რის შემდეგაც საბჭოთა არმიას ღვთისმშობლის პარაკლისის გარეშე დიდი ბრძოლები არც დაუწყია).

5) ჰომინთა რიგებში მიღება ხდებოდა უცნობი ჯარისკაცის საფლავთან დანთებულ ცეცხლთან ან კერპთან (ლენინის ძეგლთან). ბავშვს ყელზე უკეთებდნენ სამკუთხედის ფორმის ყელსაბამს, რომლის სამივე წვერიც ქვევით იყო მიმართული. ცეცხლი, კერპი და ყელსაბამი კარგად შენიღბული წარმართული რიტუალის ატრიბუტები უნდა ყოფილიყო, რადგან წვერით ქვევით მიმართული სამკუთხედი ანტიქრისტიანული ტრიადის (ლუციფერი, ცრუ წინასწარმეტყველი, ანტიქრისტი) სიმბოლოა.

6) საბჭოთა საზოგადოება აგებული იყო წარმართული სექტის პრინციპით. ხელდასმულთა ხელში იყო მისტიკების გასაღები, უბრალო ხალხს კი ზღაპრებით კვებავდნენ — კომუნისტების უტოპიით.

ეს და კიდევ სხვა ნიშნები გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ კომუნისტური ელიტა ათეისტობანას თამაშობდა, სინამდვილეში ისინი მისტიკოსები იყვნენ, რომელიც ძველეგვიპტური სექტის (სავარაუდოდ, რაფანისტების მიმდევრები). ალბათ, აქედან უნდა ავხსნათ ის ტაბუც, რომელიც სხვადასხვა სფეროში დაანესეს, რადგან არც ქურუმები თვლიდნენ საჭიროდ, ყველაფერი გაემხილათ ხალხისთვის.

**II
ბრაილა**

დეკადენტობის წინააღმდეგ

მისტიკურ აზროვნებასთან დაპირისპირება არა მხოლოდ იდეოლოგიასა და ფილოსოფიაში, მწერლობაშიც მიმდინარეობდა. ნახალისებული იყო ზედაპირული, პროლეტარული ხელოვნება, იგმოზოდა ინდივიდუალიზმის გამოვლინება და დეკადენტური აზროვნება (სტალინის გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგაც). 1978 წელს გამოცემულ „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ მკაცრად გაკრიტიკებული ის მწერლები, რომლებიც ქადაგებენ „პოლიტიკისგან თავისუფალ ხელოვნებას“. დაგმოილი არიან დეკადენტური მოტივებისთვის ფრანგი სიმბოლისტები: პოლ ვერლენი, არტურ რემბო, სტეფან მალარმე. ასევე ისეთი ცნობილი მწერლები, როგორებიცაა: პოლ ვალერი, ანდრე ჟიდი, მარსელ პრუსტი, რაინერ მარია რილკე, ვალერი ბრიუსოვი, კონსტანტინე ბალმონტი, ანდრე ბელი. დეკადენტური მსოფლმხედველობის გაზიარებისთვის ნაწილობრივ გაკრიტიკებული არიან: გალაკტიონ ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, გიორგი ლეონიძე, კოლაუ ნადირაძე, რომლებმაც შემდგომ, ვითომდაც „დეკადენტური განწყობილებების დაძლევის გზით, ღირსეული წვლილი შეიტანეს ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში“. ტერენტი გრანელს კი თურმე დიდი ხარკი გაუღია დეკადენტობისთვის, ამ მანვე მიმდინარეობის გავლენა განუცდია კონსტანტინე გამსახურდიასაც.

რა დამოკიდებულება ჰქონდათ დეკადენტებისადმი დასავლეთში? ან საერთოდ, როგორ დამკვიდრდა ეს ტერმინი? ცნობილია, რომ სიტყვა დეკადენტი მორალურად ან სოციალურად დეგრადირებულ ადამიანს ნიშნავს. დიახ, მაგრამ რატომ მიაწებეს ეს იარლიყი მთელ რიგ გამოჩენილ მწერლებს?

სიტყვა დეკადანსი პირველად მონტესკიემ იხმარა ლიტერატურული პროცესების შესაფასებლად XVIII საუკუნეში. მოგვიანებით ის ჰიუგოსა და რომანტიკოსებისადმი კრიტიკულად განწყობილმა ლიტერატორებმა აიტაცეს, თუმცა ტერმინად მხოლოდ XIX საუკუნეში იქცა, მას შემდეგ რაც თეოფილ გოტიემ კვლავ გამოიყენა ეს სიტყვა შარლ ბოდლერის ლექსების კრებულის „ბოროტების ყვაილების“ შესაფასებლად. საგულისხმოა, რომ თავად პოეტს ოდნავადაც არ წყენია იარლიყის მიწებება, პირიქით, ამაყობდა კიდევ დეკადენტობით. ამით ის უპირისპირდებოდა იმ ლიტერატორებს, ხბოს ალტაცებით რომ ხვდებოდნენ ტექნიკურ პროგრესსა და აღმშენებლობას.

ბოდლერს ძველი პარიზი უყვარდა, თავისი ვიწრო ქუჩებითა და ეგზოტიკით და არა „ბანალური პროგრესით“ შეცვლილი. დღესდღეობით ლიტერატორები დეკადანსს გარდამავალ საფეხურად მიიჩნევენ რომანტიზმსა და მოდერნიზმს შორის. საბჭოთა კავშირში კი ეს ტერმინი რატომღაც პირდაპირი მნიშვნელობით მიიღეს და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსაკუთრებული სისასტიკით აკრიტიკებდნენ ედგარ პოს, რაინერ მარია რილკეს, შარლ ბოდლერსა და სხვა „ბურჟუაზიულ“ პოეტებს, ასევე მათ მიმდევრებსა და თავიანთი მემკვიდრეებს. იყო რეპრესიებიც, დახვრითეს ის მწერლები, რომლებიც ვერ ეტეოდნენ ეგრეთ წოდებული სოც. რეალიზმის ჩარჩოებში, ზოგიერთი პოეტი კი თვითმკვლელობამდე მიიყვანეს...

დასავლეთში რადიკალური ფორმით დეკადენტ მწერლებს არავინ ებრძოდა, თუმცა დემისტოფიკაციის პროცესი იქაც მიმდინარეობდა. ადრე პოეზია ქურუმთა ენა იყო. ჰომეროსი, ვერგილიუსი, ოვიდიუსი და ანტიკური ხანის სხვა პოეტები წარმართული მისტიკებით საზრდობდნენ, მისტიკურ აზროვნებას ინარჩუნებდნენ სიმბოლისტები, დეკადენტები და მოდერნისტებიც, მაგრამ შემდეგ თამასამ უცებ დაიწია, სიტყვაც გაუფასურდა. დღეს ანეგდოტებისა და ფელეტონების შემთხვევებსაც პოეტებს უწოდებენ, ზოგიერთი თანამედროვე ვერლიბრისტის ლექსი კი ნაკლებად მუსიკალურია, ვიდრე ჯოისის პროზა.

ჩვენ პოსტმოდერნიზმის ეპოქაში ვცხოვრობთ. რა არის პოსტმოდერნიზმი? ხატოვნად რომ ვთქვათ, ესაა დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ უჯოჯოხეთოდ, დოსტოვესკის „დანაშაული და სასჯელი“ — სასჯელის გარეშე. პოსტმოდერნიზმი წარსულის დაიწყების, დამახინჯებისა და გაუქმებისა ეპოქაა. შეიძლება უყურებდე XXI საუკუნეში გადაღებულ ფილმს და უეცრად აღმოაჩინო, რომ თურმე მაკდონელ გეი ყოფილა, მენელაოსი კი ტროაში მომკვდარა, ხოლო მოსეს ვითომდაც ვიღაც ბავშვი ესაუბრებოდა და არა ღმერთი... პოსტმოდერნიზმის დევიზია არა „ხელოვნება ხელოვნებისთვის“, ან „ხელოვნება ხალხისთვის“, არამედ „ნგრევა ნგრევისთვის“.


აი, ასეთ სავალალო შედეგამდე მიგვიყვანა მისტიკური აზროვნებასთან ბრძოლამ და სიტყვის გაუფასურებამ... ბიბლიური და მითოლოგიური გმირების მნიშვნელობის დაკნინებაც პოსტმოდერნისტული ეპოქის ერთ-ერთი ნიშანია.

**III
აზნაზია**

ანტიკური ხანის ბერძენი და რომაელი პოეტების თხზულებებში არაორაზროვნადაა მითითებული კოლხებისა და პელაზგების საერთო წარმომავლობის შესახებ. ტიტანურ აიად მოიხსენიებს კოლხეთს „არგონავტიკაში“ აპოლონის როდოსელი, ხოლო ვერგილიუსი თავის უკვდავ „ენეადაში“ პელაზგების დედამთავრად ტიტან ატლასის (ბადრის) ქალიშვილს ელექტრას მიიჩნევს. კელტ-იბერებად თვლიდა პელაზგებს ჰეროდოტე, თუმცა მომდევნო ეპოქებში მოღვაწე ბერძენ და რომაელ ისტორიკოსებს ეს თემა არ აუტაციათ და გაულრმავებიათ, რაც ბუნებრივიცაა, რადგან პელაზგების წარმომავლობაში ჩაღრმავება ნათელს მოჰფენდა, რომ ბევრი მითოლოგიური გმირი და სახელოვანი მეფე ბერძენი ან ლათინი კი არ იყო, არამედ — ხმელთაშუა ზღვის სპირეთსა და მცირე აზიაში მცხოვრები წინაარსილი მოდგმის შთამომავალი.

უკმარისობის გრძნობა გვიპყრობს საქართველოს ისტორიის შესახებ დანერდილი თხზულებების გაცნობისასაც. თითქოს რაღაც არაა ბოლომდე ნათქვამი, თითქოს რაღაც დაიწყებულია. ხანდახან კი გვეჩვენება, რომ უცხოელებმა უფრო მეტი იცინა ჩვენს შესახებ, ვიდრე თავად ჩვენ. აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ ვაწყდებით ცნობას ძველი კოლხური დამწერლობის შესახებ. დღეს კი რა ვიცით იმ კირბების (სამწანანაგა დაფების) შესახებ, რომლებზეც თურმე სასულიერო და საერო კანონები ეწერა? ან სამანძილო კირბებზე, საზღვაო და სახმელეთო მარშრუტებს რომ გვიჩვენებდა? არაფერი. ცოდნას ვინ დამეძებს, იმის წარმოდგენაც კი გვიჭირს, რომ ისინი ოდესმე გვექონია.

„ქართლის ცხოვრებაში“ ბურჟუაზიულ ფარავს ეპოქას ჩვენი მითოური წინაპრის ქართლოსის შვილიშვილის უფლოსიდან მოყოლებული ვიდრე ფარნავაზამდე, რაც არალოგიკურია. ძირითადად მხოლოდ ის რატომ უნდა გვახსოვდეს ამ ხანგრძლივი ისტორიული პერიოდთან, თუ ვინ დაგვავადო ხარკი ან ვის ავუჯანყდით, მაშინ როდესაც ანტიკური ხანის ბერძენ ისტორიკოსთა და პოეტთა ცნობით კოლხეთის უძლიერესი სამეფო ტროას ომამდეც არსებობდა, თავისი უძველესი სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლებით, მისტიკური ცოდნით (ოქროსი ხანისი), სრა-სასახლეებით, რომლებიც თავის ჭრიდა თვით ბერძნებსაც კი? სად გაქრა ცოდნა ჩვენი წარსულის შესახებ? ვინ გაგვინადგურა წერილობითი ძეგლები — დამპყრობლებმა? იმ უძველეს ეპოქაში ხომ ხან ხაზარები გვიპყრობდნენ, ხან სპარსელები და ხანაც სკვითები? თუ ჩვენ თვითონვე გავასაიდუმლეთ ჩვენივე წარსული, რათა „ახალი არგონავტები“ არ მოგვლენოდნენ გატაცებას გადარჩენილი მისტიკური საგანძურის წასართმევად? ან რატომ არაფერს ამბობს „ქართლის



ცხოვრების“ ავტორი აიცილსა და მედეას შესახებ, რომელთა სახელებიც ვეროპაში ყველას პირზე ეკერა? ნუთუ ყველაფერი დამპყრობლებს უნდა დაბრადდეს, რომლებიც თემურ ლენგის მსგავსად არა მხოლოდ სახლ-კარს გვინვაფდნენ, არამედ თავად წერა-კითხვის უცოდინარნი ჩვენს ხელნაწერებს თავიანთ ქვეყანაში ეზიდებოდნენ?

საქმეც ისაა, რომ „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი გაზღაპრებულია. XIX საუკუნეში რუსი და სომეხი მეცნიერები დაგვიცინოდნენ კიდევ. მაგალითად, წმინდა ილია მართლის თანამედროვე სომეხი მეცნიერი ვინმე პატკანოვი პირდაპირ ამბობდა: „თქვენი „ქართლის ცხოვრება“ არაფრის მაქნისია“ („ქვათა ლაღადი“). „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისში აღწერილი მოვლენების ისტორიულ ფაქტებად მიჩნევა, მართლაც, შეცდომა იქნებოდა. ამას არც წმინდა ილია მართალი უარყოფს. ის ეთანხმება უცხოელ მეცნიერებს: სენ-მარტენს, ლანგლუასა და სხვებს, აღნიშნული ისტორიული ძეგლის შეფასებაში. „ლანგლუა ამბობს, რომ დასაწყისი „ქართლის ცხოვრებისა“ ზღაპრითა და სამართლიანადაც ამბობს. ეს ქართლოს, კახოს და სხვა ამისთანები, რასაკვირველია, ზღაპრად უნდა ჩაითვალოს“, — ვკითხულობთ „ქვათა ლაღადი“. „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი საეჭვოდ მიაჩნდა ივანე ჯავახიშვილსაც, განსაკუთრებით კი ის ადგილი, სადაც პატრიარქებზეა საუბარი. ჩამოთვლილ პატრიარქთაგან მხოლოდ ქართლოსი და

ჰაოსია რეალური, დანარჩენები ზღაპრული გმირები უნდა იყვნენ. ვინ იყო, მაგალითად, გარდაბანოსი? პატრიარქი?! ლეონტი მროველს ან არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდა კოლხეთის შესახებ, ან საგანგებოდ არ აშუქებდა ამ თემას, რათა საფუძველი არ შერყოდა მის „ჰაოს-ქართლოსიანურ“ თეორიას, რომლის იდეოლოგიურ ხასიათზეც უკვე ღიად საუბრობენ ისტორიკოსები.

თუმცა არსებობდა კოლექტიური ამბების სხვა, უფრო თანამედროვე, მიზეზებიც, საბჭოთა მეცნიერებს რელიგიასა და მისტიკაში ჩაღრმავება ეკრძალებოდათ, სხვაგვარად კი პროტოქართული მოდგმის შესახებ რაიმე სერიოზული კვლევის ჩატარება შეუძლებელი ჩანდა. დიდად არც მეფის რუსეთის დროს იყო ნახალისებული ისტორიული ხასიათის შრომები, პირიქით, ყველაფერი კეთდებოდა საიმისოდ, ჩვენი ენა და ტრადიციები რომ დაგვეინყებინა, დაგვეკარგა ისტორიული მემკვიდრეობა. ალბათ, ამ და კიდევ სხვა მრავალ მიზეზთა გამო მემკვიდრეობა ნაწილობრივ დაგვიზიანდა, ამნებით დაავადდით. ეს სენი ყველა სფეროს შე-

მაძამთავრად, არამედ რელიგიური ხასიათის ჰომინების საუკეთესო შემსრულებლებადცაა მიჩნეული.

„თმებაქორილი იოპასი ნაზ კითარაზე ატლანტისაგან ნასწავლ ჰანგებს

ტკბილად მღეროდა, ამკობდა მზესა და

მთოვარის მოქცევას ცაზე, კაცთა გაჩენას, ცეცხლს და

ამინდს ხოტბას ასხამდა“.

ინგლისურენოვან გამოცემებში საბჭოურისგან განსხვავებით, ატლასისა და ელექტრას ეპოქაც დაზუსტებულია, ატლასი ცხოვრობდა წარლენის წინ, მისი ქალიშვილი ელექტრა კი წარლენის შემდგომ. ელექტრა დედაა მითოური დარდანოსის, რომელიც ტივით მიცურებულა დატბორილ ტროამდე (როგორც ჩანს, წარლენის შემდეგ წყალი ნელ-ნელა იწრეტებოდა) და ცოლად მოუყვანია ტროას მეფის ტევკრის ქალიშვილი ბათია. სწორედ მათი შთამომავლები იყვნენ ტროელი უფლისწულები ჰექტორი და პარისი, ასევე მათი ბიძაშვილი ენეასი.

ამრიგად, ვერგილიუსსა და დანტეს მიაჩნიათ, რომ ელექტრა ტიტან იაპეტოსის შვილიშვილი და ატლასის ასულია, ინგლისელი მწერალი და მკვლევარი რობერტ გრეივისი კი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ პელაზგთა კიდევ ერთი დედამთავრის, იოს, მამა ინაქსოსი იაპეტოსის ძეა. ასე რომ, გრეივისის ვერსიით, ატლასი და ინაქსოსი ერთი და იგივე პიროვნებებია, ისევე როგორც — იო და ელექტრა. უბრალოდ იო პელაზგურ-ბერძნული სახელია, ხოლო ელექტრა — Electus-ra ლათინური, რაც რას რჩეულს ნიშნავს. იოს მემკვიდრეებად მიიჩნევენ თავს იონიელი და არკადიელი პელაზგები. ვინ უნდა ყოფილიყო იო? ბიბლიურ ენციკლოპედიაში ვკითხულობთ: „უძველესი იუდეური გადმოცემის მიხედვით ქამი მიჩნეულია კერპების შემქმნელად. ხოლო ზოგიერთები მას წარმართულ ღვთაება ამონ-რასთანაც კი აიგივებენ, ეგვიპტელთა ღმერთთან“. ამონ-რას მეუღლე მუტია, რომლის კულტიც ეგვიპტეში ჯერ ჰათორის (მთვარის ქალ-ღვთაება, ქალ-ძროხა) კულტს შეერწყა, შემდეგ კი — იზიდასას. იოც ბერძნულ მითებში ქალ-ძროხადაა წარმოდგენილი, ის სიზმარში ხარად გადაქცეულ ზევსს ხედავდა, რომელსაც მასთან შეუღლება სურდა და თავადაც ძროხას დაემსგავსა. ეგვიპტურ ტაძრებში ასეცაა გამოსახული: ქალ-ძროხად, მთვარის ქალ-ღვთაებად, დიად დედად — მუტად, რომელსაც რქებს შორის მთვარე მოჰქცევია. ოვიდიუსს ნაზონის „მეტამორფოზებში“ იო იზიდავდა მოხსენიებული. ასე რომ, დიდი ბერძენი და რომაელი პოეტების ვერსიების შეჯამებისას ლოგიკურად მივდივართ დასკვნამდე, რომ იო-ელექტრა დიადი დედაა, ის რალაციტ ჰგავს ეგვიპტური ღვთაების ამონ-რას ცოლს მუტს და არა აგამემნონის ასულს. ამონი კი იუდეური გადმოცემის მიხედვით თავად წარლენას გადარჩენილი ქამია“...

დიახ, ელექტრა მნიშვნელოვანი ფიგურაა წარმართული სამყაროსთვის, ამიტომ არ უნდა გავიკვირდეს, თუკი დანტე ალიგიერი მას ჰომეროსის, ვერგილიუსის, იულიუს კეისრის, პლატონისა და არისტოტელეს გვერდით იხსენიებს...

*რაფანის ვარსკვლავი ძველ ალექსანდრიაში ლუციფერ-თანაა გაიგივებული. აი, როგორ ამხელს ამის წინასწარმეტყველის მეშვეობით უფალი ებრაელებს: „განა მოგქონდით ჩემთან მსხვერპლად და ძღვენი ორმოცი წლის მანძილზე უდაბნოში, ისრაელის სახლო? დაატარებდით თქვენი მოლოქისა და ქიურის კარავს, თქვენს კერპებს, თქვენი ღმერთის რაფანის ვარსკვლავს, თქვენსავე ნაკეთებს“ (ამოს. 5. 25-27). ნეტარი იერონიმეს განმარტებით რაფანის ვარსკვლავში ლუციფერი (განთიადის ვარსკვლავი) იგულისხმება, რომელსაც წმინდა მინაზე დაბრუნებამდე მოსეს მიერ ეგვიპტიდან გამოყვანილი ებრაელთა უდიდესი ნაწილი ეთყვანებოდა.

**ქამის ცოლის ვინაობის შესახებ გამოთქმული ჰიპოთეზა მთლიანად ეყრდნობა ერთადერთობის პრინციპს. რამდენიმე მკვლევარს ეს ზოგიერთ ბიბლიურ ან მითოლოგიურ გმირს გააჩნია ერთადერთობის განმარტებითი მახასიათებლები, რომლებიც ხატოვნების გამო ხანდახან ჰერალდიკურ ნიშნებადაც კი გვევლინება. მაგალითად, შურდული და ქნარი ბიბლიური მეფე დავითის ჰერალდიკური ნიშნებია. მთა და მთისკენ გაფრენილი ცეცხლოვანი ისარი კი — ამირანის. რისი სიმბოლოა ქალ-ძროხა? წარმართულ სამყაროში ის მთვარის ქალ-ღვთაების გამოხატულებაა, ეს-ქილეს ტრაგედის „მიჯაჭვული პრომეთეს“ პერსონაჟის — იო-ჰათორ-მუტის, რომელიც ერთადერთობის პრინციპიდან გამომდინარე ქამის ცოლად უნდა მივიჩნიოთ.

მწერალი

გიორგი კეკელიძე

ალბათ ბევრს ახსოვს მისი პირველი გამოჩენა. ახალგაზრდა პოეტი ოზურგეთიდან საოცარი სიახლით შემოვიდა მკითხველის სამყაროში და მოიტანა ლექსები სხვა ემოციით, სხვა ენერჯით, სხვა სიცოცხლით. მას შემდეგაც ასე საინტერესოდ და სიახლეებით აგრძელებს გზას — ჯერ იყო და, პორტალი lib.ge დააარსა და ათი ათასამდე ელექტრონული წიგნი გადაფურცლა მკითხველის წინაშე, შემდეგ მისმა „გურულმა დღიურებმა“ მოხსნა რეკორდი; იყო კიდევ არაერთი წიგნი, სავტორო გადაცემა, ლიტერატურული პროექტი თუ ჯილდო, არაერთი წარმატება შემოქმედებით და საზოგადოებრივ სარბიელზე, სულ მოძრაობა და მოძრაობა. თუმცა, საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში, როგორც ხელმძღვანელის შებიჯება, თავისი მნიშვნელობით, მაინც განსაკუთრებული ფურცელია მის ცხოვრებაში — ახალი სუნთქვა ბიბლიოთეკისთვის და მისთვისაც.

დასაწყისზე, გურიაზე, „დღიურებზე“, ბიბლიოთეკასა და საკუთარ თავზე გიორგი კეკელიძე ვეცდებით.

— თავიდან დავიწყობ, ანუ იქიდან, საიდანაც მკითხველმა გაგიცნოთ — ლექსებიდან. როდის დაიწყეთ წერა და როგორი იყო დასაწყისი — პოეზიის აღმოჩენა ყოველდღიურობაში? რამ განერინათ პირველი ლექსები — პოეზიის განსაკუთრებულმა სიყვარულმა? გარემომ, რომელშიც იზრდებოდით? სიყვარული?

— არსებობს ასეთი ოჯახური ლეგენდა, რომ პირველი ლექსი სამი წლისამ გამოვთქვი, თუმცა, სიმართლე გითხრათ, სულ მცირე, ბებიჩემის თანავტორობით მაინც მგონია შექმნილი.

„ჭრიჭინა და წვიმა მიყვარს, ქარია და ქარი, ბავშვებო, არ გამოხვიდეთ, არ გააღოთ კარი“.

შემდეგ მოვიდა სკოლის დრო და ცხადია, სიყვარულიც. თუმცა პირველი ლექსი, რაც მახსოვს, მიბაძვა უფრო იყო, სტილით — ვაჟასი და თემატიკით — იგავური ჟანრის. „უპოვარი და ვაჭარი“ — ასე ერქვა. ამბიციის ამბავიცაა, ალბათ. სხვებთან ლაპარაკის გამორჩეული გზის სურვილიც. გათავისუფლების მცდელობაც. ცოტა პოზაც. არ ვიცი. მართლა არ ვიცი, თავიდან რატომ და როგორ იწყებენ წერას. იქნებ და, მისტიკის საქმეცაა.

— დიდი ხანია, ლექსები აღარ დაგიბეჭდავთ. მაინტერესებს, რატომ აღარ წერთ? რატომ თქვით უარი პოეზიაზე და დაიწყეთ პროზაში მუშაობა?

— ვწერ. უბრალოდ, ვფიქრობ, რომ რაღაც წრის დაძლევაა საჭირო და ჯერ ამის დრო არ დამდგარა. საკუთარ წრეს ვგულისხმობ. მითოლოგიურ და ფოლკლორულ თემებს ვუტრიალებდი. მერე მივხვდი, რომ იქ იმაზე მეტ ხანს შევყოვნდი, ვიდრე საჭიროა. ამიტომაც ახლა მხოლოდ მინიატურებს ვაკეთებ. შეგაზებს. მეტაფორებს. პროზას რაც უფრო, ეს სტარტი უფროა, მოთელვა, ადგილის ძებნა.

— დროდადრო შთამბეჭდავად გამოჩნდებით ხოლმე, როგორც შემოქმედი — ჯერ თქვენს პოეზიაზე ალაპარაკდნენ ლიტერატურული წრეები, შემდეგ „გურული დღიურების“ ხანა დაიწყო და ვფიქრობ, ასეთი რეზონანსი, ბოლო წლებში არც ერთ ქართულ თანამედროვე წიგნს არ შექონია. როგორ გგონიათ, რა არის „გურული დღიურების“ ასეთი წარმატების მიზეზი, რა არის საფუძველი? გარდა ავტორის ოსტატობისა, ცხადია.

— არ მგონია, რომ ეს არის ყველაზე უკეთესი ქართული პროზაული წიგნი, რაც ბოლოს დროს დაწერილა. ცხადია, არც ყველაზე უარესი მგონია. ვიტყვი ასე: ეს არის ყველაზე წარმატებული ლიტერატურული პროექტი ბოლო წლების განმავლობაში და კარგი პრეცედენტი. ერთგვარი დასტური იმისა, რომ მკითხველი არსებობს — იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე, ჩვენ, წიგნის გულშემატკივარ ხალხს გვევლინება. ადვილი ენით დაწერილი ესეები, უბრალო ამბები. ალბათ ეს მოეწონა ხალხს. და ცხადია, მინოდების ფორმაც — სოციალური ქსელი, ტელევიზია — საკუთარ როლს თამაშობს. ამ აზრით, „გურული დღიურები“ ბრუნდა იქცა. დაიწყო ტურისტული მოძრაობა — „გურული დღიურების გზა“, რომელიც გურის ხელახლა აღმოჩენასა და ტურისტებისთვის მიზიდველ მხარედ ქცევას გულისხმობს. ამოავლეს „გურული დღიურების“ ჩურჩხელა, მალე ჩაი „გურული“ აპირებს იმავე ხაზის ამუშავებას. რაც ყველაზე მთავარია, ჩემმა მეგობრებმა დადანიშნეს, ჩამოაყალიბონ „გურული დღიურების ფონდი“, სადაც შემოწირულობებთან ერთად, ჩემი წიგნებიდან შემოსული ჰონორარის ნაწილი გადაირიცხება. ფონდის მუშაობაში მეც აქტიურად ჩავერთვები. ვინაიდან

ვფიქრობ, რომ ქვეყნის უმთავრესი გამოწვევა განათლებაა, საწყის ეტაპზე, ფონდი გასცემს სტიპენდიას ორი ოზურგეთელი მოსწავლისთვის. პირველი მათგანი შეირჩევა აკადემიური მოსწრების და შესაბამისი გასაუბრების შედეგად, ხოლო მეორე — სოციალურად დაუცველი ოჯახიდან იქნება.

— ისევ „დღიურებით“ გავაგრძელებ — არ დამთარდა მისი ამბავი, არ მოძველდა ეს წიგნი, დღემდე ახალ-ახალ სიცოცხლეს იძენს. ვგულისხმობ თარგ-



მანებს, „სელფის“ აქცია და ყველაფერი იმას, რაც ამ წიგნის თავგადასავალს დღითიდღე ამდიდრებს. კიდევ მომიყვებით ამ წიგნზე, მის გრძელ გზაზე, თქვენს დამოკიდებულებაზე მასთან და მის მკითხველთან.

— „სელფის“ აქცია, თავისთავად, არ არის უინტერესო ამბავი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგს შეიძლება აღიზიანებდეს. მსმენია ხოლმე, რომ წიგნთან სურათს მხოლოდ გოგონები იღებენ და — ამ საკითხზე აგებული ხუმრობებიც. და რა პრობლემაა? რაც უფრო სახალხო გახდება წიგნი, როგორც ფენომენი, მით უკეთესი. რაც შეეხება „დაუსრულებლობას“, ეს არც არის რამე ტიპის სიუჟეტური ფორმის სერია. უფრო მცირე ამბები და დაკვირვებები და ალბათ მანამ გავაგრძელებ, სანამ დავწერ. რაც შეეხება თარგმანებს, ხუთ ენაზე ითარგმნა და მალე გამოვა აზერბაიჯანში, თურქეთში, უკრაინაში, ბელორუსში, იტალიაში.

— მგონია, რომ გურია არა მხოლოდ ამ წიგნს, მთელ თქვენს შემოქმედებას ასაზრდოებს, და არა მარტო შემოქმედებას — თქვენს ცხოვრებას და საქმიანობას. რა არის მასში ასეთი განსაკუთრებული, ასეთი ცოცხალი და გადაძვინებული დარწმუნებული ვარ, ყველა კუთხეს აქვს ის დვრიტა თუ მუხტი, რაც ადამიანს გამოკვებას სიცოცხლის ბოლომდე, მაგრამ თითოეულს რაღაც თავისი უნიკალური, განსხვავებული მაინც ხომ გააჩნია. გურიასაც, მათ შორის.

— ნებისმიერი რეგიონი, კუთხე უკიდურესად საინტერესოა, მაგრამ ნებისმიერი ადამიანისთვის ათმაგად უფრო მნიშვნელოვანია ის ადგილი, სადაც საკუთარ თავს პირველად შეხვდა და გაიცნო. მშობლიური კუთხე სწორედ ამ აზრით არის, ალბათ, მნიშვნელოვანი და მერე მოსდევს მას გარემო, მთები, მდინარეები და სხვა. გურულის განსაკუთრებლობა მის სისხარტეში და იუმორით სიდუხჭირესთან ბრძოლის უნარშია.

— ძირითადად, მაინც დოკუმენტურ პროზას წერთ. რატომ, სწორედ ეს უნარია?

— ამ ეტაპზე ყველაზე კომფორტულად იქ ვგრძნობ თავს. გამოგიტყდებით, ჩემი რეჟიმი ძნელად მძღვეს საშუალებას, სხვა

უანერებს აქტიურად შევეჭიდო. იქ კი ყველაფერი ხელისგულზე მაქვს. ეს ამბები მე ვარ, ჩემი ბავშვობაა.

— ორიოდ წლის წინათ გამოცემული სერია — „სხვა დეტექტივი“ — სრულიად ახალი მიმართულება იყო თქვენს შემოქმედებაში. ძალიან ორიგინალური, თავისებური, სახასიათო ტექსტები, შეიძლება ითქვას, ავტორის მხრიდან გამონვევასავით იკითხებოდა.

— ერთგვარი ექსპერიმენტი იყო. ვეცადე, შემექმნა ანტიდეტექტივი დეტექტიური მდინარებით და არაშესაბამისი ფინალით. ეს იყო პირველი მცდელობა, მენერა ურბანულ საზოგადოებაზე. ცოტა ირონიული და ცოტა იგავური ტექსტები.

— პირველი რომანი — „ორი თავგადასავალი“ — დაახლოებით ერთი წლის წინათ გამოიცა. ხომ არ იყო ეს „გურული დღიურების“ ერთგვარი დასრულების, მისგან გამოსვლის თუ მასთან დამშვიდობების ლიტერატურული აქცია? ამ რომანს თავისი ამბავი, თავისი ხასიათი აქვს, მასში წარმომჩენია კონფლიქტი საკუთარ თავთან, საზოგადოებასთან, თავის მხრივ, საზოგადოება კონფლიქტშია მათთან, ვინც მას ეუცხოება — საბ-

„ მოძრაობა ჩემი ბედისწერა “

ჭოთა ეპოქის ერთგვარი მხატვრული შლეიფია.

— ალბათ ასეა. თუმცა, წერის პერიოდი ძალიან მძიმე დროს უკავშირდება, ჯერ მამა, მერე კი ბებია გარდაემეცვალა. ორივე მოულოდნელად და სულ რაღაც ორი დღის გამოტოვებით. ამიტომაც წიგნმა, რომელიც პოსტმოდერნისტულ თრილერად იყო ჩაფიქრებული, ადრეულ პოსტაპტოთა ადამიანზე დაკვირვების ფონით — ფორმა იცვალა და სიკვდილსა და სიცოცხლეზე დაკვირვებად იქცა.

— ვფიქრობ, არ დარჩა ლიტერატურული ფორმა, რომელშიც არ მუშავიათ — დაწყებული პოეზიით, გაგრძელებული მოკლე პროზით და დაკვირვებებით რომანით. ალბათ თითოეულ ამ მიმართულებასთან თქვენი დამოკიდებულება გაქვით, თითოეული მნიშვნელოვანი გამოცდილებითა და შთაბეჭდილებებით ამდიდრებს ავტორს. თქვენი გამოცდილება-შთაბეჭდილება როგორია?

— მგონია, რომ მთავარი გამოწვევები, როგორც ავტორს, მაინც წინ მაქვს. ჯერჯერობით, უფრო მეტი და ხარისხიანი პოეზიაში შემექმნია, უფრო ცნობილი — პროზაში. აი, ამ ორის სინთეზია საჭირო.

— lib.ge ფანტასტიკური, ძალიან საჭირო და თანამედროვე პროექტი იყო იმ დროისთვის, თქვენი მხრიდან ერთგვარი საჩუქარი მკითხველს. მგონი, 10 ათასამდე ტექსტს მოიცავს. დიდი შრომაა განეული. ასე მგონია, ამან ბუნებრივად მოგამზადათ ბიბლიოთეკისთვის. ასეა?

— ეს იყო ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი ჩემი და მეგობრების ცხოვრებაში. ყურნალ „ლი“-ის გაგრძელება, რომელსაც ჩვენი სტუდენტური სამსახურის ხელფასით ვუშვებდით. სწორედ lib.ge-სთანაა დაკავშირებული ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობაზე შემოთავაზება. დაიხ, ეს მომზადება იყო. ბიბლიოთეკის დირექტორობა კი — ერთადერთი საჯარო ინსტიტუტი, რომელში მუშაობაც ჩემთვის სასურველი და საინტერესოა.


— ეროვნული ბიბლიოთეკა — უმნიშვნელოვანესი ფურცელი თქვენს ბიოგრაფიაში. როგორი დაგხვდათ იქაურობა,

როგორია ბიბლიოთეკა დღეს და რა გეგმები გაქვთ მომავალში? ვფიქრობ, ძალიან საჭირო პროექტებია — წიგნადი ფონდის გამდიდრება, ელექტრონული ბიბლიოთეკა, სოფლის ბიბლიოთეკები; სულ ახალი მიმართულება — წიგნის კუთხე საზღვარგარეთ და ასე შემდეგ. თუმცა, ამ კონკრეტულ პროექტებზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ზოგადად თქვენი დამოკიდებულება ბიბლიოთეკის მიმართ, მისი ფუნქციის გლობალური დანახვა და იმ გლობალური მიზნისკენ თანამიმდევრული სვლა.

— როდესაც ბიბლიოთეკაში მუშაობა დავიწყე, ჩემი მიზანი, განათლების თვალსაზრისით, რბილად რომ ვთქვათ, რაღაცის შეცვლა იყო. შესაბამისად, ჩემი მთავარი პრიორიტეტი, ნებისმიერი ჩემი აქტივობის განმსაზღვრელი ნაწილი, სწორედ ეს მიმართულებაა. ქმედებები, რომელსაც მე და ჩემი გუნდი ვახორციელებთ, არ უნდა იყოს ბუტაფორიული და არ უნდა ეფუძნებოდეს ერთჯერად შედეგს. აქ იგულისხმება, როგორც მოძრაობა „ეკვილიბრიუმი“, ასევე ჩვენი ძირითადი პროექტები, როგორც არის „ივერიელი“, ციფრული ფოტომატიანე, საქართველოში ყველაზე დიდი ელექტრონული ბაზა „რუსთაველი“, „ფირსმანი“; ამავდროულად, ისეთი ტიპის აქტივობები, როგორცაა საბიბლიოთეკო ელექტრონული ლექსიკონები, სასწავლო ლექსიკონები და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი საჭირო იქნება ხვალ, ზეგ და მაზგეც. ამასთან, ყველა ნაბიჯი, რასაც ვდგამთ, თავის თავში უნდა გულისხმობდეს განვითარების პოტენციალსაც. ჩემი ძირითადი სურვილი და მოვალეობა ის არის, რომ სივრცე, რომელშიც ვსაქმიანობ, განვითარდეს და მეორე მხრივ, შევქმნათ მოცემულობა, რომ მომავალში სხვა ადამიანებსაც შეეძლოთ იქ უკეთესი საქმეების კეთება. ბიბლიოთეკა არ არის ჩემი დაწესებულება, ის ეკუთვნის სახელმწიფოს, ხალხს, ადამიანებს. ბუნებრივია, ქმედებებიც სწორედ ამ მოტივით უნდა იყოს ნაკარნახევი და არა, ვთქვათ, ირიბი განზრახვებით. ეროვნული ბიბლიოთეკა უნდა მოიცავდეს ყველაფერს, ყველა ფაქტს, რაც მომხდარა და მოხდება ქვეყანაში, რის შესახებაც წიგნი დაწერილა და გაზეთი გამოცემულა, ფემინიზმი იქნება ეს თუ სხვა რაიმე იზმი. ჩვენი მთავარი გამოწვევა, გარდა წიგნადი ფონდის გაზრდის და ელექტრონული რესურსების გამდიდრებისა, ინფრასტრუქტურული განვითარებაა. სხვათა შორის, სიმბოლური თარიღი, აღსანიშნავი თარიღია ციფრული ფოტომატიანის — ეს ეროვნული ბიბლიოთეკისა და „ჯეოსელის“ პროექტი გახლავთ — 100 ათასი ელექტრონული ფოტო გვაქვს უკვე. ეს არის ოჯახ-ოჯახ დაძებნილი, ძალიან მნიშვნელოვანი ფოტოები, რომლებიც ნამდვილად განადგურდებოდა ათწლეულების შემდეგ. აი, ამ ორ მიმართულებას გულისხმობს ეროვნული ბიბლიოთეკა, როგორც გითხარით, ერთი მხრივ, წიგნადი ფონდის გამდიდრებას, ელექტრონული რესურსების გაძლიერებას და მეორე — ინფრასტრუქტურულ გამოწვევებს, რაც აუცილებლად დასრულდება ეროვნული ბიბლიოთეკის სრული განახლებით და ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო კულტურულ დაწესებულებად გადაქცევით.

— სწორედ ეს მომწონს, რომ ის ემსგავსება ცნობილ ევროპულ ბიბლიოთეკებს — წიგნიერების, კულტურის, მეცნიერების კერებს, სადაც სიცოცხლე დღეს, მიმდინარეობს სამეცნიერო კვლევებში, ხორციელდება კულტურული პროექტები... სხვადასხვა პროფესიისა თუ ინტერესის უამრავ ადამიანს სულ უფრო მეტად იზიდავს ეს ადგილი. თანაც მხოლოდ მთავარ კორპუსში კი არ იგრძნობა მოძრაობა, მნიშვნელოვანი პროცესებია ბიბლიოთეკის სხვა შენობებშიც. უფრო კონკრეტულად, იქნებ გვითხრათ, სად რა ხდება?

— სულ შვიდი შენობა გვაქვს. ერთ-ერთი ქუთაისის კორპუსია. პირველ კორპუსში ჩატარდა ისტორიული, ფუნდამენტური გამაგრებითი სამუშაოები. რეალურად, წლების შემდეგ გავხსენით პირველი კორპუსი, მაგრამ ბუნებრივია, მას სჭირდება თვისობრივი რეაბილიტაცია. ამ შემთხვევაში, ორი ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი მიმდინარეობს იქ და ვფიქრობ, გაზაფხულზე დასრულდება. ერთია კავკასიასა და აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-



ერთი უდიდესი წიგნის მუზეუმის შექმნა, რომელიც თავის თავში მოიცავს სამ მიმართულულს — „ვეფხისტყაოსნის“ მუზეუმს, იშვიათ გამოცემათა მუზეუმს და ილია ჭავჭავაძის კაბინეტს, რომელიც დაცული იქნება მისი პირადი არქივი. ამ უკანასკნელ პროექტს დავით ბეჟუაშვილის „განათლების ფონდი“ აფინანსებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ანბანის, დამწერლობისა და შრიფტის მუზეუმი — მეორე პროექტი. ამ შემთხვევაში „ქართუ“ გვეხმარება. პროექტის ფარგლებში უნდა მოეწყოს ერთგვარი სივრცე, სადაც წარმოდგენილი იქნება ქართული წერილობითი კულტურის განვითარების ყველა ისტორიული ეტაპი, ანუ სანაწიის საფეხური, რაც, ბუნებრივია, გულისხმობს ამოტივტივულ ნაწარმებს, შემდეგ — ტექსტების ეტრატებზე გადატანას, ხელნაწერ წიგნებზე გადასვლას, პირველი ბეჭდური წიგნები, შრიფტის ისტორია, სტამბის ისტორია და ასე შემდეგ. ეს ორი სივრცე იქნება ერთგვარი შემკვერელი მოცემულობისა, რომელსაც მომავალში გააძლიერებს ის ორი დიდი ლეგენდარული სამკითხველო დარბაზი, რომელიც ძალიან დიდი ხანია, დახურულია. ვფიქრობთ, მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო სამკითხველო დარბაზებს გვაკეთებთ. გვინდა, სივრცე თანამედროვე იყოს — სამკითხველო დარბაზებში ადამიანებს შეეძლოს, ჩანს ან ყვეს დალევას და წიგნის კითხვას. ასე რომ, პირველ კორპუსთან დაკავშირებით დიდი გეგმები გვაქვს.

— მეორე კორპუსში, რამდენადაც ვიცით, დარბაზებისა და კაბინეტების სიმრავლეა.

— რაც შეეხება მეორე კორპუსს, მისი რეაბილიტაცია უკვე დაიწყო. დიდწილად აქაც კერძო ბიზნესის მხარდაჭერა გვაქვს. მაგალითად, გავხსენით კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტი, ჭაბუა ამირჯიანის კაბინეტი. ასევე, მოეწყო დარბაზი, რომელიც მიგრანტული ლიტერატურითაა გამდიდრებული და რომელსაც „თი-ბი-სი“ ბანკი აფინანსებს. კორპუსს შეემატა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, დავით სარაჯიშვილის, ვახტანგ VI-ისა და დედაენის დარბაზები. იქვეა რეპრეზირებული წიგნების მუზეუმიც. ამავდროულად, ვგეგმავთ სამკითხველო დარბაზის დროულად მოდერნიზებას. უბრალოდ, ველოდებით პირველი კორპუსის გახსნას, რათა მუშაობის მიმართულებით არ შევეფერხებოდეთ. შეიქმნა დიდი ციფრული ლაბორატორია, რაც გულისხმობს სკანირებას, მომზადებას, დამუშავებას და ასე შემდეგ. პოსტსაბჭოთა სივრცეში გვაქვს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული, წიგნის რესტავრაციისა და დამუშავების კაბინეტი, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდანაც კი გვაკითხავენ რესტავრაციისთვის. რაც შეეხება მესამე კორპუსს, იქ უკვე არსებობს რამდენიმე თემატური ბიბლიოთეკა. გარდა იმისა, რომ „სილქნეტის“ მხარდაჭერით, განახლდა დიუმას ცენტრი, დაფუძნდა პაოლინის სახელობის ძალიან ეფექტური იტალიური ბიბლიოთეკაც, რომლის მოთავე იტალიის საელჩოა. გვაქვს, ასევე, „ლიბერთი ბანკის“ მხარდაჭერით შექმნილი „ლიბერთის“ დარბაზი — ყველაზე დიდი ელექტრონული სამკითხველო დარბაზი საქართველოში. ამავდროულად წარმატებით მუშაობს ვახისა და ღვინის ბიბლიოთეკაც. გვაქვს აფხაზური ბიბლიოთეკაც. მესამე კორპუსს მარო მაყაშვილის ბალი ამშვენებს. მეოთხე კორპუსი კი საცავია, რომელიც ძალიან სერიოზულ რეაბილიტაციას საჭიროებს. ამასთან



დაკავშირებით, მიმდინარეობს მოლაპარაკება სახელმწიფოსთან და ბიზნესსექტორთან. ის სივრცე სრულად უნდა განახლდეს და ულტრათანამედროვე საცავად იქცეს. მეხუთე კორპუსში ამოქმედდა ეკოდარბაზი. ვფიქრობთ ბარბარე ჯორჯაძის კაბინეტის გახსნაზე, რომელიც წარმოდგენილი იქნება აქტიური ქართველი ქალების, მაგალითად, ეკატერინე გაბაშვილისა და სხვათა მოღვაწეობა. სულ მალე გაიხსნება ნოდარ დუმბაძის სახელობის ბალი. შეიქმნება ისეთი ტიპის სივრცეები, სადაც წარმოდგენით არა იმდენად ცნობილ, მაგრამ ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვან სახელებს. ქუთაისში ნიკო ნიკოლაძის სახელობის წიგნის საცავზე ვმუშაობთ, იქ განთავსდება ის ცალეები, რომლებიც, ამ შემთხვევაში, შეიძლება ზედმეტი იყოს ჩვენს საცავში, მეორე მხრივ კი, რომელსაც ჩვენი სომეხი და აზერბაიჯანელი მეზობლები მოგვანვდიან. ეს იქნება კავკასიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საცავი. ამავდროულად გავაშენებთ ცისფერყანწელთა ბაღს. ერთგვარი უფასო სასტუმროს გახსნაზეც ვფიქრობთ, უცხოელებსთვის. ეს პრაქტიკა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არსებობს, განსაკუთრებით აღმოსავლეთის ქვეყნებში. ცხადია, ის არ იქნება კლასიკური ტიპის სასტუმრო, უფრო — სასტუმრო ოთახი, სადაც სტუმარი — მეცნიერი ან მწერალი — უფასოდ იცხოვრებს, ოღონდ შემდეგ მან რომელიმე უცხოურ გამოცემაში ჩვენს ქვეყანაზე უნდა დაწეროს. ცხადია, ყოველ მეორე სტუმარს ვერ ვუმასპინძლებთ იმ სასტუმროში.

— ბიბლიოთეკის გარეთ რაღა ხდება?

— რაც შეეხება გარე ნაწილს, უკვე 700 სოფელზე მეტი მოიცვა მოძრაობა „ეკვილიბრიუმმა“. თითოეულ სოფელში კომპიუტერი ან წიგნები ჩავიტანეთ, სამკითხველო განვაახლეთ. ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ამბავია, რადგან დღეს ასეთი, კარგი გაგებები, აგრესიული საგანმანათლებლო პოლიტიკა აუცილებელია. წიგნის ჩატანა არ გულისხმობს მის დატოვებას და უკან გამობრუნებას. ვცდილობთ, იქ შევქმნათ საინფორმაციო ელექტრონული ბაზები, სადისკუსიო სივრცეები, სასწავლო ცენტრები. „ეკვილიბრიუმის“ მეორე ნაწილი არის საზღვარგარეთ ქართული ლიტერატურული კუთხეებისა და წიგნის კუთხეების გახსნა. ესეც ძალიან გვჭირდება. ძირითადად, მსგავსი კუთხეები გაიხსნება სამრევლო სკოლებში, საელჩოებში ან ადგილობრივ ბიბლიოთეკებში — სულ მალე რომსა და მილანში ვგეგმავთ.

— ბიბლიოთეკა, საავტორო გადაცემები, სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობა თუ ერთი ქვეყნიდან მეორეში ფრენა — როგორ ასწრებთ წერას ამდენი საქმის პარალელურად?

— ჩემი მთავარი ვნება გზა და მუშაობაა. იმას, რასაც ვაკეთებ, მართლაც რომ ამოუსუნთქავ რეჟიმში, მათ შორის საკუთარი ეგოსთვისაც ვქმნი. ასეთი მონაცემის ადამიანი ვარ — არც წუნუნს და არც ვინმესთვის რამის დაყვედრებას ვაპირებ. რასაც გავცემ — ჩემია. მე აღიარების ადამიანი ვარ. არსებობენ მოხვეჭის, კომფორტის ან სხვა სურვილების ადამიანები. ყველა ეს მდგომარეობა, თუ კრიმინალს არ გულისხმობს, ლეგიტიმურია. მე ადგილზე გაჩერება არ შემიძლია. მოძრაობაა ჩემი ბედისწერა.

ესაუბრა თამარ ჟურული

მაია ციციშვილი

მწვანე ქამარი

— ნახატი, რა მოვიტანე! — შემოვარდა სკოლიდან დაბრუნებული სახეანითლებული ნინიკო.

— ეს რა არის? — თვალთ მივიანიშნებ მწვანე ქამარზე.

— მასწავლებელმა მომცა, ხვალ სკოლის ავტობუსში მე ვიქნები მორიგე.

— რა უნდა გააკეთო? — მიკვირს მე.

— პატრული ვიქნები, ვინც ცუდად მოიქცევა, მასწავლებელს ვეცხვი!

— ხომ გეუბნებოდი, შენ ხარ ჩამშვები! — ეუბნება გიორგი.

— ინყება ჩხუბი.

— გაჩერდით, გამაგებინეთ რა ხდება?!

— ამ ქამარს იმ ბავშვებს აძლევენ, ვინც კარგად იქცევა, მასწავლებელს რომ დაეხმაროს.

— რატომ უნდა დაასმინო მეგობრები, ეს ხომ შენი საქმე არ არის, შენ არ ხარ მათი უფროსი, — ვეუბნები დაბნეული.

— ეს დასმენა არ არის, — მისხნის ნინიკო, — მასწავლებელი გვეუბნება, როცა ავტობუსში ბავშვები ხმაურობენ ან ადგილიდან დგებიან, მძღოლს ხელი ეშლება. ამიტომ ეს მათივე უსაფრთხოებისთვისაა საჭირო.

სამსახურიდან ზურას დაბრუნებისთანავე ქამარზე ლაპარაკი თავიდან იწყება.

— ჰოდა, უთხარი, რომ ყველა კარგად იქცეოდა, — სთავაზობს გამოსავლს ზურა.

— ნინიკოს თვალები უფართოდებდა: — როგორ, თუ კარგად არ მოიქცევიან, მოვაცხუო მასწავლებელი?

— მე არასდროს ვყოფილვარ მორიგე ავტობუსში, — ამაყად აცხადებს გიორგი.

— შენ არც არავინ დაგნიშნავდა მეთვალყურედ, იმიტომ, რომ თვითონ ცუდად იქცეოდი, მარტო წესიერებს ნიშნავენ, როგორც მე დამნიშნეს.

— დამნიშნეს, დამნიშნეს, — აჯავრებს გიორგი, — ისე იძახი, ვითომ დირექტორად დაგნიშნეს.

— აი, ნახე, ხვალ ავტობუსში ყველა კარგად მოიქცევა, — ხაზგასმით ვეუბნები ნინიკოს. ვერ ხვდება, რას ვგულისხმობ და დაბნეულია, მისი აღფრთოვნება ნელ-ნელა გაურკვევლობაში გადადის.

მეორე დღეს არაფერს ამბობს, თუ რა მოხდა ავტობუსში მორიგეობაზე. ჩვენც აღარ ვახსენებთ, ვიცით, რამე რომ გვკითხოს, პასუხი არ გვაქვს...

— მასწავლებელმა თქვა, რომ ზოგჯერ მეგობარიც ქურდია, — უყურადღებოდ ვუსმენ მის ლაპარაკს, წიგნს ვკითხულობ, მაგრამ სიტყვა ქურდზე ვწყვეტ კითხვას.

— ვინ არის ქურდი, მეგობარი?!

— მასწავლებელს არ უთქვამს ყველა მეგობარი. თქვა, ზოგი მეგობარი, რომელიც დროს გპარავს.

— რას გპარავს?

— რა ვერ გაიგე, დროს! არ უფრთხილდება შენს დროს და ხშირად ყოველგვარი საჭიროების გარეშე დიდ დროს გართმევს.

— ააა, — არ მინდა მასწავლებელზე ცუდის თქმა. ისე, რა მასწავლებლის ბრალია, კაპიტალიზმის ანბანია: „დრო ფულია“. ამ ცნობილი გამონათქვამით, პირველად გახმოვანდა დროის მენეჯმენტის ძირითადი პრინციპი.

ამ გაგებით, ჩემზე, როგორც პროფესიონალ ქურდზე რომ არაფერი ვთქვათ, ჩვენი საამაყო ტარიელიც ქურდი გამოდის, რამხელა დრო დააკარგვინა მეგო-

ბრებს, სად არ ატარა, რა არ მოატარა. ყოველდღე ასეთ გაუგებრობაში ვარ მოხვედრილი.

რალაცის ახსნას რომ დავაპირებ, უფრო ვირევი — ვხვდები, ახლა შეილებს-სგან მარტო თაობები კი არა, კულტურაც მამორებს.

როცა სხვა ხალხის კულტურასთან გვინებს შეხება, კულტურას ფართო გაგებით აღვიქვამთ, როგორც ხალხის ცხოვრების წესს თავისი ყველანაირი მრავალსახეობით — ჩვენი მენტალიტეტის ფილტრში ვატარებთ და საკუთარი კულტურის ნიშნების მიხედვით „სწორი-არასწორიას“ პოზიციიდან ვაფასებთ. იმას, რაც ჩვენთვის კულტურულად მიუღებელია, არასწორად მივიჩნევთ. შეუძლებელია, ასეთი შეფასება ცალმხრივი და სუბიექტური არ იყოს. ჩვენი წარმოდგენა სხვა ქვეყნის ხალხზე ხშირად მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით, ტელევიზიით, კინოფილმებით, თავსმოხვეული სტერეოტიპებითა და კლიშეებით არის ფორმირებული. ამიტომ ფიქრობენ, რომ ადამიანების მიერ უცხო კულტურის აღქმა მათივე საკუთარი ხედვის პროექტი უფროა, ვიდრე რეალური სურათის დანახვა.

შტატები და კანადა სხვადასხვა ეროვნების, კულტურის, რელიგიის ხალხთა თანაარსებობაა, სადაც უცხო ქვეყნიდან ჩამოსულებს თან მოაქვთ ცივილიზაციის განსხვავებული დონე, ცხოვრების წესი, კულტურა, ზოგჯერ უკულტურობაც. მშვიდობიანი თანაცხოვრება არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქვეყნებში ყველას ერთმანეთი უყვარს. რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ამერიკელების, კანადელების უმეტესობა თავაზიანია და პატივისცემითაა განმსჭვალული განსხვავებულ კულტურათა მიმართ. ეს იმდენად არაჩვეულებრივი შერწყმაა, რომ მისი ექსპორტი ურიგო არ იქნებოდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით კი „ცივილიზაციის ალტერნატიულ ქვეყნებში“.

ამბობენ, იოსებ ბროდსკის უთქვამს: „საუკეთესო მდგომარეობაა, გქონდეს ამერიკული პასპორტი და რუსული კულტურა“. ბროდსკის კრიტიკოსებისათვის ამ ქვეყნის მიმართ ასეთი გამოყენებითი დამოკიდებულება შეურაცხყოფელია, მაგრამ ამავე ნათქვამში ბევრმა ქვეყნის ღირსებაც დაინახა. შტატები, კანადა საშუალებას გაძლევს, იცხოვრო, მიაღწიო წარმატებას ისე, რომ დარჩე შენი ეთნოსის, რელიგიისა და კულტურის ნაწილად, სუბკულტურად, რაც საერთო საზოგადოებრივ ფონთან წინააღმდეგობაში კი არ მოდის, პირიქით, მის ნაწილად გვევლინება. ეს მარტო ძლიერ და სამართლიან ქვეყნებშია შესაძლებელი.

გონებრივი შესაძლებლობა, რამის შექმნის, გაკეთების, გამოგონების განსაკუთრებული უნარი, ყველამ ვიცით, თანდაყოლილი ნიჭია, რომელსაც აღმოჩენა და განვითარებაა ჭირდება.

ზრდილობა, ეთიკა, კომუნიკაციის უნარი კი შექმნილია, და, ამდენად, აღზრდას და სწავლებას მოითხოვს.

ყველა ერს კომუნიკაციურ ქცევათა საკუთარი, „საიდუმლო“ კოდი აქვს, ეტიკეტიც ხშირად ჩვენსას არ ემთხვევა, მაგრამ ჩვენ ყველას ერთი მთავარი რამ გვაერთიანებს — ადამიანობა — და ეს უნდა იყოს ყოველთვის ამოსავალი.





აშშ-ში რამდენიმე თვის ჩასული ვიყავით, როცა სკოლიდან დაგვირეკეს და დირექტორთან დაგვიბარეს.

— რა მოხდა? — ვეკითხებით გიორგის.

მხრებს იჩენს, ვერ გამოტყვ, პარტიზანივითაა.

დანიშნულ დროს სკოლაში გამოცხადდით. დირექტორი, ერთი შეხედვით, სიმპატიური ქალი ჩანს, თბილად მიგვიღობს. გვითხრა, მასწავლებელს დაუნახავს, გიორგი ვიღაც ბიჭს ეჩხუბებოდა, მერე დაამატა, რომ ეს პირველი შემთხვევა არაა და სხვა დროსაც შეუნიშნავთ მოჩხუბარი.

დირექტორი ნუხს, რომ ბავშვს უჭირს კონფლიქტური სიტუაციიდან ცივილური გზით გამოსვლა.

— რამეზე ხომ არ ნერვიულობს, სახლში როგორ იქცევა? — გვეკითხება მორიდებულად.

— ძალიან კარგად, — ვპასუხობთ ერთხმად, — არანაირი აგრესიულობა არ შეგვიმჩნევია.

— ძმები ან დები თუ ჰყავს, — ინტერესდება.

— და ჰყავს, ხუთი წლით მასზე უმცროსი, დანყებით კლასშია, ზოგჯერ ჩხუბობენ, მაგრამ ეს ხომ ჩვეულებრივი რამაა, უმეტესად უმცროსი ინვესტ ხოლმე.

ჩვენი პასიურ-აგრესიული ქცევა, დირექტორს ცოტა არ იყოს ახვევს, მაგრამ მაინც ღიმილით აგრძელებს გამოკითხვას.

თანდათან ვბრაზდებით, ამ კითხვებითვის დაგვიბარა, გავაცდენინა სამსახური?!

— იქნებ ჯობდეს, პროგრამაში ჩავსვათ, ფსიქოლოგი ჩავართოთ, — გვთავაზობს მოულოდნელად.

— არ მივიჩნევთ საჭიროდ, — მოვუჭერთ კატეგორიულად. შეურაცხყოფილები ვჩანვართ.

— მინდა, გითხრათ, სკოლაში მასწავლებლად ვმუშაობდი და იშვიათად მინახავს ბავშვი, რომელსაც მეგობრებთან ჩხუბი არ მოსვლია. საჭიროა კი ამ ამბის ასე სერიოზულად მიღება?! — ნელა ვლაპარაკობ, რადგან ვგრძობ, სიბრაზისაგან ქვედა ყბა არ მემორჩილება, მარიონეტების თეატრის თოჯინების ყბის მსგავსად აქეთ-იქით მიდი-მოდის.

საუბარი უშედეგოდ დამთავრდა. წამოსასვლელად ავდექით. დირექტორის ღიმილი უკვე მალიზიანებს. ენციკლოპედიიდან დამამახსოვრდა, კუნთს, რომელიც ტუჩებს ღიმილისათვის ჭიმავს, სამედიცინო ენაზე რიზორიუსი ჰქვია.

— თქვენ რიზორიუსი არ გივარგათ, — ვუბნებით გამოსვლისას ხმადაბლა.

დაბნეული ჩანს, მოვტრიალდი და გამოვიხედი. არკვიოს ახლა, რისი თქმა მინდოდა, შეიძლება ფიქრობს, სწავლის მეთოდს ან პედაგოგიურ მიდგომას ვგულისხმობდი. საკუთარი თავით კმაყოფილი დავრჩი, „ღიმილის ქვეყანაში“ ღიმილი დავუნუნე.

ტორონტოში ცხოვრებისას გიორგის სკოლის დირექტორის მოადგილემაც ამავე საკითხზე დაგვიბარა. მიკვირს, ბავშვებს შორის პატარა უთანხმოებას რამოდენა დროს უთმობენ.

— გამოშტერების ტერმინალური სტადია, — ასკვნის ზურა.

სახლში დაბრუნებისთანავე მოვეშვი და ემოციებს არაცივილური გამოსავალი მივეცი. ვყვირი და ხელებს ვიქნევ. ყვირილით რომ გული ვიჯვრე, სადილის კეთებას შევეუდექი, დირექტორთან შემდგარი საუბარი თავიდან არ ამომდის. რომ იცოდეს, როგორ გავუშვით გიორგი პირველ დღეს სკოლაში. გიორგი და ჩემი დისშვილი, დათო, თანატოლები არიან. მამაჩემი, ნუგზარი და ზურა პირველ სექტემბერს ისე აცილებდნენ, თითქოს სკოლაში კი არა, ომში ისტუმრებდნენ.

— აბა, თქვენ იცით, თავი არავის დააჩაგვრინოთ, ჩხუბის დროს არ შერცხვეთ, კაცურად მოიქეცით, — არიგებდნენ ბიჭებს.

პოსტსაბჭოთა სკოლებში, საბჭოეთიდან მოყოლებული, დარვინიზმის პრინციპი „ძლიერები გადარჩებიან“ დიდ პა-



ტივისცემამაია. ჩვენებს ეს „მწარე გაკვეთილი“ თავის დროზე ნასწავლი აქვთ. მომლიმარმა დირექტორმა „ჩვენი ოჯახური შეგონებანი“ რომ იცოდეს, ბავშვებში ძალადობის გაღვივებისათვის ჩვენც მოგვარებდა სპეციალურ პროგრამას, შეიძლება დამკვირვებელიც მოეჩინა სახლში.

— მოდით, სადილი მზადაა! — ვეძახი ბავშვებს.

ნინიკომ სუფრის თავში სასწრაფოდ დაიკავა ადგილი ანუ საბრძოლო პოზიცია. იცის, გიორგი მაინც გადასვამს, უფრო სწორად, გადაადგებს, ადგილიც ბრძოლითაა მოსაპოვებელი.

გიორგი არ ჩანს. — გიორგი! — ვყვირი მთელ ხმაზე, — არ გესმის?! სადილი მზადაა!

— არ გამოდის, ალბათ განიცდის, ზედმეტი მოგივიდა, როგორც ყოველთვის, — მიუბნება ზურა.

შეგუნხდი, გიორგი შემეცოდა, დირექტორზე კიდევ უფრო გავბრაზდი. ამ ქალმა მთელი დღე აგვირია. ფრთხილად ვალებ ოთახის კარს, ვხედავ, გიორგი საწოლზე ფეხსაცმელებით წამოგორებულა და უდარდელად ძინავს.

სადამოს ნაგვის გადასაყრელად გავდივარ. ზურა და გიორგი ფეხბურთს უყურებენ.

— რომ დავბრუნდები, ლოგინში თუ არ

დამხვდით, იცოდეთ, დაგამინებთ, — ვეუბნები ბავშვებს.

— საიდან მოგაქვს ეს საშინელი სიტყვები? — უკვირს ზურას.

— რა იყო, ამერიკელების დასჯის მეთოდი — „grounded“ არ გაგიგია?

როცა ბავშვი დასჯილია, „დამინებული“, არც ტელევიზორთან, არც კომპიუტერთან ყოფნის ნება, საერთოდ, არანაირი გართობის უფლება არ აქვს. დასჯა არის დასჯა, „არა“ ნიშნავს — „არას“. ჩვენთან კი „არასადმი“ გადახრის ამპლიტუდა მალაია.

ზურა და გიორგი მსაჯზე გაბრაზებულნი არიან, არცთუ ისე კეთილი სიტყვებით მოიხსენიებენ.

ჩვენთან ყველაფერი ხმამაღალ ნოტებზეა, ტელევიზორიც ჩვენ გვეჯიბრება ღრიალში. დერეფანში კი, როგორც ყოველთვის, სიმშვიდეა, „ხმა არსაიდან.“ მაინტერესებს, რა ნერვების ხალხი ცხოვრობს ჩვენს შენობაში. ნეტავ, სად გაიზარდნენ, სულ მშვიდად როგორ არიან? ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ხმაური ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. ხმაურის დონე საცხოვრებელი ადგილის მახლობლად 55 დეციბელს არ უნდა აღემატებოდეს. ამ მხრივ ჩვენი ოჯახი „სერიოზული საფრთხეა“ გარშემო მყოფთათვის.

მეზობელი პარკით ხელში ღიმილით შემომეგება. ისეთი კმაყოფილი ჩანს, თითქოს ნაგვის პარკი კი არა, ჩემოდანი უჭირავს და სასიამოვნო მოგზაურობაში მიდის. „ნაგვის ოთახი“ დერეფნის ბოლოსაა, ოთახის წინ სავარძელში კაცია მოკალათებული, სამი შვილის მამა, შორიდანვე მილიმის. ჩვენი ნაცნობი ამერიკელის სიტყვები მახსენდება: მე და ჩემი ცოლი როცა ვკამათობთ, ცხელ გულზე რამე რომ არ წამოცდეს და ბავშვებმა რომ არ ინერვიულონ, ცოტა ხნით გარეთ გავდივარო. როგორც ჩანს, ამ კაცს რაღაც წამოცდა, ზის ნაგვის ოთახის წინ და ინანიებს. ღიმილი მონანიების პროცესშიც არ ავინყდება. ამერიკელები ყველანაირად ცდილობენ, ბავშვებს კონფლიქტური სიტუაციები აარიდონ, გამჭვირვალობაზე კი საუბრობენ. ჩვენთან კამათშიც სრული „გამჭვირვალობა.“ თუ ყველაფერი დამალე, რაღა ღია საზოგადოება გამოდის?!

ბინაში შესული არა ვარ, მესმის ბავშვების ყვირილი, ისევ რაღაცაზე ჩხუბობენ. — ახლავე დასაძინებლად, თორემ მიფრთხილდით! — ვემუქრები ორივეს.

მოგვიანებით, დაღლილი და გაბრაზებული, ძლივ ვაღწევ საწოლამდე. ვტრიალებ და ვერ ვიძინებ, დირექტორის მომლიმარი სახე ჰამლეტის მამის აჩრდილივით მოსვენებას არ მამძღვეს. ეჭვი მაქვს, რაღაცაში ეს ქალი მართალია, მაგრამ თავს არ ვუტყდები და ვბრაზობ.

ყოველდღიურად ბრძოლებში ვარ ჩართული „შინაურ თუ გარეულ მტერთან“, მუდამ საბრძოლო მზადყოფნაში ვარ. რას იზამ?! ისეთ ნყობაში გავიზარდე, რომელშიც ბავშვობიდანვე ხდებოდა „ცნობიერების მილიტარიზაცია“.

ამბობენ, მეგობრებთან, კოლეგებთან არ შეიძლება ურთიერთობების გაფუჭება. ეს ისევე არაბუნებრივია, როგორც ადამიანს რომ უთხრა: არ შეიძლება მოწყენა, სევდა. თუ არსებობს საფუძველი, რომ გაბრაზდე, ალბათ გასაბრაზებელია. უბრალოდ, ემოციების გამოხატვის ფორმებია დასამუშავებელი, დასახვენი. კამათის დროს არაა საჭირო მდიდარი არანორმატიული ლექსიკის გამოყენება, მნიშვნელოვანია გახვეალ ფონს.

პატარა უსიამოვნება დიდში რომ არ გადაზარდო, ამასაც ალბათ სწავლა უნდა. ბებიჩემის საყვარელი გამოთქმა იყო: „ბუზი არ უნდა მოგეჩვენოს სპილოდ“. მე კი რატომღაც სულ სპილოებს ვხედავ...

წლების მერე ვხვდები, ცუდი სულაც არ ყოფილა ეს პროგრამები. მაშინ მეგონა, მოვუგეთ და გავაჩუმეთ მომლიმარი დირექტორი. ამ „ცივილური გამოსავლების“ პროგრამაში მეც რომ ბავშვობიდანვე მესწავლა ემოციების მოზომვა, ხომ ნაკლები კონფლიქტი მოხდებოდა, რასაც არ მოყვებოდა ამდენი უსიამოვნება, წყენა, გულნატკენი ადამიანები.

იქნებოდა ბევრი ბუზი და ცოტა სპილო...

